# მამული

www.mamuli.com

№4 (26),
2006 წლის
თებერვალი

Мамули
по-русски
смотрите вкладыш




ლევან ფანჩვიძე

## მე დამესიზმრა...

წვიმდა და აღარ გადაიდარა,
ძლივს მიაღწია სულმა ხატამდი,
მე დამესიზმრა - ვიყავ ნიკალა
და ფუნჯით ქართულ ზეცას ვხატავდი.

როცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
ვინ გაიმეტა ქართლი ესოდენ?
მე დამესიზმრა - ვიყავ ილია
და წიწამურთან ტყვიას მესროდნენ.

ვარ ყველა დროის თანამედროვე,
ფიქრით მივცურდი ნატვრის ყურემდი,
მე დამესიზმრა - ვიყავ თევდორე
და ყიზილბაშებს თავგზას ვურევდი.

დაფიქრებული მოდის რიონი,
ცა იმერეთის მხიბლავს ტილოთი,
მესიზმრა - ვიყავ გალაკტიონი
და თვითმკვლელობას ჩემსას ვცდილობდი.

ვერ გამოვიცან სოფლის იგავი
ბეთლემის მხრიდან ქრისტეს მოსვლამდი,
მე დამესიზმრა - ბერი ვიყავი
და სინას მთიდან მამულს ვლოცავდი.

რამდენი ლექსი დამრჩა უთქმელი,
მოქუხს არაგვად ტალღა სტრიქონთა,
მე დამესიზმრა - ვიყავ რუსთველი
და სამშობლოდან ცრემლი მიმქონდა.

იორის პირას ცეცხლი მინთია,
დღე იმზირება ატმის ჩეროდან,
მე დამესიზმრა - ვიყავ მინდია
და ჩემი სიბრძნის არვის სჯეროდა.

ვიდრე შემოვა მწუხრი ღამისა,
ჩემო ხატებავ, ჩემო ლერწამო, -
მომეცი თაფლი, უნდა წავისვა
და ცოტნესავით შენთვის ვეწამო!

# გმადლობთ








მართლაც საამაყოა, რომ ამერიკაში შეგიძლია გადართო სატელევიზო არხი და შენც შეუერთდე იმ მრავალრიცხოვან მაყურებელთა რიცხვს, რომელთა მზერა მიპყრობილია საბოქსო ჩემპიონატისადმი.

და წაიკითხო ქვემოთ მორბენალ ტიტრებში ქართული გვარ-სახელი: **კობა გოგოლაძე!**

- აი, ვის მხრებზე დგას დღეს საქართველოსა თუ ქართველი ერის ღირსება თუ სახელი!

- აი, ვინ აკვირვებს ქართულის სულის ძლევამოსილებით მსოფლიოს!

- აი, ვისი ოფლითაა, რომ ქართული დროშა ფრიალებს ტატამზე და ტელევიზიის დიქტორები თუ სპორტკომენტატორები უხვ სიტყვებს არ იშურებენ საქართველოს შესახებ!

დაიხსომეთ ეს სახელი და გვარი: **კობა გოგოლაძე!** - იგი კიდევ მრავალჯერ გაგვახარებს!

მოვალ ნომერში,
რედაქტორის ლაბორატორიაში:

## რუსეთო, ტილი მომიცილებია, შენ კი ვერა!

ჰიმნი

## ქართლში

ტექსტი **მანუჩარ კაჭახიძის**
მუსიკა **ზაირა ჩოხელის**

სად გადიკარგა შენი ძე,
ვის წაჰყვა შენი ასული
და შენ კი მყვირალობისას
რად არ წამოგცდა აუგი...

ომგადახდილ ივერიას
ვადღეგრძელებთ ფიალით,
ჩვენც არ დავთმეთ საფიცარი
ქართულ დროშის ფრიალი,
თუმც კავკასის სადარაჯოდ
აღმართული კლდეები
ჯიქურ თვლიან საუკუნეს
სათითაო დღეებით.

საით მივყავართ ბილიკებს,
სად გადაგვკარგავს ნისლია,
ან ეს ცრემლების ნაკადი
ნეტავ ვიცოდე ვისია.

ყველა დროში მტრადმოსულებს
სურდა ერის რქა-წული
დაბნეული იმზირება
ვაზის ყლორტი დაწნული.
ცეცხლისთვალა არწივები
დაუბრდღვნია ყვავ-ყორნებს
ერის ხრტილი დაუცვია
წამომართულ ყორღანებს.

„ირემო მთასა მყვირალო“,
რატომ იცვალე ფერია,
არც სალხინეთში გვალხინებს
ჩვენი ზღაპრული ფერია.

წითელ ღრუბლებს მოუცვია
დანაცრული ხერთვისი -
ეს სამშობლოს წუხილია,
რასაც იგი დაერთვის.
მამულია ერთადერთი
საფიცარი სამეფო,
მსურს შევიტკბო შენი ხიბლი
გულის ცეცხლით ამნთებო!

საით წასულა ნეტაი
ნისლი ფიქრს განატანები;
გადაიღამებს სიმძიმეს
ეს ღამეული ტანჯვები.

## სიცილის დედოფალის ტირის ხოლმე...

გუშინ, 19 თებერვალს, ამერიკის ქართველობამ რესტორან „პრიმორსკში“ საზეიმოდ აღნიშნა საქართველოს სიცილის დედოფლის, **მზია კვირიკაშვილის** დაბადების დღე.

კონცერტი სახელდახელოდ იმპროვიზებული იყო, ის კი არადა, იუბილარს „მოცეკვავე ოფოფების“ ნაცვლად სიმღერით მიესალმა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მომღერალი, ლა-სკალას დიდი თეატრის ოჯახის წევრი, ლაშა ნიქაბაძე.

მე მახსენდება, თბილისში, რკინიგზის კულტურის სახლში ერთ-ერთ ღონისძიებაზე დაგვიანებით შესულ მედეა ჯაფარიძეს როგორ წამოუდგა მთელი დარბაზი ფეხზე. და ეს გამახსენა ზუსტად იგივე სიუჟეტმა, როცა ქართველ დიასპორას უყურადღებოდ არ დარჩენია შემოსასვლელ კართან გამოჩენილი სიცილის დედოფალი და ტაშით შემოაცილა დარბაზში.

არა! მას ძალიან უხდებოდა ის ლამაზი თაიგულები, რომელიც გულშემატკივრებმა თუ თაყვანისმცემლებმა მიართვეს, მაგრამ ყველაზე მეტად ალბათ შემჩნევდით, მას ის სევდა მოუხდა, ამ სიყვარულის დამნახავს ცრემლი რომ მოადინა!

როდის იტირა სიცილის დედოფალმა?!

- ზუსტად მაშინ, როცა პატარა გიორგი გოდერძიშვილი ჩოხით და ბოხოხით ხელში ცერზე შედგა, დამაჯერებელი სახის იერით, ამაყი ქართველის ღრმა სუნთქვით, მიწას სიძლიერით ანარცხებდა აზიაცკებიან ცერებს და ვინ იცის, რამდენ ტკივილს უძლებდა...

- ზუსტად მაშინ, როცა გიგა ამბროსიძე სცენაზე იდგა, აქ, ამერიკაში ქართულს მღეროდა და ჩვენი ჯიშის არგადაშენებას გვახარებდა;

- ზუსტად მაშინ, როცა სამშობლოდან ასე შორს, იქ სადაც „სხვა ხალხის ჟრიამული“ ისმის, სცენაზე ქართულ რომანსს მღერის თინათინ ყენია, განატრებს ყველაფერს, დეკემბერს და იმ ფერნაცვალ ცის შეხედვასაც, მარტოდ ყოფნისას, მხოლოდ შენ რომ ამჩნევ, და იმ სულცხონებულ დებსაც, იშხნელებსაც... ყოველ სნეულებას სიყვარულით რომ ასალბუნებდნენ.

რაღა ბევრი გავაგრძელო და მე ქვემოთ სახელებს ჩამოგითვლით და თავად გამოთვალეთ, რამდენჯერ იტირა სიცილის დედოფალმა...

სცენა არ გაცივებულა, ერთმანეთს ცვლიდნენ დონაძეების ოჯახი სიმღერითა თუ მუხრანის ლექსით, ვანო გოდერძიშვილი სალამურებით, დათო ამბროსიძე თავისი მართლაც განუმეორებელი ხმითა თუ ტემბრით, თამრიკო დავითაშვილი თეა კანდელაკის ლექსზე შექმნილი ახალი მუხამბაზით, ნინო იმედაძე ლამაზი რომანსის პრემიერით, სუსტი და კაფანდარა მანჩო ჩიტაური თბილი ხმითა თუ სიმღერებით და კახა გოგოლაძე ჭეშმარიტად ქართული სადღეგრძელოთი.

მე დარწმუნებული ვარ, მზია კვირიკაშვილს მუდმივ, ცხოვრებისეულ დაღად დააჩნდება: 19 თებერვალი, 2006, ამერიკა.

**მანუჩარ კაჭახიძე**

## გაიოზ კერატიშვილის ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა

*მუძღვნი ჩემი მასწავლებლისა და მაკურთხევლის, განსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ნათელ ხსოვნას*

# სახარება მათესი

*დასაწყისი იხ. „მამული“ № 14–17, 22–25*

## თავი 23

**1.** მაშინ ელაპარაკა იესო ხალხსა და თავის მოწაფეებს
**2.** და თქვა: ტახტსა მოსესა დამსხდარან მწიგნობარნი და ფარისეველნი.
**3.** და ყოველივე, რის დაცვასაც გეუბნებიან, დაიცავით და შეასრულეთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ ამბობენ და არ აკეთებენ.
**4.** რამეთუ შეჰკრავენ ტვირთსა მძიმესა და ძნელად სატარებელს და დაადგამენ მხრებზე ადამიანს. ხოლო მათ თითის გატოკებაც კი არ უნდათ იმის დასაძრავად.
**5.** და ყოველსა საქმესა მათსა მოსაჩვენებლად ხალხისა აკეთებენ. იფართოებენ საფარველებს[1] და იგრძელებენ თავიანთი სამოსლის ბოლოებს.
**6.** უყვართ თავში ჯდომა სერობებზე[2] და წინ დასხდომა სინაგოგებში.
**7.** და მისალმებანი მოედნებზე, რომ ხალხი მიმართავდეს მათ: რაბი! რაბი!
**8.** ხოლო თქვენ ნუ გერქმევათ რაბი, რამეთუ ერთი არს მოძღვარი თქვენი ქრისტე, ხოლო თქვენ, ყოველნი, ძმანი ხართ.
**9.** და მამად ნურავის ნუ უწოდებთ ამ ქვეყანაზე, რამეთუ ერთი არს მამაი თქვენი, რომელიც არს ცათა შინა.
**10.** ნურც წინამძღვარი ნუ გერქმევათ, რამეთუ ერთი არს წინამძღვარი თქვენი ქრისტე.
**11.** ხოლო უდიდესი თქვენს შორის, იყოს მსახური თქვენდა.
**12.** ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.
**13.** ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დახშავთ ცათა სასუფეველს კაცთათვის, თქვენ არ შედიხართ და მსურველთაც არ უშვებთ.
**14.** ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ჭამთ ქვრივთა სახლებს და თვალთმაქცურად გაწელილად ლოცულობთ. ამის გამო მიიღოთ უფრო დიდი სასჯელი.
**15.** ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმოდიხართ ზღვასა და ხმელეთსა ზედა, რათა ერთი ვინმე მაინც მოაქციოთ და როცა მოაქცევთ, აქცევთ მას შვილად გეენიისა ორჯერ თქვენზე მეტად.
**16.** ვაი თქვენდა წინამძღვარნო ბრმანო, რომლებიც ამბობთ: რომელმაც დაიფიცოს ტაძარი არაფერია, ხოლო ვინც დაიფიცავს ოქროსა ტაძრისასა, იგი მოვალეა.
**17.** უგუნურნო და ბრმანო! რა უფრო დიდია: ოქრო თუ ტაძარი, რომელიც განმწმედელია ამ ოქროსი?
**18.** და კიდევ: რომელმაც დაიფიცოს საკურთხეველი, არაფერია, ხოლო ვინც დაიფიცოს შესაწირავი, რომელიც საკურთხეველსა ზედაა, ვალდებულია.
**19.** უგუნურნო და ბრმანო! რომელი უფრო მეტია: შესაწირავი თუ საკურთხეველი, რომელიც განწმედს შესაწირავსა ამას?
**20.** რამეთუ ვინც საკურთხეველსა ფიცულობს, იფიცავს მას და ყოველივეს, რაც საკურთხეველზეა.
**21.** და ვინც ტაძარს ფიცულობს, იფიცავს ტაძარსა ამას და მასშინა მყოფსაც.
**22.** და რომელმაც ცა დაიფიცოს, იფიცავს ტახტსა ღვთისასა და მას ზედა მჯდომარეს.
**23.** ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო! რამეთუ მეათედს იხდით პიტნისა, კამისა და კვლიავისა და დაგიტოვებიათ უმძიმესი იგი რჯულისა — სამართალი და წყალობა და სარწმუნოება. ეს უნდა გეკეთებინათ და იგი არ მიგეტოვებინათ.
**24.** წინამძღვარნო ბრმანო! რომელნიც კოღოს გამოწურავთ და აქლემს გადაყლაპავთ!
**25.** ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო! რამეთუ გარედან კი სწმენდავთ სასმისებსა და ჯამებს, მაგრამ შიგნიდან სავსენი არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა.
**26.** ფარისეველო ბრმაო! ჯერ შიგნიდან გაასუფთავე სასმისები და ჯამები, რათა გარედანაც სუფთანი იყოს ისინი.
**27.** ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო! რამეთუ დამსგავსებიხართ შელესილ საფლავებს, რომელნიც გარედან მშვენივრად გამოიყურებიან, ხოლო შიგნიდან სავსენი არიან მიცვალებულთა ძვლებითა და ყოვლითა არაწმიდებითა.
**28.** ასევე თქვენცა გარეგნულად მართლები ჩანხართ კაცთა წინაშე, შინაგანად კი სავსენი ხართ თვალთმაქცობითა და უსჯულოებითა.
**29.** ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო! რამეთუ აშენებთ საფლავთა წინასწარმეტყველთასა და ამკობთ სამარეთა მართალთასა
**30.** და იძახით: უკეთუ გვეცხოვრა დროსა მამათა ჩვენთასა, არაფრით ვიქნებოდით მათი მოზიარენი სისხლსა მას წინასწარმეტყველთასა.
**31.** რითაც უმტკიცებთ თავთა თქვენთა, რამეთუ ნაშობნი ხართ მკვლელთაგან წინასწარმეტყველთა.
**32.** და აწი თქვენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქვენთაი.
**33.** გველნო, ნაშობნო იქედნეთანო! როგორ გადურჩებით სასჯელსა მას გეენიისასა?
**34.** ამისთვის აჰა, ესერა, მე მოვავლენ თქვენდა წინასწარმეტყველთა, ბრძენთა და მწიგნობართა, რომელთაგანნი ზოგი მოჰკლათ, ზოგი ჯვარს აცვათ და ზოგი სცემოთ სინაგოგებსა თქვენსა და სდევნიდეთ ქალაქებიდან ქალაქებში.
**35.** რათა მოიწიოს თქვენ ზედა ყოველი მართალი სისხლი, დათხეული ქვეყანასა ზედა, სისხლიდან მართალ აბელისა, ვიდრე სისხლამდე ზაქარიასი, ძისა ბარუქისა, რომელიც მოჰკალით ტაძრისა და საკურთხევლის შუა.
**36.** ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რამეთუ ეწიოს ესე, ყოველი მოდგმასა ამას.
**37.** იერუსალიმო, იერუსალიმო, წინასწარმეტყველთა დამხოცველო და ქვითა ჩამქოლო მოვლინებულთა შენსა ზედა! რამდენჯერ მინდოდა შენი შვილების ერთად შეკრება, როგორც ფრინველმა შეკრიბოს თავისი მართვენი თავის ფრთებს ქვეშ და, არ ისურვეთ!
**38.** აჰა, ესერა, ოხრად გრჩებათ თქვენი სახლკარი.
**39.** რამეთუ გეუბნებით თქვენ: ველარ მიხილოთ ამიერიდან, ვიდრე არ იტყვით: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!

## თავი 24

**1.** და გამოვიდა იესო ტაძრიდან და წავიდა. და მივიდნენ მასთან მისი მოწაფენი აშენებული ტაძრის საჩვენებლად.
**2.** ხოლო იესომ უთხრა მათ: ჰხედავთ ამასა ყოველსა? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ დარჩეს აქა ქვაი ქვასა ზედა, რომ არ დაიქცეს.
**3.** და ვითარცა დაჯდა იგი მთასა მას ზეთისხილისასა, მივიდნენ მარტონი მოწაფენი მისი და უთხრეს: გვითხარი, ოდეს მოხდება ესე და რაი არს სასწაული იგი შენი მოსვლისა და აღსასრული ამა ქვეყნისა?
**4.** მიუგო იესომ და უთხრა მათ: ფრთხილად იყავით, რომ არვინ შეგაცდინოთ.
**5.** რამეთუ მრავალნი მოვლენ სახელითა ჩემითა და იტყვიან, რამეთუ მე ვარ ქრისტე და მრავალთ შეაცდენენ.
**6.** და გაიგებთ ომებსა და ამბავთ ომებისას. იცოდეთ და, ნუ შეშინდებით, რამეთუ ეს ყოველივე უნდა მოხდეს და ეს ჯერ კიდევ, არ არის აღსასრული.
**7.** რამეთუ აღსდგეს ხალხი ხალხსა ზედა და სამეფონი სამეფოთა ზედა, და იყოს შიმშილი და მუსრი და მიწისძვრანი ალაგ და ალაგ.
**8.** ხოლო ესე ყოველი დასაწყისი ტკივილთაი[3] არს.
**9.** მაშინ მიგცენ თქვენ სატანჯველად და დასახოცად, და იყვნეთ თქვენ მოძულებულნი ყოველთა წარმართთაგან სახელისა ჩემისა გამო.
**10.** და მაშინ შესცდეს მრავალი და გასცენ ურთიერთი და სძულდეთ ერთმანეთი.
**11.** და მრავალნი ცრუწინასწარმეტყველნი აღდგნენ და აცდუნებენ მრავალთ.
**12.** და განმრავლებითა ურჯულოებითა განხმეს სიყვარული მრავალთა.


ყრმათა დალოცვა

**13.** ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.
**14.** და ექადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა ქვეყანასა საწამებლად ყოველი ხალხისა. და მაშინ მოიწიოს აღსასრული იგი.
**15.** და რაჟამს იხილოთ სისაძაგლე იგი მოოხრებისა, თქმული დანიელ წინასწარმეტყველისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს გულისხმაჰყოს.
**16.** მაშინ, რომელნიც იუდეაში იქნებიან, მთას გაეშურნენ.
**17.** და რომელნიც ერდოსა ზედა იყვნენ, ნუ ჩამოვლენ თავიანთი სახლიდან რაიმეს ასაღებად.
**18.** და ვინც მინდვრად იქნება გასული, ნუ მობრუნდება უკან თავისი სამოსლის ასაღებად.
**19.** ხოლო ვაი ორსულთა და მეძუძურთა მათ დღეთა შინა!
**20.** ილოცეთ, რათა ლტოლვამან თქვენმან არ მოგიწიოთ ზამთარსა შინა, ანდა შაბათსა.
**21.** რამეთუ იყოს გასაჭირი დიდი, რაც ჯერ არ ყოფილა დასაბამითგან ქვეყნისა ვიდრე აქამომდე და არცა იქნება არასოდეს.
**22.** უკეთუ არა შემცირებულ იყოს დღენი იგი, ვერ გადაურჩეს ვერა ხორციელი. ხოლო რჩეულთა გამო შემოკლდეს დღენი იგი.
**23.** უკეთუ მაშინ გითხრათ ვინმემ: აჰა, აქ, ან იქ არისო ქრისტე, არ დაიჯეროთ.
**24.** რამეთუ აღდგებიან ცრუქრისტენი და ცრუწინასწარმეტყველნი და მოახდენენ დიდ-დიდსა სასწაულებსა და ნიშნებსა, რათა აცდუნონ და უკეთუ შესძლეს რჩეულებიც კი.
**25.** აჰა, ესერა, წინასწარ გეუბნებით თქვენ.
**26.** უკეთუ გითხრან თქვენ: აჰა, უდაბნოში არისო, ნუ გახვალთ. აჰა, ესერა სახლსა შინა არისო, არ დაიჯეროთ.
**27.** რამეთუ ვითარცა ელვამ გაანათოს რა მზის აღმოსავლეთიდან და ჩანს ვიდრე დასავლეთამდე, ეგრე იყოს მოსვლაი ძისა კაცისა[4].
**28.** რამეთუ სადაც არის მძორი, იქა გროვდებიან ორბები.
**29.** და მეყვსეულად, გასაჭირის დღეთა შემდგომად მზე დაბნელდეს და მთვარემან აღარ გამოსცეს ნათელი თვისი, და ჩამოცვივდნენ ვარსკვლავნი ზეციდან და ძალნი ცათანი შეიძრას.
**30.** და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისა ცათა შინა, და ჰგოდებდეს ყოველნი ტომნი ქვეყნისანი და იხილონ ძე კაცისაი მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა.
**31.** და წარავლინოს ანგელოზნი თვისნი საყვირისა ხმითა დიდითა და შეკრიბოს რჩეულნი მისნი ოთხავ ქართაგან ცათა კიდიდან ცათა კიდემდე.
**32.** და ლეღვის ხისაგან ისწავლეთ მაგალითი: რამეთუ, რაჟამს რტონი მისნი ჩვილდება და ფოთლები გამოაქვს, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.
**33.** ასევე თქვენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კარსაა მომდგარი.
**34.** ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ წარვიდეს მოდგმაი ესე, ვიდრე ყოველი ესე არ აღსრულდეს.
**35.** ცანი და ქვეყანაი წარხდნენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხდეს.
**36.** ხოლო დღისა მისა და ჟამისა შესახებ არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა[5], მხოლოდ ერთმან, მამამან ჩემმან.
**37.** ვითარცა იგი დღეთა მათ ნოესსა, ეგრე იყოს მოსვლაი ძისა კაცისა.
**38.** რამეთუ, ვითარცა იყვნენ პირველთა დღეთა მათ შინა წარღვნისასა: ჭამდნენ და სვამდნენ, ქორწინდებოდნენ და განქორწინდებოდნენ იმ დღემდე ვიდრე შევიდოდა ნოე კიდობანში,
**39.** და არვინ იცოდა, სანამ არ მოიწია წარღვნა იგი და წალეკა ყოველივე, — ასეთი იყოს მოსვლაიცა ძისა კაცისა.
**40.** მაშინ, ორნი იქნებიან მინდვრად გასულნი: ერთს წარიყვანენ და ერთს დატოვებენ.
**41.** ორნი ფქვავდნენ[6] წისქვილში: ერთს წარიტაცებენ და ერთს დატოვებენ.
**42.** ამიერიდან იფხიზლეთ, რამეთუ არ იცით რომელსა ჟამსა მოვა უფალი თქვენი.
**43.** და ესეც იცოდეთ: უკეთუ ეცოდინებოდა სახლისა პატრონსა, თუ რომელ სახმილავზეა ქურდი მიმსვლელი, იფხიზლებდა და არ მიუშვებდა ძირი გამოეთხარათ მისი სახლისათვის.
**44.** ამისათვის თქვენც მზად იყავით, რამეთუ რომელ საათზეც არ გეგონოთ, მაშინ მოვიდეს ძე კაცისა.
**45.** ვინაა ის ერთგული და გონიერი მსახური, რომელიც დაადგინა ბატონმა მისმან მსახურთა თვისთა ზედა, რათა თავის დროზე აძლიოს მათ საჭმელი მათი?
**46.** ნეტარ არს მსახური იგი, რომლის ბატონი მივიდეს და ჰპოვოს იგი ესრეთ მოქმედი.
**47.** ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რამეთუ ყოველთა ზედა საბადებელთა მისთა დაადგინოს იგი.
**48.** ხოლო უკეთუ თქვას ბოროტმან მსახურმან გულსა თვისსა: იგვიანებსო ბატონი ჩემი მოსასვლელად,
**49.** და დაუწყოს გვემაი მისნაირ თანამსახურთ და ჭამდეს და სვამდეს ლოთებთან ერთად,
**50.** მოვიდეს ბატონი მსახურისა მის იმ დღეს, რომელსაც არ ელოდეს და იმ საათს, რომელიც არ იცოდეს,
**51.** და განკვეთოს შუა, და ორგულთა თანა დაუდვას წილი. იქ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთა.

*გაგრძელება იქნება*

*1. ძველ ქართულ ტექსტებშია: „განივრციან საცონი მათნი. ადიშის ვარიანტით „ფართო იყვნიან სამოსელნი მათნი“. საპატრიარქოს თარგმანით „სალოცავი თასმები“, ხოლო სხვა ახალ თარგმანებში ფილაკტერიონები, რაც გადმოუთარგმნელი ბერძნული ტერმინია, რუსულში „Хранилища“, — Повязки на лбу и на руках со словами из закона“. აშკარაა, რომ ძველი ტექსტები აქ მხოლოდ ტანსაცმლის დეტალზე მიგვანიშნებენ.*

*2. სერობა: ნადიმი, პურის ჭამა.*

*3. ახალ ქართულ თარგმანში ეს ადგილი თარგმნილია, როგორც „მშობიარობის ტკივილთა დასაწყისი“. ძველი ქართული ტექსტების მრავლობითი ფორმის „სალმობათაი“ ანუ „ტკივილთაი“, ამ აქტზე მიანიშნებს, ოღონდ გადატანითი მნიშვნელობით. რუსულ თარგმანში ეს ადგილი თარგმნილია, როგორც „начало болезней“, ხოლო საპატრიარქოს გამოცემაში, როგორც „სალმობათა დასაბამი“.*

*4. ეს მუხლი ბიბლიის საპატრიარქოს გამოცემაში საერთოდ არაა და მის ადგილზე 37-ე მუხლის ტექსტია გადმოტანილი, რაც დასანან ლაფსუსს წარმოადგენს.*

*5. ზოგიერთ ახალ ქართულ თარგმანში, — განსხვავებით საპატრიარქოს მიერ გამოცემული ბიბლიისა და რუსული და გ. მთაწმინდლისეული რედაქციებისა, — იკითხება „არავინ იცის... არც ძემ“. ამგვარადაა სახარების ადიშურ ტექსტში და ბერძნულ გამოცემებში, რაც ჩვენი აზრით, სახარების ერთ-ერთ უძველეს ვარიანტში (რასაც ეს გამოცემები ეყრდნობა) მათეს სახარების ეს ადგილი მარკოზის სახარების მიხედვით (13:32) უნდა იყოს „გასწორებული“. ვფიქრობთ, მათეს სახარების ამ ადგილის იდენტურობის ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება, ვინაიდან როგორც გ. მთაწმინდლისეული, ასევე რუსული ტექსტები, სხვა უძველეს ტექსტებთანაა შეჯერებული. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იცოდა თუ არა ქრისტემ მეორედ მოსვლის დროის შესახებ, მრავალი მსჯელობის საგანი იყო ადრეულ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში.*

*6. ბიბლიის უცხოური ტექსტების მიხედვით, მფქველებად, საპირისპიროდ მინდორში გასული მამაკაცებისა, — ქალები იგულისხმებიან. ეს გრამატიკული ნიუანსი სახარების არც ძველ და არც ახალ ქართულ თარგმანებში ხაზგასმული არაა. თუ ვიფიქრებთ, რომ უძველესი ებრაული წესის მიხედვით, ფქვილის დაფქვა საქალო საქმედ ითვლებოდა, ისევე, როგორც პურის ცხობის ყველა სხვა მომენტი, — გასაგები გახდება უძველესი ქართული თარგმანების ამგვარი რედაქცია.*

წიგნის თარო

# ნარკვევი ოთარ ხეფიაშვილის ახალი წიგნიდან

ოთხი წლის წინ დავასრულე მუშაობა ამ ჩანაწერებზე, მისი წიგნად გამოცემა კი შეფერხდა. ამასობაში, ქრონიკონის ათვლის ქვიშის საათში ჩაილია და ჩათავდა XX საუკუნე. „ქარიშხლიანი დემოკრატიის“ მომტანად წარმოედგინათ იგი, აღმოჩნდა კი - ყველაზე მბორგავი და საბედისწეროდ ატორტმანებული, სასტიკი, ცინიკური, აბსურდული, ყველაზე სისხლიანი ომების, აპოკალიფსური საუკუნე; - ასწლეული, რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდა ადამიანის როგორც ნათელი, ისე ბნელი საწყისები, გაშიშვლდა მწვერვალებიცა და უფსკრულებიც ადამიანის სულისა. იმთავითვე გამაოგნებელი შინაგანი წინააღმდეგობები დაჰყვა მას: ერთი მხრივ, პროგრესი, არნახული ტექნიკური და სასწაულებრივი მეცნიერული მიღწევები, და - მეორე მხრივ, ყველაზე გატიალებული მორალი, ადამიანთა და ხალხთა ბედ-იღბლისადმი ისეთი უსულგულობა, თვით ისტორიამდელ ეპოქებშიც ველურობად რომ ეჩვენებოდათ. ყოველივეს კი თანმდევ ფონად, შინაგან აკომპანიმენტად გასდევდა ქვესკნელის გუგუნი.

რაღა თქმა უნდა, ისლამის საშოში გაჩენილმა ტერორიზმის ავთვისებიანმა სიმსივნემაც იმ საუკუნეში გაიდგა მეტასტაზები საყოველთაოდ. სისხლი იღვრებოდა აზიაშიც, ევროპაშიც, ახლო აღმოსავლეთშიც. ეგოიზმით გულგაქვავებულმა ცივილიზებულმა მსოფლიომ კი არად მიიჩნია პატარა ქვეყნებისა და მცირერიცხოვან ერთა ტკივილი. სულაც არ იყო საჭირო გულთმისნობა იმის განსაჭვრეტად, რომ საერთაშორისო ტერორიზმი უთუოდ თავს იჩენდა და მთელი სისასტიკით გამოვლინდებოდა ახალჩამომდგარ ასწლეულში. უსამართლოდ დაღვრილი სისხლი, სისხლი ადამის მოდგმისა, - რომ იტყვიან, - “წყალი არ არის“ და მიწა ვერ ისრუტავს. იგი ღაღადისით შეჩუხჩუხებს ზეცას: “როდემდე?“ მსოფლიო ვითარების დაძაბულობაც, უკვე რა ხანია, ასცდა დუღილის წერტილს. გაუძლებს კია ისედაც ილუზორული და ძალზე მყიფე მშიდობა ასეთ შინაგან წნევას?

დიდი კატაკლიზმების წინათგრძნობით შეპყრობილი ადამიანები ხშირად მისტიკოსებიც ხდებიან, რამეთუ ოდენ სასწაულის მოლოდინიღა რჩებათ იმედად. სასწაულები კი, - ცხადლივი თუ თვალხილული სასწაულები, - უხსოვარი დროიდანვე საუკუნეთა იდუმალებაშია ჩაძირული...

ტრაგიკულად აუხდა მსოფლიოს სიავის წინათგრძნობა. ‘შავი სამშაბათი“ დაერქვა ახალჩამომდგარ საუკუნის პირველივე წლის 11 სექტემბერს. უნებურად მახსენდება: ისლამის ფუძეთაფუძის - ყურანის თქმით, სამშაბათს შექმნა ალაჰმა სიბნელე, წყვდიადი. და არის, ალბათ, რაღაც შავბნელი სიმბოლო იმ ფაქტში, რომ სწორედ სამშაბათი დღე იდგა, როცა საშინელი ბნელეთი დაატყდა თავს საკაცობრიო მშვიდობას. არნახულმა, არგაგონილმა ბოროტებამ შესძრა იმ დღეს ქვეყნიერება: ნიუ-იორკში, მსოფლიოს დედაქალაქად წოდებულ მეგაპოლისში, ისლამის ფანატიზმით გონებადაბინდულმა მუჯახედებმა, თვითმკვლელმა კამიკაძეებმა, გატაცებული თვითმფრინავების ტარანით, იერიში მიიტანეს მანჰეტენში ორ ტყუპისცალ ცათამბჯენზე - ახალი საუკუნის სიმბოლოდ და სამშენებლო გენიის ხვალინდელი დღის ხატებად აღიარებულ ნამდვილ შედევრებზე. დღისით-მზისით, ჩვენ თვალწინ ჩამოიქცა ცეცხლმოდებული ორი ცადაწვდილი გიგანტური სვეტი და მათთან ერთად ჩაიფერფლა ათასობით ადამიანის სიცოცხლე.

მიწიდან ავარდნილი რუხი ნაცარტუტის სოკო ჩამოაწვა მანჰეტენს, დაიბინდა და სიმკვეთრე წაერთვა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) მომავლის კონტურებს; ადამიანებმა უცებ დაკარგეს ხვალინდელი უსაფრთხო დღის რწმენა.

თვით ჰოლივუდის ყველაზე შემაძრწუნებელი კინოფანტასტიკაც კი არარაობად მოჩანდა რეალურად მომხდარი საშინელების წინაშე: თავზარდაცემულ ადამიანთა შეშლილი სახეები, თითქოს პიკასოს „გერნიკადან“ გადმოსული, ფართოდ გახელილ თვალებში ჩამჯდარი ზებუნებრივი შიში; ცეცხლისაგან სანთლებივით იღვენთება ცათამბჯენი სვეტები; ისმის განწირულთა კივილი, ზემოდან ცვივა ტონობით დამსხვრეული შუშა, გამდნარი ლითონი, დანაზმირებული რკინა-ბეტონი; უზარმაზარ შენობათა შიგნით რა ხდებოდა, ნორმალური გონებისათვის ძნელი წარმოსადგენია. თვალმიუწვდენ სიმაღლიდან, სადაც, ამბობენ, ტემპერატურა ათას გრადუსს აღწევდაო, ხტებიან, თავს იგდებენ იმედგადაწურული ადამიანები, რომ ჯოჯოხეთურ გეენიაში არ შთაინთქან უკვალოდ...

შემდეგ, თითქოს მიწამ პირი უყოო, ზედიზედ არყოფნაში იძირებიან ცათამბჯენები, მოჩვენებასავით ქრება მათი სრულქმნილი ხატება. რუხმონაცრისფრო თოვლივით წამოსულ მტვერ-ფერფლისაგან ინისლება გარემო. სიცოცხლისაგან დაცლილი ფერი ედება ყველაფერს. ძრწიან და ჯანღში დანახული სილუეტებივით გარბიან დაზაფრულ-გაოგნებული ადამიანები. სულის გამყინავია მათი ჩრდილების კონვულსიური მოძრაობა, ფართხალი, ყვირილი, კივილი... ტელეკამერა მაინც ახერხებს თავზარდაცემულ ბრბოში რომელიღაც წყვილის გამორჩევას: მამაკაცი ცდილობს, უკან, დატრიალებული ტრაგედიისაკენ არ მიახედოს სიმწრისაგან სახეშეშლილი ქალი... ამ რეალურად ნანახთან შედარებით, აღარად გეჩვენებოდათ არც დანტეს „ჯოჯოხეთი“ - ბოტიჩელის სურათზე გადატანილი, ადამიანთა ტანჯვისა და წამების ტრაგიკული შეგრძნებით რომ გვძრავდა და გვიფორიაქებდა სულსა და გონებას; არც დიურერის „აპოკალიფსისი“ - ეს ქვეყნიერების ხვალინდელი განკითხვის დღის ხილვები; არც პიკასოს „გერნიკას“ ძარღვებში სისხლის გამყინავი ტრაგიზმი; არცა იაპონელ ხელოვან ცოლ-ქმრის, ირი მარუკისა და ტოსიკო აკამაცუს შემაძრწუნებელი გიგანტური პანო - „ხიროსიმა“... ამ საყოველთაოდ ცნობილ სურათებზე მხატვართა განზოგადებული ხილვები და განცდებია გადმოცემული. აქ კი ყოველივე კონკრეტული და რეალურია - ერთ მტკაველ მიწაზე კონცენტრირებული.

და შემდეგ, როცა ისევ ჩნდებოდა ტელეეკრანზე წამიერად გაელვებული იმ ნაცნობი წყვილის სილუეტები, - ახლა უკვე ერთმანეთს გადახვეული, მთლად ფერფლწაფენილი, გარინდულ-გაქვავებული, - ისე აღიქმებოდა, როგორც ოდესმე სოდომ-გომორისაკენ უკან მიხედილი ბიბლიური ლოტის ცოლის მარილის სვეტად ქცეული ფიგურა. საღვთო წერილის სიმბოლიკის ეს ასოციაციაც, თითქოს, უხსოვარ შორეთიდან შეგონებად ისმოდა: თვით წამლეკავი კატაკლიზმების ჟამსაც კი, არა უკან - წარსულისაკენ, არამედ წინ - მომავლისაკენ უნდა იყურებოდე!

პირველი რეაქცია იყო შოკი. ამერიკამ, ზეძლიერმა გოლიათმა, ტკივილისაგან ამოიგმინა და მისი შეცხადება დედამიწას გადასწვდა. მერეღა მოვიდა გააზრება მომხდარი უბედურებისა და ჩვენს თვალსაწიერზე გამოჩნდა, თუ მკრეხელობად არ ჩამითვლით ასეთ თქმას, სასწაული აპოკალიფსის სახით.

სხვას რას უწოდებდით იმ ფაქტს, რომ ტრაგედიის შუაგულიდან პირდაპირი ტელერეპორტაჟების ხილვით შეძრწუნებულ მსოფლიოს, თითქოს უცებ თვალი აეხილაო, უნებურად აღმოხდა: თურმე რა დღეში ყოფილა პატარა ისრაელი, რომელიც დღენიადაგ ასეთ სიმწარეშია!.. (თუმცაღა, სამწუხაროდ, ძალზე წუთიერი აღმოჩნდა ეს თანაგრძნობა, რისი დასტურიცაა ევროპის ქვეყნებსა და სხვაგანაც ანტისემიტიზმის ტალღების ახალი ძალით აგორება).

სხვა რა დავარქვათ იმ მართლა სასწაულებრივ მეტამორფოზას, რომელიც ასე ელვისებურად განიცადა ქვეყნიერებამ და უკვე ძნელი საცნობიღა ხდება ჩვენი ყოველდღიურობა. მთელ ამერიკას თითქოს ტვინში ჩაეჭედა და დღემდე გაუნელებლად ყურში უწივის იმ საბედისწერო დღეს ერთი ქალის გამწარებული შეკივლება - „ო, მაი გად! ო, მაი გად!“ მილიონობით ამერიკელმა ზეცას შეაშტერა თვალი და ლოცვად იქცა. ყველა კონფესიის ქრისტიანულ ეკლესიებსა თუ ებრაელთა სინაგოგებში ერთსულ მდგარნი ღაღადებდნენ ფსალმუნებს - ბიბლიური დავით-მეფის „თეჰილიმს“; ხალხმრავალ თავყრილობებსა და მემორიალურ მიტინგებზე ყველა რასისა თუ ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ერთხმად მღეროდნენ: „ღმერთო, აკურთხე ამერიკა!“, თუმცაღა, შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ ამ არაჩვეულებრივად გულშიჩამწდომი პოპულარული სიმღერის ლექსიცა და მელოდიაც ამერიკელი ებრაელი კომპოზიტორის, ირვინგ ბერლინის შეთხზულია... ქვეყანას დაეუფლა საოცრად გაფაქიზებული რელიგიური გრძნობები და, იმავდროულად, არნახული პატრიოტიზმი.

მახსენდება შორეულ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ფაქტი: როცა პირლ ჰარბორში დატრიალებული ჯოჯოხეთის ამბავი შეიტყო, თურმე, ერთმა იაპონელმა გენერალმა, შეძრწუნებულმა შესძახა: „ეს რა ჩავიდინეთ, ჩვენ ხომ გიგანტი გამოვაღვიძეთ!“ ამჯერადაც, ტერორისტთა ყოვლად უგუნურმა, არაადამიანურმა სისასტიკემ უცებ გამოაფხიზლა კეთილდღეობაში უზრუნველად მთვლემარე ამერიკა. და მთელი ტანით შეიმართა გიგანტი საერთაშორისო ტერორიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებისათვის.

- მაგრამ რა? - ისევ ევფემიზმი, ისევ პოლიტკორექტულობა. აქაო-და, დღეს ჰუმანიზმის ეპოქაა, არავინ გავანაწყენოთ, თვით გამხეცებულებსაც კი გაგებით უნდა ვეკიდებოდეთ...

იმართება დისკუსიები: რა ვუწოდოთ ყოველივეს, რაც ამჟამად ხდება, - კულტურათა შეჯახება? ცივილიზაციათა რკენა? რელიგიათა შეურიგებლობა?.. მაგრამ როგორ შეიძლება ბნელეთს, კაცთმოძულეობას, იმას, რასაც სისხლის ღვრა და სიკვდილი მოაქვს, ეწოდოს კულტურა, ცივილიზაცია ან რელიგია?!

კითხულობენ: ნუთუ „მესამე“ მსოფლიო ომია? არადა, რა არაფრის მთქმელია „ომთან“ სიტყვა „მესამე“. ეტყობა, ძველი ჟამთაღმწერლები უფრო რეალურად მოაზროვნენი ან რომანტიკოსებიც იყვნენ, როცა ომებს მათი შინაარსის გამომხატველ „ლამაზ“ სახელებს არქმევდნენ: „ომი უფლისა ამალეკის წინააღმდეგ“, „მარათონის ომი“; „დიადი ალიანსის“, „ჩრდილოეთის“, „წითელი და თეთრი ვარდების“, „ნარინჯისფერთა“ ომები, „ჯვაროსნული ლაშქრობანი“, „ასწლიანი ომი“... პრაგმატულ საუკუნეში კი, როცა კაცთა მოდგმის მასობრივად ხოცვა-ჟლეტის ინდუსტრიას ისევ „ომს“ უწოდებდნენ, დაიწყეს მათი უბრალოდ გადათვლა ან დანომრვა: - „პირველი“ მსოფლიო ომი, „მეორე“, რაც თავისთავად მიგვანიშნებდა, რომ იქნება ‘მესამეც“ და ა.შ. თავად ომები, ეს კაენის ცოდვით დაღდასმული კაცობრიობის ბედისწერა, მუდამ განპირობებულია დიდი პოლიტიკით, რომელსაც გააჩნია უხილავი „მიწისქვეშა მდინარებანი“ - ეროვნული ინტერესები. ეს ისტორიის უწყვეტი პროცესია და მხოლოდ „ძლიერნი ამა სოფლისანი“ არიან ჩახედულნი მის სიღრმეში, მიზეზთამიზეზში. ჩვენ კი, უბრალო მოკვდავნი, ვხედავთ იმას, რაც მოვლენათა ზედაპირზეა და ვიცით ოდენ შედეგები დაპირისპირებულ ინტერესთა და ძალთა ჭიდილისა: ე.წ. „პირველი“ მსოფლიო ომის შედეგად იშვა „ხაკისფერი ჭირი“ - გერმანული ფაშიზმი და კომუნიზმის ის წითელი „ბოროტების იმპერიაც“, რომლის აჩრდილიც უკვე დიდი ხანია დაიარებოდა ევროპაში. „მეორე“ მსოფლიო ომში დამარცხდა და დაითრგუნა ფაშიზმი. „მესამე“ მსოფლიო -„ცივ“ ომში დაიმსხვრა საბჭოთა იმპერია. მაგრამ, თავს ნუ მოვიტყუებთ პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა გამონაგონით, სინამდვილეში ომი - არც „ცხელი“, არცა „ცივი“ - არასოდეს დამთავრებულა, ბერტოლდ ბრეჰტის თქმისა არ იყოს, „ჯერაც არ გაბერწებულა საშო, რომელმაც ჩაისახა ურჩხული“. სწორედ ფაშიზმთან და საბჭოთა იმპერიასთან მრუშ კავშირში ჩაისახა ისლამის საშოში და იბარტყა ურჩხული - საერთაშორისო ტერორიზმი.

ახლა ყველგან, მეტადრე ამერიკაში - პოლიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები - გაფაციცებით სწავლობენ ისლამს, მის მცნებებს, ისტორიას. გვიან, მაგრამ მაინც მოეგენ გონს. იკვლევენ და ეძებენ პასუხს, თუ საიდან, რა საწყისებიდან მოდის ისლამის მიმდევართა საუკუნეებში დაუმცხრალი სიძულვილი, უნდობლობა და შეურიგებლობა, პირველ რიგში, ებრაელებისადმი და, საერთოდ, ყველა სხვა სარწმუნოების ხალხებისადმი; რა შთაგონების ძალით თუ იდეოლოგიით აქვთ დაბინდული გონება ფანატიკოს თვითმკვლელ ტერორისტებს, რომ არად აგდებენ არც სხვათა და არცა საკუთარ სიცოცხლეს; ცდილობენ ყურანში ჩაღრმავებას, მისი მცნებების გააზრებას, „სუნების“ ანუ წინასწარმეტყველ მუჰამედის გამონათქვამებსა და ნამოქმედარზე ტრადიციულ თქმულებათა, მათი კომენტარების ახსნას... და თითქოს, სულაც არ არის მოულოდნელი, რომ უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა და ძნელად ხელმისაწვდომი გახდა, - სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ, 1995-ში ნიუ-იორკში გამოცემული, - ისლამის უსაზღვროდ ერთგული, არაბული წარმომავლობის ინგლისელი ჟურნალისტის, ადილ სალახის მონუმენტური ნაშრომი „მუჰამედი - ადამიანი და წინასწარმეტყველი“; ან მისი ერთ-ერთი თავწყარო, ათასზე მეტი წლის წინათ დაწერილი, იბნ შიხამის „ცხოვრება წინასწარმეტყველისა“, რომელიც „აუწონელ და ფასდაუდებელ განძად“ მიუჩნევიათ მაჰმადიანებს. მარტოდენ ამ წიგნების მკითხველიც კი ადვილად დარწმუნდება, რომ ცდება და თავს იტყუებს ყველა, ვისაც ჰგონია, თითქოს, ბოლო ათას ოთხასი წლის განმავლობაში რაიმე ცვლილება განიცადა ისლამმა, ან არაბებიც ის აღარ არიან, რანიც უწინ იყვნენ...

ამ ჩანაწერებში ერთგან უკვე გავიხსენე ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი „კრამოლური ჰობი“ - წადილი, გავრკვეულიყავი დიდი რელიგიების რაობაში. ეტყობა, იქიდან მომყვება გაოცება და ერთგვარი დაბნეულობა თუ წყენა იმის გამო, რომ ისლამი, რომლის აღზევების ჟამსაც სხვადასხვა ქვეყანაში - და, ალბათ, მათ შორის, საქართველოშიც, არაბთა სამასწლიანი ბატონობის პერიოდში - იუდეველები არცთუ ურიგოდ გრძნობდნენ თავს, თურმე სინამდვილეში ერთთავად საომრად ამხედრებულ და ქარქაშში ხმალჩაუგებელთა მოძღვრება ყოფილა.

ისლამში არ არსებობს „აწ გარდასულ დროთა“, „ძველის“, „წარსულის“ გაგება. როცა მუსლიმები ან არაბები მიმართავენ ე.წ. „ისტორიულ ექსკურსს“, დარწმუნებული არიან, რომ იცავენ და გამოხატავენ თავიანთთვის აქტუალურ პრინციპებს, რამეთუ ისლამია მათი ყოველდღიური ცხოვრებისა და აზროვნების არსი, - ერთდროულად, წარსულიცაა, აწმყოც და მომავლის დამსახველიც. მუსლიმ ფუნდამენტალისტებსაც და არაბებსაც ერთი აქვთ მიზანი და ძირიც ერთი კვებავთ - ისლამი, რომლის კანონთა ურყევი საძირკველია ყურანი და „პრეცენდენტები“. ამ ბოლო სიტყვაში იგულისხმება ცხოვრება და გამონათქვამები მუჰამედისა, რომელიც - მათი რწმენით, - ყოვლად შეუმცდარია, იდეალია მართლმორწმუნე მაჰმადიანთა და ყველა თაობაში უსიტყვოდ, განსჯის გარეშე და უდრტვინველად ემორჩილებიან მის კანონებს (შარიათს), რომელთა თავი და თავი, ამოსავალი ისევ ყურანი და





„სუნებია“. კემბრიჯის პროფესორი აკბარ აჰმედი, პოპულარულ გამოცემაში (ისლამ თუდაი“... 2001) წერს: „წინასწარმეტყველი წარმოგზავნილია, ხოლო ყურანი წერილია ღმერთისა. ისინი, ორთავე ერთად, მუსლიმთა იდეალური ქცევისა და აზროვნების საფუძველია... წინასწარმეტყველი თავის ბოლო ქადაგებაში ამბობს: „მე თქვენ გიტოვებთ ორ რამეს - ყურანსა და ჩემი ცხოვრების მაგალითს - „სუნებს“. და თუ მათ მიჰყვებით, არასოდეს გადაცდებით გზიდან“. მისი ეს ანდერძი შეუვალია მაჰმადიანთათვის, ვრცელდება ცხოვრების ყველა სფეროზე, ყველა მოვლენაზე, მათ შორის - ომსა და მშვიდობაზეც.

გამოტეხილად უნდა ითქვას: ჩვენი, - ამერიკელების, ევროპელების, ისრაელელების, - წარმოდგენები ახლო აღმოსავლეთის კრიზისზე, უფრო კონკრეტულად კი, ამ რეგიონში მშვიდობაზე, ჩვენივე მცდარი ან გულუბრყვილო წარმოსახვის ნაყოფია მხოლოდ. ეტყობა, მშვიდობა ჩვენ ოდენ წინასწარმეტყველ ესაიას ნაოცნებარად გვესახება: „მახვილებისაგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისგან - ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს“ (ესაია, 2:4). ასე იდეალურად ეხატებოდა მომავალი შიმონ ფერესსაც, როცა დაწერა წიგნი „ახალი ახლო აღმოსავლეთი“. არაბულმა სამყარომ კი, ამ წიგნშიც “ებრაელთა სივერაგე” დაინახა, ახმაურდნენ: - სიონისტები ოცნებობენ ქვეყნიერების ისე გადაკეთებაზე, რომ ყველა არაბი თავიანთ დიქტატს დაუმორჩილონო. თვით ეგვიპტის დღევანდელ პრეზიდენტს ჰოსნი მუბარაქსაც ირონიულად ჩასცინებია ამ წიგნის სათაურის გამო და უთქვამს: „მაშინ რა ვუყოთ “ძველ ახლო აღმოსავლეთს”, რა არ მოსწონთ ებრაელებს მასში?“ არადა, როდემდე უნდა ვიიმედებდეთ თავს სულმნათ ესაიას ნაოცნებარით, როდემდე არ უნდა ვითვალისწინებდეთ რეალურ სინამდვილეს - ჩვენდამი დაპირისპირებულ ისლამის მიმდევართა სისხლ-ხორცში გამჯდარ რწმენას?

იშმაელის, არაბთა საწყისისა და მამამთავრის, მოდგმისათვის არ არსებობს სხვა, უფრო ბუნებრივი მდგომარეობა, ვიდრე ომია - ჯიჰადი, დაუსაბამო „საღვთო ომი“ ურჯულოთა ანუ არამუსლიმთა წინააღმდეგ. ჯიჰადი ყურანის მცნებაა, მის მიერ დადგენილი უპირველესი და უმთავრესი ვალდებულებაა მაჰმადიანთა. ყურანის მცნებათა აღმსარებელნი და აღმსრულებელნი კი მეოცნებენი არ არიან, მათთვის უფრო მისაღებია პრაგმატიზმი და მოქმედებენ პრინციპით: „თუ ვერ მისწვდები, ხელს ნუ გაიწვდენ“, ანუ ხელმძღვანელობენ წინასწარმეტყველ მუჰამედის ცხოვრების მაგალითებით - „პრეცენდენტებით“, შინაგანად არასოდეს გამოდიან ომის მდგომარეობიდან და, თვით დროებითი ზავის შემთხვევაშიც, მოთმინებით ელიან ხელსაყრელ მომენტს, როცა ისტორიის სასწორი მათ მხარეზე გადაიხრება.

დღეს არაბული პროპაგანდა ცდილობს ჯიჰადის შემოსვას ევროპულ ყაიდაზე, ისე წარმოუდგენენ დასავლეთს, თითქოს მათი „საღვთო ომი“ ჩვეულებრივი ბრძოლაა დამოუკიდებლობისათვის, ლამისაა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ შემართებად ხატავენ. - სიცრუეა! - მტკნარი, უტიფარი! ჯიჰადი პერმანენტული სისხლისმღვრელი ომია მანამდე, ვიდრე ისლამი არ გაიმარჯვებს და მის კანონებს არ აღიარებს მსოფლიო.

ვიმეორებ, ჯიჰადი ყურანის შეუვალი მცნებაა და მისი ხელყოფა არავის ეპატიება. ამიტომ იყო: როცა 1973 წელს, ახლო აღმოსავლეთში ომის შემდეგ, ეგვიპტის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ანვარ სადათმა ხელი მოაწერა ისრაელთან „სამშვიდობო ხელშეკრულებას“ და საქვეყნოდ განაცხადა - „ამიერიდან აღარ იქნება ომი, აღარ იქნება სისხლისღვრა!“ - ამით მან თავადვე გამოუტანა თავის თავს სიკვდილის განაჩენი, რამეთუ შელახა და დაარღვია ყურანის უმთავრესი მცნება. სხვათაშორის, დარჩენილია მაშინდელი ერთი პოლიტიკოსის მოგონება: იმ „სამშვიდობო შეთანხმებასთან“ დაკავშირებით გამართულ ზეიმზე სიტყვით გამოდიოდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯიმ ქარტერიც. მას მოუნდომებია თავის გამოსვლაში მოეყვანა გამონათქვამები მშვიდობის შესახებ სამი რელიგიის საღვთო წიგნებიდან. პრეზიდენტის თანაშემწეებს იოლად მოუნახავთ შესაფერისი ციტატა ებრაულ „თანახში“, ბიბლიიდანვე აუღიათ სიტყვები, რომლებიც ქრისტიანულად გაისმოდა, მაგრამ - რამდენიც არ ეცადნენ, - ყურანში ვერ აღმოაჩინეს მოწოდება მშვიდობისაკენ. ყურანში არ მოიპოვება ქარაგმაც კი, რომელიც მშვიდობაზე მიანიშნებდა. იგი არ ცნობს „გიაურებთან“ ანუ არამაჰმადიანებთან ხანგრძლივ მშვიდობიან თანაარსებობას. და ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს გამოთქმა - „ისლამი მშვიდობიანი რელიგიაა“, - სულ ერთია, ცდება. ისლამისათვის, სამწუხაროდ, მარტოდენ ძალის ენაა გასაგები.

ომი, მისი საზიზარი სახე და ხასიათი, ზოგჯერ „მცირე“ დეტალებშიც მჟღავნდება. ასეთად მეჩვენება ბოლო დროის ერთი ფაქტი: 2002 წლის 23 იანვარს, პაკისტანის ქალაქ ყარაჩში, ისლამისტმა „ბოევიკებმა“ გაიტაცეს ამერიკელი ჟურნალისტი დანიელ პერლი - გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნალის“ თანამშრომელი.

- დაატყვევეს? მძევლად აიყვანეს? - არა! ერთი თვეც არ გასულა და ამერიკის საელჩოს მიუვიდა სამწუთიანი ვიდეოკლიპი - სისხლიანი დოკუმენტი ჟურნალისტის სიკვდილით დასჯისა. კლიპი ინტერნეტის საიტებზეც მოხვდა და ათასობით ადამიანმა ნახა: ყელზე მახვილმიბჯენილი ჟურნალისტი პირდაპირ იყურება გადამღები ვიდეოკამერის ობიექტივში და ამბობს: „მე მქვია დანიელ პერლი. ამერიკელი ვარ, კალიფორნიიდან... მამაჩემი ებრაელია, დედაჩემი - ებრაელი, მე - ებრაელი ვარ“. შემდეგ კი, ყელგამოღადრულის ხროტინს ფარავს ბრბოს ღრიალი. ვიდეოკლიპის კულმინაციური კადრია - ჟურნალისტის მოკვეთილი თავი...

და თვალწინ მედგა, ჯერ კიდევ ბავშვობიდან გონებაში ჩარჩენილი, საზარელი სურათი გენიალური ქართველი პოეტის - ვაჟა ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლიდან“, როცა მთიელი მაჰმადიანი ქისტები, თავიანთ მკვდარს სასაფლაოზე, მსხვერპლად სწირავენ მუხანათურად დატყვევებულ, ხელფეხგაკოჭილ ქრისტიან ხევსურ ზვიადაურს, რომელიც ყელზე ხანჯლის წვერმიბჯენილიც არ ტყდება სულიერად, “არ უსრულებს წადილს” ფანატიკოს მოსისხლეებს და სულის ამოსვლამდე ამოიძახებს - „ძაღლ იყოს თქენი მკვდრისადა!..“

მაგრამ იქ, პოემაში, გარესამყაროს მოწყვეტილი, კავკასიონის მიუვალ მთებში ჩაკეტილი ტომები და აულებია, გაქვავებული ყოფა, სისხლის აღების ადათ-წესები...

აქ კი, ამჯერად?.. - ნუთუ ისევ შუასაუკუნეობრივი ბნელეთი და ველური სიშმაგე, დღევანდელობისათვის წარმოუდგენელი რელიგიური ფანატიზმი და ბარბაროსობა?

- დიახ! მაგრამ არა მარტოდენ ეს.

ვიდეოკლიპს აქვს ქვეტექსტი და იკითხება: ამერიკელი ჟურნალისტის, ებრაელი დანიელ პერლის სისხლით მკვეთრი ზღვარია გავლებული და გამიჯნულია, - როგორც დღეს გამოთქვამენ, - „დარ ელ-ჰარბ“ (დასავლეთის ცივილიზაცია) და „დარ ელ-ისლამ“ (ისლამური ცივილიზაცია). აშკარად ისმის გამოწვევა: თქვენ - ამერიკელებო, ებრაელებო, სულით-ხორცამდე გახრწნილო დასავლეთო, შემოგვხედეთ, - აი, ესა ვართ ჩვენ - წინასწარმეტყველ მუჰამედის მხედრები. ჩვენ თქვენს ყელზე მობჯენილი ორლესული მახვილი ვართ და არ ვიცით დანდობა და სიბრალული!..

- მზად არის თუ არა ცივილიზებული მსოფლიო ამ გამოწვევის მისაღებად, ამხედრებულ ბოროტებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებისათვის?

თუმცაღა, დანიელ პერლის მსხვერპლად შეწირვის ვიდეოკლიპში სხვა, არანაკლებ მკვეთრად გამოხატული აზრიც იკითხება, რომელიც არ ან ვერ გაუთვალისწინებიათ სისხლით გახელებულ ვიდეო-კლიპმახერებს: ყელზე მახვილმიბჯენილი, სიკვდილამდე სულ რამოდენიმე წამით ადრე, ადამიანი უბრუნდება თავის საწყისს, თავის თავს; იგი იაზრებს, თუ ვინ არის და რისთვისაა გაჩენილი ქვეყნიერებაზე, ახდენს თვითიდენტიფიკაციას: დიახ, ამერიკელია, დაბადებულია კალიფორნიაში, ჟურნალისტია ანუ თხემით-ტერფამდე დასავლეთის ცივილიზაციის, „დარ ელ-ჰარბის“ განსახიერებაა; ისიც - ისევე, როგორც სხვა, მილიონობით ადამიანი, ცხოვრობდა, ეჭვობდა, თავს ეკითხებოდა: ვინა ვარ და რა არის ჩემი ამქვეყნიური დანიშნულება? და აი, პასუხი, - ყველაზე ჭეშმარიტი და ეჭვმიუტანელი, ყველაზე მართალი, რამეთუ მის მიღმა უკვე სიკვდილია, - „მე ებრაელი ვარ!“

მაგრამ როგორ გავიგოთ ადამიანის ამ უკანასკნელ ამონათქვამში სიტყვა „ებრაელი“? როგორც მარტოდენ ვაჟკაცური ეროვნული სიამაყე და სულიერი ძლიერება? თუ განათლებული ჟურნალისტი „ებრაელში“ გულისხმობდა ამ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობასაც - „გაღმიდან მოსულს“? გაღმიდან ანუ „დარ ელ-ჰარბიდან“ მოსულს - არა სამტროდ, არამედ სიმართლის სათქმელად? — არ ვიცი. ერთი კი ცხადია: გაუმართლებელი ადამიანური სისუსტე და უსაშველო გულუბრყვილობა იქნებოდა უბრალოდ დაშვებაც კი იმისა, რომ შეიძლებოდა, ასეც გაეგოთ მისი ნათქვამი „დარ ელ-ისლამის“ ფანატიკოსებს, როცა სისხლმოწყურებულ მგლების ველური წადილით ასრულებდნენ ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალს.

მე არ ვიცნობ დანიელ პერლის შემოქმედებას, ოდესმე არც მისი რეპორტაჟები წამიკითხია „უოლ სტრიტ ჯორნალში“. მაგრამ არა მგონია, გამართლებული იყოს მისი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ამოძახილის შეფასება მარტოდენ ეროვნული ნიშნით. ეს არც ანდერძია მშობლისა ჯერაც არხილული შვილისადმი, იმ პაწია ბიჭუნასადმი, რომელიც სულ მალე დაიბადა მამის დაღუპვის შემდეგ. ვფიქრობ, დანიელ პერლის უკანასკნელ ამონათქვამში ზოგადსაკაცობრიო მოწოდება - ოდინდელი ხმამოგანგაშე უფრო ისმის: „მიძინებულნო და მთვლემარენო, გამოფხიზლდით!“





# ბასმაჩა

ვალერი კვარაცხელია



დაახლოებით ორი თვის თუ იქნებოდა ლეკვი, ტატიანა იაგოდკინამ ასლან აბაშიძეს რომ მიუყვანა. ტატიანა ცნობილი კინოლოგი და ვეტექიმი იყო და ძაღლების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა. იგი ასლან აბაშიძემ კრასნოდარიდან მაშინ ჩამოიყვანა, როცა ქართული ჯიშის ძაღლების მოშენება გადაწყვიტა. ასლანს ცხოველები ბავშვობიდან უყვარდა, მაგრამ აქ მხოლოდ ცხოველების სიყვარულში არ იყო საქმე. უნიკალური მონაცემებით განთქმული, ქართული ჯიშის ნაგაზი გადაშენების პირზე იყო მისული და ამ საქმეს შველა უნდოდა...

ლეკვი, მცირე ასაკის მიუხედავად, უზარმაზარი იყო, ფოლადის დანებივით ბასრკლანჭებიანი დიდი თათებით დააბიჯებდა. ღია ყავისფერი, ხშირი და გრძელი ბეწვით იყო შემოსილი, მოკლე ცხვირი კი შედარებით უფრო მუქი ჰქონდა და როცა ვეება პირს დააღებდა, უშველებელი, წითელი და ხაოიანი ენა თითქოს ხაზს უსვამდა და საგანგებოდ აჩენდა თეთრად მოქათქათე გრძელ ეშვებს, რომლებიც მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. ლეკვი ყაზბეგის რაიონიდან ჩამოუყვანიათ უცხო პირებს, მაგრამ მისით ბევრი არავინ დაინტერესებულა. ამ ევროპეიზებულ ქალაქში თუკი ვინმე ძაღლებით დაინტერესდებოდა, ეჭვი არ იყო, რომ მეცხვარის უზარმაზარ ნაგაზს პატარა, დეკორატიულ ძაღლებს, ათასი ჯურის, გრძელბეწვებიანს და არაბუნებრივად აჭრელებულ პუდელებს და სხვა მისთანებს არჩევდა.

ყაზბეგიდან ჩამოსულები ასლან აბაშიძესთან მისასვლელ გზებს ეძებდნენ, ამიტომ ისინი იაგოდკინასთან მიასწავლეს და ტატიანამაც, ნახა თუ არა ლეკვი, როგორც მაღალი კლასის სპეციალისტი, მაშინვე მიხვდა, რომ ეს სწორედ ის იყო, აბაშიძე ამდენ ხანს რომ დაეძებდა. მან ლეკვი იმავე საღამოს აბაშიძეს მიუყვანა. ლეკვი, მიუხედავად იმისა, რომ ცხვირზე სპეციალური დამცავი, ე.წ. ალიკაპი ეკეთა, ახლოს არავის იკარებდა. ძაღლების მომვლელთა შორის უმთავრესი, გაურკვეველი ეროვნების, რუსულენოვანი ალიკა ყელზე გამობმული გრძელი ჯაჭვით ძლივს აკავებდა. ასლანს მოეწონა ლეკვი, შორიდანვე დაუყვავა მას და მისკენ გაემართა. ალიკამაც და ტატიანამაც ერთდროულად წამოიძახეს.

- Не подходите близко! - მაგრამ ასლანი არ შეყოვნებულა, ლეკვთან მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა. ლეკვი აიძაგრა. აბაშიძე ეფერებოდა, საალერსო სიტყვებს ბლომად ეუბნებოდა და თავზე ხელს უსვამდა. ლეკვი იღრინებოდა, აბაშიძემ ორივე ხელი დაცქვეტილ ყურებში წაავლო და დაუსრისა, ყელზე მოეფერა. მერე დაიჩოქა ჯერ კიდევ უნდობლად მომზირალი ლეკვის წინ და ალიკაპის მოხსნას შეუდგა.

- Батоно Аслан, прошу Вас, не надо, - ეხვეწებოდა და შიშისა და უხერხულობისაგან როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა ალიკამ. ასლანმა მშვიდად შეხსნა პატარა ბალთებით შეკრული ტყავის ღვედები და ლეკვს ალიკაპი ჩამოაცილა. მან ოდნავ გახსნა პირი და უზარმაზარი, წითელი ენა პირსახოცივით მოისვა ცხვირ-პირზე. ასლანმა კისერზე მოხვია ხელები და მისი ბომბორა თავი მკერდზე მიიკრა.

- Это было удивительно, ничего подобного я раньше не видел - გაკვირვებას ვერ მალავდა ალიკა შემდეგშიც, როცა ამ ამბავს იხსენებდა.

- Я дрожала от страха - ყვებოდა ტატიანა.

- Эти собаки очень опасные, исключено, чтобы чужого человека они так близко к себе подпустили, а там что произошло, обяснять не могу, - კვლავ მხრებს იჩეჩდა ალიკა.

მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ მოხდება, როცა ყოველივე მშვიდად ჩაივლის. ახლა კი ისინი გაოგნებული შეჰყურებდნენ, ასაკით, მართალია, პატარა მაგრამ ბუნებით მეტისმეტად ავი, უზარმაზარი ქოფაკი, რომელსაც გენში არ უწერია, რომ უცხო ადამიანი მიიკაროს, როგორ გატრუნულიყო ამ უცნაური და გულადი ადამიანის მკერდს მინდობილი.

- ცოტა მოხარშული ხორცი მომიტანონ, - მიუბრუნდა ასლანი იქვე მდგომ თანაშემწეს, რომელმაც რამდენიმე წუთში მოზრდილ ლანგარზე დალაგებული საქონლის მოხარშული ხორცი მოართვა. ხორცის სუნზე ლეკვმა ენა გააწკლაპუნა. აბაშიძე წამოდგა. იგი თითო ნაჭერს იღებდა ლანგრიდან და ლეკვს პირში უდებდა. ისიც მადიანად, კბილების ოდნავი დაკარებით ყლაპავდა ხორცის მოზრდილ ნაჭრებს, ვიდრე არ დანაყრდა.

შემდეგ აბაშიძემ ბრძანა:

- წაიყვანეთ, ვოლიერს შეეჩვიოს, აკლიმატიზაციას მკაცრად ადევნეთ თვალი, ჰო, ის ხალხი შემახვედრეთ, ეს ლეკვი ვინც ჩამოიყვანა.

მერე ლეკვს კვლავ გადაუსვა თავზე ხელი, კვლავ მოუსრისა ყურები და დარბაზიდან გავიდა...

იმ საღამოს აბაშიძის კაბინეტში ორი მოხევე იჯდა და ლეკვის ჯიშისა და წარმომავლობის შესახებ მის შეკითხვებს პასუხობდა.

- წმინდა ჯიშის კავკასიური ნაგაზია. სულ ცოტა, ათი თაობა, დედაც და მამაც, ნამდვილი მეცხვარე ჰყავდა. ერთი ცნობილი მწყემსი გვყავს - ივანე ჩოხელი, ოთხმოცს მიღწეულია, მაგრამ ცხვარს არ ეშვება, ვანო პაპას ეძახით, - ყვებოდა ამ ორს შორის უფროსი, ასე, ორმოცს მიტანებული, მწითური სახის, მეჩხერწვერიანი მამაკაცი, - ვანოს მამა მე კარგად მახსოვს. როცა გარდაიცვალა, ას წელს იყო მიტანებული. ის გვიყვებოდა ამ ძაღლების ამბავს, მამისგან ნაამბობი ახსოვდა იმასაც, თუ როგორ უვლიდნენ ძაღლების ჯიშს, არავითარ შემთხვევაში უჯიშოს არ შეაჯვარებდნენ, რომ სისხლი არ გაფუჭებულიყო.

- შენ ამ ლეკვის ამბავი მოყევი - არ აცლიდა მეორე - შედარებით ახალგაზრდა, შავი წვერ-ულვაში რომ მოეშვა და ძველი დროის პატრიოტული ქართული ფილმების პერსონაჟებივით დიდრონი თვალები და ქათქათა ღიმილი ჰქონდა.

- რა ამბავი გადახდა ასეთი? - ცნობისმოყვარეობას იჩენდა და გულისყურით მოსასმენად ემზადებოდა აბაშიძე. ისინიც მორიგეობით ყვებოდნენ ისტორიას, რომელშიც, თვითონაც არ იცოდნენ კარგად, რა იყო ნამდვილი და რა მოგონილი და მიმატებული. მათი მონაყოლიდან ირკვეოდა, რომ ერთ ყინვიან, ქარიშხლიან ღამეს ივანე ჩოხელის ცხვარს მგლები დასხმიან თავს. ამ ლეკვის დედას, რომელსაც ამის გარდა კიდევ ორი ლეკვი ჰყავდა, მგლების ხროვისთვის, რომელშიც ათიოდე მშიერი მგელი იქნებოდა, მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია, მაგრამ ერთი ძაღლი ამდენ მგელთან რას გახდებოდა.

რამდენიმესთვის კი გამოუღადრავს ყელი, მაგრამ მგლები დარევიან ჯერ კიდევ ძუძუთა ლეკვებს და ორი დაუგლეჯიათ კიდეც. ეს ერთი რაღაც სასწაულით გადაურჩენია დედას, მაგრამ თვითონ მძიმედ დაჭრილი და მომაკვდავი წაქცეულა, ამ დროს მწყემსის თოფიც გავარდნილა და სამი ყელგამოღადრული მგლის გვერდით ორ დაგლეჯილ ლეკვთან ერთად სისხლისგან დაცლილი დედა ძაღლიც უპოვიათ. ლეკვები უკვე მკვდრები იყვნენ, დედა ჯერ კიდევ სუნთქავდა, თურმე. ბევრი იწვალეს მწყემსებმა, თუ რამ წამალი და ექიმობა იცოდნენ, ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ გამთენიისას ძაღლი მომკვდარა, ხოლო ეს ლეკვი, რომელიც რაღაც სასწაულით იყო გადარჩენილი, ერთთავად კანკალებდა და გაუთავებლად ყმუოდა. არც საჭმელს აკარებდა პირს და არც არავის იკარებდა.

- ვანო პაპამ თქვა, - ყვებოდა შავწვერულვაშიანი, - ამათი ჯიშის ამბავი რომ ვიცი, ეს ლეკვი შიმშილით მოიკლავს თავს. წაიყვანეთ სადმე და ვინმეს მიეცით. აქაურობას რომ მოშორდება, იქნება გულზე დარდი გადაიყაროს და ამ ქვეყნისკენ მოიხედოს. თუ არადა, მაგის სიკვდილს მაინც ნუ მაყურებინებთო.

- ჩვენც ავდექით და ბარში წამოვიყვანეთ, მაგრამ უნდა გენახათ, რა დღე გვაწია, სანამ ალიკაპს გავუკეთებდით, კინაღამ დაგვჭამა, ძალიან ძლიერი და გაავებულია - ჩამოართვა სიტყვა მწითურმა... მერე შევიტყვეთ, ასლან აბაშიძეს ძაღლების მოშენება დაუწყიაო და ვიფიქრეთ, იქნებ მას მოეწონოსო, ამიტომ პირდაპირ ბათუმში ჩამოვედით, - დაასრულა მან ამბის მოყოლა.

აბაშიძე კარგა ხანს ხმას არ იღებდა, მერე მარტო ის იკითხა, ლეკვს სახელი რა ჰქვიაო. არ ვიცითო, მხრები აიჩეჩეს სტუმრებმა. ეს ლეკვები პატარები იყვნენ და ვანო პაპა რომელს რას ეძახდა, არ გაგვიგიაო. ისე, დედამისს ბასმაჩას ვეძახოდითო, დაამატეს. ძალიან ძლიერი და ძალიან ლამაზი ძაღლი იყო ბასმაჩაო, თქვეს მერე ისეთნაირად, ამქვეყნიდან წასულ ძვირფას ადამიანზე რომ იტყვიან ხოლმე.

იმ საღამოს აბაშიძემ ლეკვი მოიკითხა. ტატიანამ მოახსენა, რომ იგი შოკიდან უკვე გამოსულია და ხვალიდან საჭირო აცრების კეთებას დავუწყებთო.

გვიან ღამე აბაშიძე ლეკვის მოსანახულებლად ძაღლსაშენს ეწვია. ახლად მოყვანილი ლეკვი მოიკითხა და, როცა ვოლიერთან მივიდა, ლეკვი ადგა, რკინის გისოსებთან მოვიდა, წინა თათები ცხაურებზე შემოაწყო და აბაშიძეს სახეში მიაჩერდა. ასლანმა ვოლიერის გარედან თავზე გადაუსვა ორივე ხელი, კვლავ მოუსრისა ყურები.

- ბასმაჩა, ჩემო ბასმაჩა! - ჩასჩურჩულა ყურში.

ლეკვმა კუდი გაუქნია და ძვირფასი შალის ქსოვილისგან შეკერილი პეწიანი პიჯაკის სახელოზე უზარმაზარი თათი დაადო.

აქედან დაიწყო მათი მეგობრობა.

მეორე დილას აბაშიძე, ვიდრე რეზიდენციაში მოვიდოდა, კვლავ ძაღლსაშენს ეწვია. სხვა ჯიშიან ძაღლებთან ერთად, რა თქმა უნდა, ბასმაჩაც მოინახულა. კვლავ საკუთარი ხელით აჭამა ნახევრად მოხარშული ხორცი, კვლავ მოეფერა. მერე ბასმაჩას ჩამომყვან ბიჭებს ფული და საჩუქრები გაუგზავნა.

- კარგად უმასპინძლეთ და ისე გაუშვითო, - ბრძანა.

საღამოს კვლავ მოაყვანინა ბასმაჩა რეზიდენციაში. იგი გაცილებით შინაურულად გრძნობდა თავს. თანაშემწემ მოახსენა - იმ ბიჭებმა საჩუქრებისთვის მადლობა შემოთვალეს, ფული კი არ აიღეს. ჩვენ ლეკვს არ ვყიდით, მისი გადარჩენა გვინდა და თუ თქვენ ამას შეძლებთ, პირიქით, მადლობელი დაგრჩებითო.

ლეკვი გადარჩა, ხოლო აბაშიძისა და მისი ურთიერთობა ოდნავ გასცდა დასაშვებ ზღვარს და რაღაც რომანტიკული იერი მიიღო. ბასმაჩა დღითიდღე იზრდებოდა და მართლაც ჩინებული ნაგაზი დგებოდა. დადგა დრო მისი გამოფენაზე გაყვანისა. პირველი გამოფენა ვილნიუსში მოეწყო. აბაშიძე გამოფენაზე ვერ ჩავიდა და ბასმაჩამ, მიუხედავად იმისა, რომ ალიკა და ტატიანა თან ახლდნენ, რომლებიც დღედაღამ უვლიდნენ და თან ყვებოდნენ, მაინც მოიწყინა. გამოფენაზე კი არნახული შედეგი მიიღო - ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაიმსახურა. შემდეგ იყო ბერლინის, ლონდონის და ნიუ-იორკის გამოფენები. ბასმაჩა ყველა გამოფენიდან ოქროს მედლით მკერდდამშვენებული ბრუნდებოდა. ტოკიოს გამოფენაზე კი მან მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მის შესახებ საზღვარგარეთელი ჟურნალისტები ქებითა და ხოტბით აღსავსე სტატიებს წერდნენ, კინორეჟისორები დოკუმენტურ და მხატვრულ ჩანახატებსა და სრულმეტრაჟიან ფილმებს იღებდნენ, მაგრამ ამ ბრწყინვალე შედეგებს ერთი რამე აყენებდა ჩრდილს - პატრონთან დროებითი განშორება, როცა ეს აუცილებელი ხდებოდა.

ერთხელაც აბაშიძეს მოუწია ბათუმიდან მივლინებით გამგზავრება. კვლავ მოიწყინა ბასმაჩამ, აღარ ჭამა საჭმელი და სევდიანი თვალებით უყურებდა მომვლელებს. აღარც ალიკას იკარებდა, აღარც ნატაშას. მერე ნატაშამ მოიფიქრა და აბაშიძის პერანგი მიუტანა ბასმაჩას. დასუნა ბასმაჩამ პერანგი, მერე სტაცა კბილები და გიჟივით გავარდა განიერი ვოლიერის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოსკენ. ყნოსავდა პერანგს, დააფრიალებდა დროშასავით და დარბოდა წინ და უკან გაუთავებლად. მერე დააგდო ძირს და გაწვა პერანგზე. უშველებელი თათები დააწყო ზედ და ჩარგო ცხვირი შიგ. ასე იყო ჩახუტებული იმ პერანგთან, ვიდრე აბაშიძემ ვიზიტი არ მოილია და ბათუმში არ დაბრუნდა.

ყველას უკვირდა ბასმაჩას ასეთი საქციელი. ისეთ სპეციალისტებსაც კი, როგორებიც ალიკა და ტატიანა იყვნენ, ანალოგიური ამბავი არათუ არ ენახათ, სპეციალურ ლიტერატურაშიც კი არ წაეკითხათ. ზოგი რით ხსნიდა ამ ამბავს და ზოგი - რით. იხსენებდნენ ლეგენდადქცეულ შემთხვევებს, როცა პატრონის გარდაცვალების შემდეგ ქართული ჯიშის კავკასიური ნაგაზი სასაფლაოზე მივიდა, გაწვა საფლავზე და არ განძრეულა, ვიდრე სული არ დალია. ვიღაც მეცხვარე ყინვიან ამინდში ხევში ჩავარდნილა და ვერ ამოდიოდა, თურმე. ქართული ნაგაზი ორი კვირის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია და ჩახუტებული, საკუთარი სხეულით ათბობდა, თურმე, პატრონს.

ყვებოდნენ სხვა საინტერესო შემთხვევებსაც, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო ექსტრემალურ სიტუაციებში ძაღლების მიერ გამოვლენილი არაორდინარული საქციელი იყო, ხოლო ჩვეულებრივ ვითარებაში ძაღლსა და ადამიანს შორის ურთიერთობის, სიყვარულისა და მონატრების ასეთი გასაოცარი გამოვლინება არასოდეს ენახათ.

აბაშიძე ძალიან დაკავებული იყო. მას ბევრი რამ უნდა მოესწრო, რადგან საქართველოს მთავრობა გამუდმებით ებრძოდა და მისი თავიდან მოცილება სურდა. იგი ერთდროულად ბავშვთა ოპერას ქმნიდა, უნივერსიტეტს აშენებდა, ბათუმსა და ქობულეთს შორის უზარმაზარი გვირაბი გაჰყავდა, იყო ეკლესიების, სკოლების, ბავშვთა ბაღების, სამშობიარო სახლების, საცხოვრებელი კორპუსების, გზების, ხიდების, საბორნე გადასასვლელის, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო პორტებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა. იგი თითქმის ასწორებდა დღე-ღამეს და, ბუნებრივია, რომ ძაღლებისათვის ვერ იცლიდა და როცა იცლიდა, მაშინაც მარტო ბასმაჩა ხომ არ იყო. უზარმაზარ ძაღლსაშენში ორ ათეულზე მეტი ძაღლი ჰყავდა, სხვადასხვა ჯიშისა და ხასიათის. ბობოყვათის რეზიდენციის ტყე-პარკში სხვა ცხოველებიც იყვნენ და მაინც ახერხებდა, ყოველ მათგანთან პირადი კონტაქტი ჰქონოდა. კარგად ჰქონდა შესწავლილი ცხოველთა ბუნება, იცოდა, რომ მხოლოდ მოვლა-პატრონობა კი არა, მათთან ურთიერთობა იყო საჭირო, რადგან ცხოველებს ხშირად ადამიანებზე მეტად სჭირდებათ და ენატრებათ სითბო, ადამიანური მოპყრობა, რასაც საკუთარი ძილისა და მოსვენების დათმობის ფასად, ასე თუ ისე, მაინც ახერხებდა. მაგრამ ბოლო დროს დაიძაბა სიტუაცია, საქართველოს ხელისუფლებაში უცნაური ამბები დაიწყო. ვარდების რევოლუციას ვაწყობთო, - იძახდნენ და დარბოდნენ ქუჩებში. მერე პარლამენტის შენობაში შეაღწიეს.

- გადადექი! გადადექი! - უყვიროდნენ შევარდნაძეს და გააგდეს კიდეც დარბაზიდან. მერე, როცა თვითონ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ვინც მათთან არ იყო, ვინც არ მოსწონდათ და ვისაც, იცოდნენ, რომ ფული ჰქონდა, ციხეებში ჩაყარეს და ფული გამოსძალეს, საიდანაც ნაწილი ბიუჯეტში შეიტანეს, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი თვითონ მიითვისეს. ერთი სიტყვით, რაღაც რევოლუციისმაგვარი მართლა ხდებოდა, მაგრამ ქვეყნის სასიკეთო ამას არაფერი მოჰყოლია. მერე ასლან აბაშიძე ამოიღეს მიზანში, ტანკებით, გემებით, თვითმფრინავებით და ვარდებით მიადგნენ და სისხლისღვრის წინაპირობა შექმნეს.

გაუტეხელი კაცი იყო აბაშიძე, მაგრამ უსისხლოდ თავის დაცვას ვერ შეძლებდა. ორავტონომიადაკარგულ ქვეყანას მესამის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა. არ შეეძლო აბაშიძეს გართულებაზე წასვლა. მემედ-ბეგის შვილიშვილი ამ თავზეხელაღებულ ავანტიურისტებს ვერ აჰყვებოდა და დიდ ჭირვარამგამოვლილ კუთხეს რისკიანი ნაბიჯებისკენ ვერ უბიძგებდა.

დრო აღარ ითმენდა, ბათუმში სროლის ხმა გაისმა, „რევოლუციონერები“ რეზიდენციას უახლოვდებოდნენ. ისინი რუსეთის პრეზიდენტის მიერ წარგზავნილსაც არ ეპუებოდნენ. შესაძლოა, რაღაც პროვოკაციასაც გეგმავდნენ.

აბაშიძემ ერთბაშად მიიღო გადაწყვეტილება და უახლოეს გარემოცვასთან ერთად მოსკოვს გაფრინდა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარ სახელისუფლებო გადატრიალებას რევოლუცია დაარქვეს და გამარჯვება თბილისშიც და ბათუმშიც სალუტებით და საარტილერიო-საზენიტო ზალპით აღნიშნეს. იდგა ერთი ხორხოცი და ღრიანცელი. გადატრიალების ლიდერი ქუჩებში გრძელი ნაბიჯებით დააბოტებდა და სახეზე ზღვის წყალს ისხამდა, თითქოს მართლა მტრისგან მიტაცებული ტერიტორია დაებრუნებინოს. უკან გაბრიყვებული და მოსყიდული ადამიანების ხროვა დასდევდა და გულში იმ სარგებელს ითვლიდა, გადატრიალებაში მონაწილეობის მიღებისათვის რომ ერგებოდა.

ალიკას და ტატიანას ძაღლსაშენი არ მიუტოვებიათ, სადაც ცხოვრება ჯერ კიდევ ჩვეული რიტმით და რეჟიმით მიმდინარეობდა, თუმცა, ცხოველს ინსტინქტი და წინათგრძნობა ხშირად უფრო მეტს ეუბნება და ახვედრებს, ვიდრე ამას ადამიანები თავიანთი გონიერებით, ინფორმირებულობით და აზროვნების უნარით ახერხებენ.

ბასმაჩა ვოლიერში წრიალებდა, იღრინებოდა და აქამდე უჩვეულო აგრესიულობას ავლენდა. ალიკამაც კი ვერ გაბედა ვოლიერში შესვლა. საჭმელი გისოსებიდან გადააწოდეს და ისე დაუდეს. ერთი კი დასუნა ხორცის ნაჭერი, მაგრამ მაშინვე მიანება თავი და კვლავ უჩვეულო წრიალს მოჰყვა. დამშვიდდებაო, იფიქრეს და დროებით თავი და-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ა.-დ.“ 2004 წლის № 37-45.

კარი მეორე

## კარიბჭენი

*აწ სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასა.*

*გიორგი მერჩულე*

თავი პირველი

## ახალი ერას დასაწყისი

### მობრძანება უფლის კვართისა

უკვე დამდგარიყო პირველი საუკუნე - ჟამი, ოდეს „ქრისტე იშვა ბეთლემსა“.

სწორედ მაშინ ქართლში, მცხეთაში მეფედ იჯდა ფარნავაზიანთა დინასტიის მეათე წარმომადგენელი მირდატ პირველი, ანუ ადერკი, რომელმაც გააერთიანა „ყოველი ქართლი და ეგრისი“, და კიდევ - „უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი; წყლისა იმიერ და ამიერ. სამასი წელიწადი გასულიყო მას შემდეგ, რაც ქართველნი, სარწმუნოებით წარმართნი, თაყვანს სცემდნენ კერპებს - არმაზს, გაცსა და გაიმს, რომელთა ქანდაკებანი აღმართულიყვნენ მცხეთის მთავარი ციხესიმაგრის, არმაზ-ციხის თავზე.

და აი, ქართველთა მთავარი სალოცავის, არმაზის აღმართვიდან გასულიყო სამი საუკუნე, როცა პალესტინიდან მცხეთაში მოვიდა ამბავი იესო ქრისტეს ღვთაებრივი მოვლინებისა, ახალი საღვთისმეტყველო-სარწმუნოებრივი ქადაგებისა, იუდაისტ-ფარისეველთაგან და რომაელთაგან შეპყრობისა და სამართალში მიცემისა. ბრალმდებელ ებრაელთა წრემ მოციქულები გამოუგზავნა მცხეთის ებრაელობას თხოვნით, - ქართლიდანაც გაეგზავნათ „მეცნიერნი სჯულისანი“, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ქრისტეს მხილებაში და მისთვის სასიკვდილო განჩინების გამოტანაში (ებრაელები მაშინ უკვე ექვსასი წელიწადი ცხოვრობდნენ მცხეთასა და მის ახლო-მახლო სოფლებში, - ეს მას შემდეგ, რაც ბაბილონის მრისხანე მბრძანებელმა, ნაბუქოდონოსორმა აიღო და ააწიოკა იერუსალიმი, და ლტოლვილ ებრაელთა ერთმა ნაკადმა საქართველოს მოაშურა თავშესაფარად).

და მცხეთელებმა პალესტინაში გასაგზავნად შეარჩიეს ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი.

გამგზავრების წინ ელიოზი დედამ დაარიგა საგანგებოდ: წასვლით წადი, მაგრამ არამც და არამც ქრისტეს გასამტყუნებლად არც სიტყვა დასძრა და არც მის სასიკვდილო განჩინებაში წილი არ დაიდოო, რადგან იგი არ გეგონოს უბრალო კაცი, ძე ხორციელი, არამედ - „იგი არს სიტყვა წინასწარმეტყველთა, პირველითგანვე მხსნელად, ღვთის ძედ ნაწინასწარმეტყველევი!“.

როცა ელიოზმა და ლონგინოზმა იერუსალიმში ჩააღწიეს, უკვე გვიან იყო. ქრისტესთვის სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოეტანათ და საქართველოდან წარგზავნილებმა მხოლოდ გოლგოთას ქრისტეს ჯვარცმას მიუსწრეს. მიუსწრეს და დიდი პატივიც ერგოთ: როცა წამებული უფლის სამოსელზე იქ დამსწრეებმა წილი განიგდეს, კვართი (პერანგი) წილად ხვდათ სწორედ ელიოზსა და ლონგინოზს.

გოლგოთის ტრაგედიას, თითქოს, სასწაულებრივი გამოძახილი მოჰყვა მცხეთაში: ელიოზის დედას მოესმა ჯვარზე უფლის გალურსმვის ხმა და შესძახა მწარე „კრხჩიალებით“ ატირებულმა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქუენისა მაცხოვარი და იქმნენით მკვლელნი შემოქმედისა. ვაი თავსა ჩემსა, რომე არა წინავე მოვკვდი, რათა არა ჰსმენოდა ყურთა ჩემთა აღსასრული ღვთაებრივისა!“ შესძახა და სულიც განუტევა უფალზე მგლოვიარე მცხეთელმა ქალმა.

ხოლო, ელიოზი და ლონგინოზი მცხეთას დაბრუნდნენ უფლის კვართით.

ელიოზს პირველი შეხვდა და მივარდა მისი დაი, სახელად სიდონია, - მივარდა, კვართი ჩამოართვა, მკერდში ჩაიკრა, მწარედ იტირა და ისიც ტირილითვე მიიცვალა.

ელიოზის სახლს (რომელიც მდებარეობდა „მიწურვით ხიდისა კარსა მოგვეთისასა“) აუარება ხალხი მიაწყდა. ყველას უსაზღვროდ ეწადნიერებოდა ხილვა სასწაულებრივი „კვართისა უკერველისა“ და სასწაულებრივად აღსრულებული ახალგაზრდა ქალისა.

მეფე ადერკიც მოვიდა. ისიც ძალიან მოიხიბლა ღვთაებრივი სამოსლის ხილვით და კიდევაც მოინდომა მისით საკუთარი ტანის შემკობა-დამშვენება. მოინდომა და მიწვდა კიდევაც ხელით, ვერც მეფემ და ვერც მისმა მხლებლებმა ვერ იქნა და ვერ აართვეს კვართი იგი მიცვალებულს მკერდზე დაკრეფილი ხელებიდან.

და ელიოზმა თავისი დაი, ქრისტეს კვართთან ერთად, დამარხა იქვე, მცხეთას, „სანატრელითა დამარხვითა“.

ხოლო იქ, იერუსალიმში, ახალი სასწაულები დატრიალებულიყო: ჯვარცმული, გარდამოხსნილი და დაკრძალული ქრისტე მისი ვნებითგან მესამე დღეს აღსდგა, მეორმოცე დღეს კი ზეცად ამაღლდა. მალე ამის შემდეგ ქრისტეს მშობელმა მარიამმა და მოციქულებმა ქვეყნად ქრისტიანობის გასავრცელებლად „წილ-იგდეს“, და საქართველოს გაქრისტიანება წილად ხვდა თვითონ ღვთისმშობელს (აქედან: „ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველო“!).

მარიამმა თავის მაგივრად საქართველოში წარმოგზავნა ქრისტეს ორი მოციქული - ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. წინასწარ მარიამმა მოატანინა ფიცარი, დაიბანა (მოინათლა) პირი, ფიცარი სახეზე დაიდო და ზედ ზუსტად ამოკვართა სახე თვისი. სწორედ ეს ხატი თავის სანაცვლოდ გამოატანა ღვთისმშობელმა ქრისტეს მოწაფეებს საქართველოში. ამ „ხელთუქმნელი ხატით“ ხელში მოაქციეთ ჩემი წილხვდომილი ქართველები და თავმდებიც ვიქნებიო, „არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“, - ასეთი იყო ქრისტეს დედა-მშობლის დანაბარები და ასედაც მოუთხრობდნენ ყველას საქართველოში მოსული ანდრია და სვიმონი.

ქართლის შუაგულში კი კერპები ძლიერნი იყვნენ და კერპთა უმტკიცესი თაყვანისმცემელი ადერკ მეფეც იქვე იჯდა, მცხეთაში. ამიტომ მოციქულებმა თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა დაიწყეს დასავლეთ საქართველოდან. ანდრია პირველწოდებული სამეგრელოს აქრისტიანებდა, სვიმონ კანანელი - აფხაზეთს. აქვე, აფხაზეთში გარდაიცვალა სვიმონი და დაასაფლავეს აქვე, ნიკოფსიაში.

ანდრიამ კი, სამეგრელოს შემდეგ, ჯიქეთის გაქრისტიანება დააპირა, მაგრამ იქ სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდა, უეჭველი სიკვდილიც დაემუქრა და იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო. იგი სამეგრელოდან გადავიდა მესხეთში და მესხთა თხოვნით იქ, აწყურის (აწყვერი) ეკვდერში დაასვენა ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა.

კლარჯეთის ერისთავმა ტკბილად გაისტუმრა ღვაწლმოსილი მოწაფე ქრისტესი ტაოსა და აჭარისაკენ.

ხოლო, მეფე ადერკი დიდად განარისხა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში წარმართული კერპების მსხვრევამ და ახალი სჯულის გავრცელებამ. მაშინვე სამეგრელოში ერისთავებიც გაგზავნა ლაშქრით, ჯვრები და ხატები მოასპობინა, ხალხს ქრისტიანობაზე ხელი აალებინა და ისევ წარმართობისკენ შემოაბრუნა. მერე ადერკ მეფე შემოსწყრა კლარჯეთის ერისთავსაც, რადგან მან „მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.

ასე იწყებდა შემოსვლას ქრისტიანობა საქართველოში. იწყებდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა შრომით, ბრძოლით, ჭირთა თმენით და უმტკიცესი შეუპოვრობით. ასეთი მძიმე გზებით ვიდოდა და ვრცელდებოდა იგი სამასი წლის სიგრძეზე მთელს რომის იმპერიაში, რომლის საქვეშევრდომო ორბიტაში, მრავალ ევროპელ და აზიელ ხალხებთან ერთად, შედიოდა ქრისტეს სამშობლო პალესტინაც და ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველოც.

# ლევან სანიკიძე

# უქარქაშო ხმლები



ანებეს. რამდენიმე საათის შემდეგ იგი მართლაც აღარ წრიალებდა. იწვა, ცხვირი წინგაწვდილ თათებში ჩაერგო და თვალები მიელულა. ხორცის ნაჭრებიანი მათლაფა ხელუხლებლად იდო. იმ დღეს ამ ამბისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ, მაგრამ ბასმაჩა მეორე დღესაც იმავე პოზაში რომ იხილეს და ხორციც ხელუხლებელი ნახეს, შეწუხდნენ. ალიკამ გაბედა და ვოლიერში შევიდა, თავზე ხელი გადაუსვა ბასმაჩას, მოეფერა. ძაღლმა ერთი კი გაახილა მოწკურული თვალები, თითქოს ეკითხებოდა მომვლელს, - ის სად არისო, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, კვლავ მილულა თვალები.

ალიკამ სხვა საკვები შემოუტანა ვოლიერში, მაგრამ ბასმაჩამ ზედაც არ შეხედა.

მიხვდა ალიკა - ბასმაჩამ შიმშილობა დაიწყო და თვითმკვლელობისათვის ემზადებოდა. პატრონის საფლავზე წაქცეული და შიმშილით მკვდარი ნაგაზის ამბავი გაახსენდა ალიკას და თვალცრემლიანი კვლავ მოეფერა ერთ დღეში გამხდარ ბასმაჩას, რომელსაც ფაფუკი და ხშირი ბეწვი ადრინდელი პეწით აღარ უბრწყინავდა. - ერთ დღეში ასე როგორ შეიცვალაო - უკვირდა ალიკას. ძაღლს თითქოს ერთბაშად წაერთვა სასიცოცხლო ენერგია, ქანცმილეული იწვა და ვერც შეატყობდით, თუ სუნთქავდა. ერთი კვირა გაგრძელდა ასე. ბასმაჩა მომვლელების თვალწინ ილეოდა და დნებოდა.

ქუჩებში კვლავ უჩვეულო ღრიანცელი ისმოდა. თანამდებობებზე ახალი კადრები ინიშნებოდნენ. ადრინდელი წესრიგი და ორგანიზებულობა ქაოსსა და განუკითხაობას შეეცვალა.

ალიკას ერთბაშად გაახსენდა ბასმაჩა, პატრონის მონატრების ჟინს მისი ტანსაცმლის ყნოსვით რომ იკლავდა ადრე. თავის თავს გაუბრაზდა, ეს ამბავი აქამდე როგორ არ გამახსენდაო. აბაშიძის საცხოვრებელ ბინას მიადგა ქალაქის ცენტრში, მაგრამ დაცვამ არ გაატარა, თანაც, იქ გაიგო, რომ ბინა დალუქული იყო. შემდეგ რეზიდენციისკენ იბრუნა პირი, მაგრამ არც იქ შეუშვეს, სრულიად უცხო ხალხი ირეოდა ირგვლივ. ხან ერთს მიადგა, ხან მეორეს, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. ბოლოს ერთი ნაცნობი პოლიციელი



# ვალერი კვარაცხელია

# ბასმაჩა



ნახა, მაღალჩინოსანი, ადრე აბაშიძის კარზე მიღებული კაცი იყო, ახლა „რევოლუციონერებთან“ ფუსფუსებდა, თავიდანვე ღალატობდა, ეტყობა, აბაშიძეს, იმიტომ იყო ამათთან დაახლოებული. თუმცა, რას დაეძებდა ალიკა, ახლა მთავარი იყო, აბაშიძის ნაცვამი ტანსაცმელი ჩაეგდო ხელში როგორმე, რომ ბასმაჩას შიმშილობა შეეწყვიტა. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ აბაშიძის ნაცვამი პერანგი, წინდა ან ცხვირსახოციც რომ ჩაეგდო ხელში, ბასმაჩას გადაარჩენდა.

პოლიციელი კარგად შეხვდა ალიკას, მოუსმინა და თითქოს გულთანაც კი მიიტანა ძაღლის ამბავი. შეჰპირდა, რაიმე ნივთს აუცილებლად მოგინახავო და საღამოს დაიბარა.

დათქმულ დროს მართლაც მოიტანა აბაშიძის ნაქონი, ვერსაჩეს ფირმის, აბრეშუმის ძვირფასი ჰალსტუხი და რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „კინოლოგია თანამედროვე ეტაპზე“.

- აბაშიძის კაბინეტი დალუქულია, ამიტომ მხოლოდ ამის წამოღება მოვახერხე, - უთხრა მან ალიკას და ნივთები გადასცა. გახარებული ალიკა სირბილით გაიქცა ვოლიერისკენ.

ძაღლი კვლავ უღონოდ იწვა, ალიკამ ნივთები ცხვირთან დაულაგა. ბასმაჩამ იგრძნო ნაცნობი სუნი, ამ ნივთებს რომ ასდიოდა. იგი უცებ წამოიმართა მთელი ტანით და ისეთი ყეფა ატეხა, თითქოს ვოლიერში მშიერი მგლები შემოცვენილიყვნენ. დარბოდა, კედლებს აწყდებოდა, ყეფდა და ბალანი ებურძგლებოდა. დიდხანს შფოთავდა, ბრაზობდა, უმისამართოდ ყეფდა. მერე ცოტა დაწყნარდა, აღარ ყეფდა, თავისთვის ფრუტუნებდა, წრიალებდა, ბოლოს მთლიანად მოეშვა, მოდუნდა და დაწვა, ცხვირი წიგნზე და ჰალსტუხზე დადო და გაინაბა. ალიკამ ისე ახარხარდა, თითქოს ძალიან გონებამახვილური ანეკდოტი უამბესო.

- ჰა, ჰა, ჰა, ჰა - კიკინებდა იგი უსიამოვნო დისკანტით და ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ხელისზურგით ენერგიულად იხოცავდა ცხვირს, - მაშ, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, არა, - იხუმრა ბოლოს.

მოახსენეს:

- რაც უნდა იყოს, კეთილშობილი ძაღლია, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია...

- ჰოდა, გავყიდოთ აუქციონზე, პენსიები გვაქვს დასარიგებელი.

შეჰკადრეს:

- კი, მაგრამ, ვინ იყიდის ავადმყოფ ცხოველს, შიმშილით მისავათებულს და სიკვდილის პირამდე მისულს?

- ბანდიტების, ყაჩაღებისა და ნაძირლებისთვის თავზე ხელის გადასმის პოლიტიკა დამთავრდა, ეს უნდა იცოდეს ყველამ, - მოჭრა მან მოკლედ.

გაუბედეს:

- არ ივარგებს, ანტიჰუმანიზმში დაგვდებენ ბრალს, გულქვაობას დაგვწამებენ...

- მე ჩემი მიზნები მაქვს, ჩემი იდეავერავინ შეეხება, ეს ყველამ კარგად იცოდეს. ხვალიდან ამ ქალაქში ან მე უნდა ვიყო, ან ეგ ძაღლი, მოაშორეთ აქედან, გაუგზავნეთ იმ თავის, იმ ქონდრისკაცს იმას... - აშკარა ფალცეტით დაამთავრა ყვირილი და ამჯერად მარცხენა ხელისგულით ღონივრად მოიხოცა ცხვირი...

იმ საღამოს ალიკა ბასმაჩასთან მივიდა. ბასმაჩამ ქუთუთოები შეარხია და მილულული თვალებით ამოხედა მას. ალიკას ხელში გრძელი ჯაჭვი და ალიკაპი ეჭირა. ბასმაჩა შეირხა, ზანტად წამოდგა და მორჩილად მიუშვირა ცხვირი. ალიკამ ალიკაპი ამოსდო, ფრთხილად შეუკრა, მერე ყელზე მსხვილი ჯაჭვი ჩამოაცვა, შემდეგ ორივე ხელი კისერზე შემოხვია და ყურები ისე დაუსრისა, როგორც იმან იცოდა ხოლმე...

ბასმაჩამ არც წერა-კითხვა იცოდა, არც ლაპარაკი შეეძლო და, აქედან გამომდინარე, ვერც აზროვნებდა, ალბათ, ხორციანი მათლაფა ახლოს მიუჩოჩა, მაგრამ ძაღლმა არც ამჯერად შეხედა.

ამის შემდეგ ბასმაჩა აღარ ამდგარა. გასუსული იწვა და ვერც გაიგებდით, თვლემდა თუ ეძინა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. აშკარა ხდებოდა, რომ ბასმაჩას გადაწყვეტილება საბოლოო იყო.

იმ დღეს ალიკამ ტელევიზიით მოისმინა, რომ ახალი ხელისუფლება აბაშიძის ძაღლების აუქციონზე გაყიდვას აპირებდა. შეშინებული ალიკა იმ პოლიციელის მოსაძებნად გავარდა, იქნებ, ბასმაჩას შესახებ როგორმე ზემოთ მიეწვდინა ხმა, რათა უფლება მიეცათ, რომ იგი მოსკოვში აბაშიძისათვის გაეგზავნათ. იმ პოლიციელმა მართლაც მოახერხა, რომ ეს ამბავი გადატრიალების ლიდერისათვის მოეხსენებინა. ლიდერი ლი ერთიანი საქართველო და დავით აღმაშენებელია... და ჩვენ ამ გზიდან არასოდეს გადავუხვევთ! - ლოგიკურობით და დასმული საკითხისადმი პასუხის გაცემის სიზუსტით ვერ დაიკვეხნიდა მისი ეს ნათქვამი, მაგრამ ჯიქურობისა და მტკიცედ ნათქვამობის გარეგნულ იერს ნამდვილად არ იყო მოკლებული.

ურჩიეს:

- ასეთი სისასტიკე, თანაც, ცხოველის მიმართ, თქვენს რეიტინგს დაბლა დასწევს.

- რა, რა, თქვენ... მე, რეიტინგი რა შუაშია, აჭარაში 90 პროცენტი, ეს ხალხი მთლიანად მე მიჭერს მხარს, წაიყვანეთ რა, მე ყველაზე მაღალრეიტინგული პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს, ერთი ძაღლი რა... რეიტინგს

მაგრამ მაინც მიხვდა ყველაფერს, მიხვდა იმას, რომ გაიმარჯვა, რომ ერთგულებამ ორგულობას, გულიანობამ უგულობას, სიყვარულმა სიძულვილს აჯობა. და არა მარტო ამას, არამედ რაღაცას, გაცილებით უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს მიხვდა, იმნაირ რაღაცას, რასაც არათუ ეს ქვასროლია „რევოლუციონერები“, მთელი საქართველო, სრულიად საქართველო რომ ვერ ხვდებოდა, სამწუხაროდ...

იმ საღამოს ბასმაჩამ დატოვა საქართველო, ქართულმა ნაგაზმა თან წაიღო ის თვისებები, რის გამოც იგი ქართულ ნაგაზად იწოდებოდა.

ეს თვისებები, ჯერჯერობით, არ ფასობდა საქართველოში...

# ႢႳႬႠႰႣႦႠႫႨႱ ႢႫႨႰ ႠႴႾႠႦႤႧႨႱ

*დასაწყისი იხ. „მამული“ №24.*

## რეპორტაჟი წალენჯიხიდან. 1993 წლის 25 სექტემბერი

***ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე, უამრავ ხალხს მოუყრია თავი. იციან, რომ აქ იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ყველა ელოდება მის გამოჩენას, ერთი სული აქვთ, კიდევ ერთხელ მოჰკრან თვალი ამდენი ხნის უნახავ, მონატრებულ პრეზიდენტს.***



***ზვიადი გამოდის გამგეობის შენობიდან. ხელაწეული ესალმება ხალხს, სახეზე ღიმილი დასთამაშებს. მის გვერდით რობიზონ მარგველანია, უკან ვაჟა ჭინჭარაული მოჰყვება.***









***ზვიადი დაცვასთან ერთად მანქანაში ჯდება. მოედანზე თავმოყრილ ხალხთანაა დეპუტატი ზაურ ქობალია. მანქანების ესკორტი წალენჯიხისაკენ დაიძრა.***



***წალენჯიხის გამგეობასთან ხალხის ტევა აღარაა. სულმოუთქმელად ელოდებიან მიტინგის დაწყებას. მოვიდნენ მანქანებით, ავტობუსებით, ფეხით, ცხენებით. წალენჯიხაში გადაძახილ-გადმოძახილია: „ზვიადიქ ქუმორთ!“, „ზვიადი ჩამოვიდა!“***

***გამგეობის კიბეებთან ჩოჩქოლია. დაცვის ბიჭები გამოჩნდნენ, ხალხს სთხოვენ ორი მეტრით უკან დახევას და შესასვლელთან ადგილის გათავისუფლებას.***





***მიკროფონს იღებს წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა და მისალმების შემდეგ მიტინგს გახსნილად აცხადებს.***



***ზაზა ბურჯანაძემ ჩამოირბინა კიბეებზე. ხალხი მიხვდა, რომ ზვიადი გამოდის შენობიდან.***

***ზვიადი მარჯვენახელაწეული ესალმება ხალხს. ირგვლივ რობიზონ მარგველანი, სოსო თორია, ბაჩუკი გვანცელაძე, გოჩა შერმადინი, ვაჟა ჭინჭარაული და დაცვის სხვა წევრები უდგანან.***




***ცაში აწეული ხელების დათვლა შეუძლებელია. ხალხი სკანდირებს, ხელში სურათები და დროშები უჭირავთ. ამ დროს ვიღაცამ გაისროლა. ეტყობა, სიხარული ასეთნაირად გამოხატა.***




***ზვიადის მზერა ტყვიის მიმართულებას გაჰყვა, თან ხალხს ესალმება. ზურაბ გუჩუას ხმა:*** — არ ისროლოთ არავინ! სროლა არ არის საჭირო! ამის შემდეგ ერთი ტყვია არ გავარდეს! ძალიან გთხოვთ!




***და გუჩუა აგრძელებს:***

— მეგობრებო, ჩვენ ეს სიხარული გვიდგას დღეს, სიხარული იმის გამო, რომ სამართლიანობამ გაიმარჯვა და ბოლომდე უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ ჩვენ ბრძოლა გვაქვს, ეს სიხარულიც ბრძოლის გამოხატულებაა, ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ. ჩვენ ბედნიერი ვართ დღეს, მოვუსმინოთ ბატონ პრეზიდენტს.




***ხალხი არ ცხრება. სკანდირებენ. ბედნიერი სახეების „ზღვა ღელავს“.***



***ზურაბ გუჩუა აგრძელებს:***

— აქ დგას მრავალი ძაძებშემოსილი დედა, რომლებმაც ფიცი დადეს, — ზვიად გამსახურდია რომ დაადგამს წალენჯიხის მიწაზე ფეხს, ძაძებს გავიხდითო. ასეთი დედები არიან აქ. ჩვენი ძმები, რომლებიც დაიხოცნენ ბრძოლაში, რომლებიც სადისტურად აწამეს, მათი ხსოვნისთვის წუთიერი დუმილი მინდა, გამოვაცხადო.

***აქა-იქ დედების კვნესა გაისმის, ცაში ზეაწეული მუშტები ძირს ეშვება.***




***ისევ გუჩუა:*** — მე ვთხოვ ბატონ პრეზიდენტს, მოგმართოთ სიტყვით.




**ზვიად გამსახურდია:**

ძვირფასო ძმებო და დებო, მე ჩამოვედი თუ არა საქართველოში, გუშინვე, გუშინვე მინდოდა თქვენთან მოსვლა, იმიტომ, რომ **ყველაზე დიდი დარტყმა ამ კაციჭამიების ხელისუფლებისგან მიიღო წალენჯიხამ.** ყველაზე მძიმე განსაცდელი გადაიტანა, ყველაზე დიდი უბედურება აქ დატრიალდა. სწორედ ამან გამოაჩინა თქვენი სიმტკიცე, თქვენი ძალა, თქვენი ვაჟკაცობა და კანონიერი ხელისუფლების ერთგულება. ამიტომ მიყვარხართ თქვენ და ამიტომ უყვარხართ თქვენ მთელ საქართველოს.

ახლა, მეგობრებო, საქართველო არის უმძიმეს მდგომარეობაში. ჩემი ჩამოსვლა, როგორც ხედავთ, გაჭიანურდა. ალბათ, ბევრი თქვენგანი ეკითხებოდა თავის თავს, რატომ არ ჩამოდის პრეზიდენტი, რატომ აგვიანებს ჩამოსვლას. იმის გამო, მეგობრებო, რომ ეს ჩემზე არ იყო დამოკიდებული, მე ვერ ჩამოვდიოდი, მიშლიდნენ ხელს, ხუნტა მიშლიდა, ყოველგვარი ბოროტი ძალები მიშლიდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დავძლიე ყველა წინააღმდეგობა და ახლა დღეს თქვენთან ვარ.

**მე ჩამოვედი იმისთვის, რომ ვიხსნა საქართველო. ყველამ ერთად უნდა ვიხსნათ საქართველო, ერთად ყველამ, უნდა შევერთდეთ და ვიხსნათ საქართველო.** ამ ბოროტმა უკანონო ხელისუფლებამ, როგორც ხედავთ, კატასტროფის პირას მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. ამავე დროს, **ჩამოვედი, რათა წარმატებით დაგვირგვინდეს აფხაზეთის ომი**. ვინაიდან ჩვენმა მტრებმა ისარგებლეს ჩემი არყოფნით და გააჩაღეს ეს დამღუპველი ომი. ჩვენ, მართალია, სისხლისღვრის მომხრე არა ვართ, არცერთი ერის საწინააღმდეგო არაფერი არა გვაქვს, მაგრამ თუ არ დათანხმდებიან შერიგებაზე, ეროვნულ შერიგებაზე, მოლაპარაკებაზე, მაშინ იძულებული გავხდებით, რომ ძალის პოზიციებიდან ველაპარაკოთ მათ, და დავიბრუნოთ ის ტერიტორიები, რომლებიც მათ წაგვართვეს ხუნტის ხელშეწყობით, შევარდნაძის ხუნტის ხელშეწყობით.

ახლა, მეგობრებო, საქართველოს უჭირს, ახლა საქართველო უნდა გახდეს ერთ მუშტად შეკრული, მობილიზებული სამხედრო ბანაკი, სადაც იქნება უმკაცრესი დისციპლინა და ურთიერთგაგება. რაც მთავარია, მეგობრებო, **ომი მარტო ბრძოლა კი არ არის, ომი შრომაც არის. დიდი შრომაა, უდიდესი შრომაა ომი.** ახლა მე პროზაულ საკითხზე გადავალ, რადგან ამის გარეშე არაფერი არსებობს. თქვენ ხედავთ, რომ მიდის ომი, არის ბლოკადა, თქვენ ხედავთ, რომ ხუნტამ გაანადგურა, გააჩანაგა მთელი საქართველოს ეკონომიკა. გააჩანაგა, გაყიდა ყველაფერი, მთელი საქართველო გაყიდა საზღვარგარეთ, თურქეთში. ყველგან გააქვს და გააქვს, ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი დაეცა და **თუ ქვეყანას ეკონომიური პოტენციალი არა აქვს, ის ქვეყანა ვერ გაიმარჯვებს.** ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული. მართალია, როცა მე აქ არ ვიყავი, იყო ეროვნული დაუმორჩილებლობა, ხალხი არ ემორჩილებოდა ამ ხუნტას, ამ უკანონო ხელისუფლებას, და არ მუშაობდა. ეს პროტესტი იყო, მაგრამ ახლა უნდა ვიმუშაოთ თავგამოდებით. აი, მე გადავიხედე, ჩაი მოუკრეფავია, არავინ არ კრეფს, აუცილებელია, ამაზეც უნდა ვიფიქროთ. მართალია, ხალხს სძულს კომუნისტები და რახან კომუნისტები ამბობდნენ, ჩაი კარგიაო, ხალხმა ჩაი შეიძულა, მაგრამ ასეც არ შეიძლება, მეგობრებო. ის კომუნისტები რომ ამბობდნენ, იმათ თავისთვის უნდოდათ, და ჩვენ ხალხისთვის გვინდა, მეგობრებო. ეს ჩვენი ეკონომიური სიძლიერის პირველი გარანტიაა ჩაის კულტურა დღეს. ამას უნდა მივხედოთ სერიოზულად. მე გთხოვთ, თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ, ჩემი სიყვარული გაქვთ, ამით უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი ამაღლდეს, ამაზე არის დამოკიდებული კანონიერი ხელისუფლების აღდგენაც, იმ ომში გამარჯვებაც და ბევრი სხვა რამ, მეგობრებო. აი, ეს მინდა, რომ იცოდეთ. მე ამას ყველას ვეტყვი, ყველა რეგიონს. თქვენ, ალბათ, ხვდებით, ამას რატომ ვამბობთ. ამის მიხვედრა ძნელი არ არის. ეს სათხოვარი მაქვს მე თქვენთან.

დროა, გამოვიდეთ იმ შოკიდან, რომელშიც ჩაგვაგდო ხუნტამ, ამ უკანონო ხელისუფლებამ და გადავიდეთ შრომაზე, მკაცრ დისციპლინაზე და ვუშველოთ საქართველოს. აი, ეს არის ჩემი უპირველესი სათხოვარი. მართალია, სიძნელეებია ამ ჩაის დარგში, საწვავის ამბავია, მაგრამ ამაზეც ვმუშაობთ და მოგაშველებთ. ვიცი, აქ ვინც ხართ, მებრძოლები ხართ, გულმხურვალე პატრიოტები ხართ და ამ მხრივ აწარმოეთ აგიტაცია რაიონში, სოფლებში, ყველგან. ამაზე დამოკიდებულია მომავალი ზამთარი, ჩვენი ფრონტის მდგომარეობა. ბევრი პრობლემა არის ამაზე დამოკიდებული. ვსარგებლობ თქვენთან შეხვედრით და ამას გეუბნებით. მე ჩამოსული ვარ არა მარტო პოლიტიკური საკითხების, არამედ სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლადაც. **ხუნტამ სწორედ ამით ჩასცა მახვილი საქართველოს, რომ ეკონომიკა მოშალა, სოფლის მეურნეობა გაანადგურა.** ჩვენ უნდა აღვადგინოთ, რაც ხუნტამ გაანადგურა, ყველაფერი უნდა აღვადგინოთ.

მე თავს ვხრი იმ დაღუპული გმირების ხსოვნის წინაშე, რომლებიც დაეცნენ. **წალენჯიხის რაიონმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო.** მე არაერთხელ გამოვაგზავნე სამძიმარი, ახლაც ვუსამძიმრებ ყველას, დაღუპულების ახლობლებს და მათთან ერთად ვგლოვობ ამ ჩვენს დაღუპულ გმირებს.

კიდევ ერთხელ მინდა, დაგარწმუნოთ, მეგობრებო, რომ **მე არაფერზე მიფიქრია, გარდა ჩემი საქართველოს კეთილდღეობისა, საქართველოს გამარჯვებისა, საქართველოს გაძლიერებისა.** ამჟამად ხუნტას ჩვენ საომარი მოქმედებით არ ვუპირებთ დამხობას, ჩვენ სამოქალაქო ომი არ გვინდა, მაგრამ ისე უნდა წარვმართოთ ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა, ეროვნული დაუმორჩილებლობა, რომ ხუნტამ შეიგნოს თავისი პოლიტიკური კრახი და თავისთავად გადადგეს. **ხუნტა ჩვენ ვერ დაგვაჩოქებს, ჩვენ დავაჩოქებთ ხუნტას! საქართველო გაიმარჯვებს! გაიმარჯვებს!**

დიდი მადლობა ასეთი გულთბილი შეხვედრისთვის და როგორც კი მექნება საშუალება, ყოველთვის გინახულებთ, ყოველთვის შემოგივლით და ჩამოვალ ხოლმე თქვენთან შესახვედრად და ამ წმინდა ტაძარში სალოცავად, რომელიც ძალიან მიყვარს.

# კატასტროფამდე ორი დღე დარჩა

***კაცები „შავლეგოს“ მღერიან. ზვიადი მღერის, ერი მღერის...***

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,
ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო,
მაშველი არ გჭირდებოდა, შავლეგო,
შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო!“







***ზურაბ გუჩუა მიტინგზე სიტყვით გამოსასვლელად ზურაბ კვარაცხელიას უხმობს. კვარაცხელია ემოციურად იწყებს სიტყვას:***



— ჩემო წალენჯიხელებო, გატანჯულო, დარბეულო, მაგრამ მაინც გაუტეხელო წალენჯიხელებო! თქვენმა ხვეწნა-ვედრებამ, თქვენმა ბრძოლამ განაპირობა დღევანდელი დღე. გილოცავთ ამ დღეს, ჩვენთან არს ღმერთი! ჩვენთან არის ბატონი ზვიად გამსახურდია. წავიკითხავ ლექსს, რომელიც ბატონ ზვიად გამსახურდიას ეძღვნება. ლექსი, რომელიც დაიწერა ყველაზე ავბედით დროს, როცა ხუნტამ ეროვნული ხელისუფლება დაამხო. მწამდა თქვენთან ერთად, რომ ბატონი ზვიადი მოევლინებოდა სრულიად საქართველოს, გაიმარჯვებდა სიმართლე, და დადგა ეს დღე. „მესამე სვეტი“, ასე ჰქვია ამ ლექსს. თქვენ იცით, ბატონებო, ჩვენს წარმოდგენაში პირველი სვეტი არის დავით აღმაშენებელი, მეორე სვეტი — ილია ჭავჭავაძე, ხოლო მესამე სვეტად ჩვენს საქართველოს, სრულიად საქართველოს წარმოუდგება ბატონი ზვიად გამსახურდია.

**„ილიას მამულს თუ რად ჰყავდა ილიას მკვლელიც,**
**ბოლოს და ბოლოს, საჭიროა, დაფიქრდეს ერი!**
**მოღალატენი, გაყიდულნი 30 ვერცხლად,**
**კარგახანია, ინთხევიან სატანურ გესლად.**
**ჩვენი ქვეყანაც, თურმე, რამდენ ორგულებს ზრდიდა,**
**მამულის მტერი ყველა თქვენი მტერია, ზვიად!**
**საქართველოსთვის ჯვარცმული ხარ,**
**ჯვარცმული ქრისტე,**
**როცა ჰგონიათ, დაგაჩოქეს, მაღლდები ისევ,**
**რომ ამ სიმაღლით ყველა ბოროტს ესხმევა რეტი,**
**საქართველოსთვის ხარ მესია, მესამე სვეტი!**
**და ქვეყნისათვის ვინც ამ ბურჯის გამოცლას ლამობს,**
**მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამხობის გამო,**
**ისევ და ისევ მას იუდა ქართველი გეგმავს,**
**რომ საქართველოს კვლავ მონობის უღელი ედგას,**
**მოძმეთა სისხლით ხელშელებილ ურჯულო მტარვალს**
**განგმირავს ერის შეჩვენების მრისხანე ტალღა“.**

***ტრიბუნაზეა ბიჭიკო კვარაცხელია.***

— ძვირფასო წალენჯიხელებო, ძვირფასო მეგობრებო! წალენჯიხამ ტრაგედია გადაიტანა, მაგრამ ეს დღეს უკვე გაქრა. გვეღირსა, სადადიანოს ნატერფალზე ფეხი დადგა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. საქართველოს ცხელი გული დღეს სამეგრელოს დედაქალაქში, ზუგდიდში ასვენია, ჩვენ უნდა გავყვეთ ზვიად გამსახურდიას თბილისამდე და საქართველოს ცხელი გული სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში დავასვენოთ!

გაუმარჯოს ჩვენს კანონიერ ხელისუფლებას, გაუმარჯოს ჩვენს ზვიად გამსახურდიას, მათ ყვავილები ვესროლოთ, ჩვენ კი ამოვუდგეთ ერთმანეთს და ვიბრძოლოთ საქართველოს გადასარჩენად! ***— ასრულებს თავის ემოციურ გამოსვლას ბიჭიკო კვარაცხელია.***



***ახლა ქალბატონ ნანი შამუგიას გადასცემენ მიკროფონს. მისმა სიტყვებმა ზვიადიც გაამხიარულა და ხალხმაც ტაში შემოჰკრა.***



— მე უზომოდ ბედნიერი ვარ, თქვენს ბედნიერ სახეებს რომ ვხედავ. არ მაქვს უფლება, არ მოგილოცოთ დღევანდელი დღე. მთელ წალენჯიხას, მთელ საქართველოს, არამარტო ზვიადისტებს, ედუარდისტებს ვულოცავ ამ დღეს. მე დღეს, მეგობრებო, ყველა მიყვარს, ამ ბედნიერ წუთებში ყველას სიყვარულს განვიცდი, მიყვარხართ, ვინც იცავთ თქვენი სიმტკიცით ჩვენი პირველი პრეზიდენტის სიძლიერეს, მიყვარს ის დაპირისპირებული ბანაკიც; რომ არა მათი ამდენი მტრობა, რომ არა მათი ამდენი შუღლი, ასე ვერ შევიგრძნობდით დღევანდელ დღეს.

შევუნდოთ დღეს ყველას, მეგობრებო, ავმაღლდეთ იმდენად, რომ უფრო დიდსულოვნები გავხდეთ.

***ნანი შამუგია ითხოვს, ხელზე ეამბოროს პრეზიდენტს. ამაზე ზვიადი შეიშმუშნა, გაიღიმა და გულში ჩაიკრა ქართველი გაუტეხელი ქალი.***



***ზურაბ გუჩუა:*** — მიტინგს დახურულად ვაცხადებთ და ღმერთმა ქნას, რომ ხვალ და ზეგ ახალი გამარჯვებები ჰქონდეს საქართველოს.

***გაისმის დოლის რიტმული ხმა, მოედანზე ახალგაზრდები ქართულს ცეკვავენ, კაცები მღერიან.***



***ვიდეოკადრებში დეპუტატი ბიძინა დანგაძე გამოჩნდება, მოზეიმე ხალხს შეჰყურებს.***

***ბაჩუკი გვანცელაძე გამოიცეკვეს, პრეზიდენტის საქართველოში ყოფნით გულანთებული ბაჩუკი კაცებთან ერთად ცეკვავს.***



***პრეზიდენტი გაჰყურებს ხალხს. უსაზღვრო და სევდიანი თვალები აქვს. შიგადაშიგ ღიმილიც გადაჰკრავს სახეზე. უხარია თავის მშობელ ხალხთან ყოფნა.***



***კადრიდან მერაბ კიკნაძის შვილი — სანდრო შემოგვცინის. ეს პატარა ბიჭი, „პოლკის შვილობილი“ რომ შეარქვეს დაცვის ბიჭებმა და დეპუტატებმა, ზვიადს გვერდიდან არ შორდება.***



***ზვიადს დაღუპული წალენჯიხელი ბიჭების ხსოვნისთვის პატივის მიგება სურს. ფეხით გაუყვება წალენჯიხის ქუჩას და იმ ადგილას მივა, სადაც მხედრიონელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს გაუტეხელი კაცები.***



***სროლებისგან დანგრეულ შენობებს შეხედავს, მერე გოჩა კეკენაძეს მანქანიდან სანთლებს მოატანინებს და ნიშაში დაანთებს. ყვავილებს დააწყობს.***





***წალენჯიხის წმიდა გიორგის ეკლესიაში ზარებს რეკენ!***

***პრეზიდენტი ეკლესიაში შედის დაცვის ბიჭებთან და წალენჯიხელებთან ერთად.***

***მერე სანთლებს ანთებს.***





***პრეზიდენტის სტუმრობას ლოცავს მღვდელი და აღავლენს ლოცვას საქართველოს გამთლიანებისთვის. ზვიადი ჯვარს ემთხვევა.***

***აქ არიან ტარიელ გელანტია, ირაკლი ჩხეიძე, გურამ აბსანძე, დაცვის ბიჭები, წალენჯიხელები, თბილისელები.***

***ეკლესიიდან გამოსულ ზვიადს ყვავილების თაიგულს მიართმევს გოგონა.***



***მოძღვარი ეზოში წამოეწევა და „ბიბლიას“ აჩუქებს.***

***პრეზიდენტის მანქანა დაიძრა. სხვებიც მიჰყვნენ. აქედან პირდაპირ საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სასაფლაოზე მიდის.***



***ღვინით სავსე ჭიქას მიართმევენ, შესანდობარს იტყვის და ღვინოს მიწაზე დაღვრის.***





***ხალხი სახლებიდან გამორბის, ესალმებიან, ხელს ართმევენ.***

***ზვიადი დარბეულ და დამწვარ სახლებს ათვალიერებს, ფეხით მიუყვება ქუჩას. მას გვერდიდან არ შორდება ვაჟა ჭინჭარაული.***

***მძიმე განსაცდელგადატანილი წალენჯიხის მონახულება დამთავრდა. პრეზიდენტი მანქანაში ჯდება.***

***ედუარდ შევარდნაძე ორ დღეში აფხაზეთს ჩააბარებს!***

12 წლის შემდეგ რეპორტაჟი წალენჯიხიდან მიჰყავდა

ლეილა კვირიკაშვილს

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**გაზეთ „მამულის“ №13-ში გამოქვეყნებულმა ვრცელმა პუბლიკაციამ — „ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, მისი უძველესი ქართული ხატება და ვაზის ჯვრის მისტერია“, რომლის ავტორიც გახლავთ ყოფილი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), არაფორმალური მოძრაობის — „საქართველო გაბრწყინდება“ — წევრთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, კერძოდ, 1978 წელს საპატრიარქოში გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურებული უნიკალური ხატის გამოჩენამ აღაფრთოვანა მორწმუნეები... მასზე წმიდა ნინო თეთრი მანდილითაა გამოსახული და საქართველოსკენ მოიჩქარის სახარების გრაგნილითა და ვაზის ჯვრით ხელში... გია ვაჩაძე და მინდია რეხვიაშვილი — „საქართველო გაბრწყინდებას“ წევრები — სწორედ მოციქულთა სწორის ხატებამ მოიყვანა რედაქციაში.**

# დრო აღარ ითმენს, გაბრიელ ბერის წმინდანად შერაცხვა გვიანდება!..






- გაზეთ „მამულში“ დაბეჭდილმა წმიდა ნინოს ხატის ერთადერთმა ფოტოპირმა უნდა გვაპოვნინოს მაცხოვრის ტილოზე გადასული ხელთუქმნელი ხატის - მანდილიონის ასავალ-დასავალი, - *ამბობს ბატონი გია,* - არ ვიცი, ბოლომდე აცნობიერებთ თუ არა გაიოზ კერატიშვილის პუბლიკაციის განუზომელ მნიშვნელობას... ამ ხატის გამოჩენა დიდი ნიშანია ჩვენი ერისთვის.

**- კი მაგრამ, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ხომ სახელმწიფო მუზეუმშია?**

- მცხეთის დედათა მონასტერში, მაყვლოვანის გვერდით დასაფლავებული ბერი გაბრიელი (ურგებაძე) სიცოცხლეში ამბობდა: „ვიცი, სადაცაა უფლის ხელთუქმნელი ხატი... მუზეუმში რომ არის, ისიც ხელთუქმნელია და იგივე ძალა აქვს... სანამ ანჩისხატს მუზეუმიდან არ გამოაბრძანებენ, სანამ აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი არ გამოჩნდება და ივერიის კარიბჭის ღვთისმშობლის ხატი არ ჩამობრძანდება ათონიდან, როგორ გაბრწყინდება საქართველო?“...

**- მაცხოვრის რამდენი ხელთუქმნელი ხატი არსებობს?**

- სამი... მანდილიონი (რომელსაც ასევე უწოდებენ „ხატი განკაცებისა“, „პირი ღვთისა“ და „ედესის ხატი“), კერამიონი (ანუ კეცის ხელთუქმნელი ხატი) და ანჩის პირი ღვთის ხატი (ანუ ანჩისხატი), რომელსაც ჩვენ პირობითად დაფიონი ვუწოდეთ.

**- რატომ?**

- მაცხოვრის სახე კაკლის ხის დაფაზეა გადასული... 1992 წელს ანჩისხატს პერანგი კომუნისტებმა გახადეს და ექსპერტიზაც მათვე ჩაატარეს, მაგრამ ხელთუქმნელად არ აღიარეს. მათი აზრით, იგი VI-VII საუკუნეებში ენკაუსტიკის წესით, ანუ ცვილის საღებავებით არის დახატული, მაგრამ მამა გაბრიელის (ურგებაძე) თქმით, ანჩის პირი ღვთისა ხელთუქმნელი ხატია და ხეზე ტილოდან გადავიდა. ჩვენ გვწამს მისი წინასწარმეტყველების ... არ გიფიქრიათ, როგორ უნდა გაბრწყინდეს საქართველო?.. წმიდა მამების წინასწარმეტყველების თანახმად, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, უფლის მამულში, ბოროტი ვერ გაბატონდება, ტახტს ვერ დაიდგამს, მაგრამ რა დააბრკოლებს ანტიქრისტეს?.. მაცხოვრისა და აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატები, ივერიის კარიბჭის ღვთისმშობელი, რომელიც ათონიდან ჩამობრძანდება, რათა თავისი წილხვედრი მიწა მეორედ მოსვლის განსაცდელს აარიდოს!.. 1000 წლის წინათ ივერიის ღვთისმშობელმა ქართველი ბერის - გაბრიელ ათონელის ხელით ინება ზღვიდან გამობრძანება, ახლაც მისი მადლმოსილებით გამსჭვალული გაბრიელ ბერის (ურგებაძის) უკვდავი სულის წინამძღოლობით უნდა აღსრულდეს მისი საქართველოში ჩამოსვლა... ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის კრების დღეს, 25 თებერვალს, სანამ „ასავალ-დასავალში“ წმიდა ნინოს უნიკალური ხატის ფოტოპირი დაიბეჭდებოდა, მამა გაბრიელის საფლავზე შევიკრიბეთ, მცხეთის სამთავროს წმიდა სავანეში, მაყვლოვანში, სადაც მოციქულთა სწორი ქალწული მოღვაწეობდა, სადაც ჩვენი პირველი ქრისტიანი მეფის - ნეტარი მირიანის ნეშტია დამარხული და წმინდა სინოდის სახელზე მიმართვა შევადგინეთ.

**- რას ითხოვთ?**

- დრო აღარ ითმენს, გაბრიელ ბერის წმინდანად შერაცხვა გვიანდება... როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი უკვდავი სულის წინამძღოლობით უნდა ჩამობრძანდეს ივერიის კარიბჭის ღვთისმშობელი საქართველოში. დრო, სალოს ბერს საკადრისი პატივი მივაგოთ, მაგრამ წმინდა სინოდის 35 წევრიდან სამია მამა გაბრიელის წმინდანად შერაცხვის წინააღმდეგი, დანარჩენები კი თვლიან, რომ ჯერ არ დამდგარა ჟამი ... თავად მამა გაბრიელმა სიცოცხლეში განაცხადა, რომ მისი მოძღვრის - გიორგი მხეიძისა და იოანე მაისურაძის - ბეთანიელი მამების, რომლებიც მიწაში უხრწნელად არიან, კანონიზაციიდან 3 წლის შემდეგ შერაცხავენ წმინდანად.

**- როდის დადგება ეგ დრო?**

- 2005 წლის ზაფხულში ბეთანიელი მამების კანონიზაციიდან სამი წელი შესრულდება... დამერწმუნეთ, შემთხვევით არაფერი ხდება... გაბრიელ ბერი 1995 წლის 2 ნოემბერს გარდაიცვალა, სწორედ ამ დღეს ჩატარდა არჩევნები, რამაც „ვარდების რევოლუციის“ წინაპირობა შექმნა. გიორგობის დღესასწაულს დაემთხვა პრეზიდენტის გადადგომა, მიხეილ სააკაშვილი ავირჩიეთ 4 იანვარს - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დაბადების დღეს, ხოლო მისი ინაუგურაცია შედგა 25 იანვარს - შევარდნაძის დაბადების დღეს... ეს პარალელები შემთხვევითობა როდია, ღვთის ნებას წინ ვერავინ აღუდგება!

**აი, რას წერენ სასულიერო პირები მამა გაბრიელის შესახებ.**


გაბრიელ ბერმა თავის ეკლესიაში გათხარა საფლავი, რომელშიც წვებოდა ხოლმე


უფლის ეკლიანი გვირგვინი, რომელიც მამა გაბრიელმა საკუთარი ხელით გააკეთა და თავზე იდგამდა ტანჯვის განსათავისებლად

**მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი):** როცა მისი გარდაცვალების შემდეგ ამდენი სასწაული ხდება, ვფიქრობ, რომ ეს დიდი სიწმინდის მიზეზია. ამდენად, ის არის წმინდანი ბერი.

**მოწამეთას დავით და კონსტანტინეს მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი თორნიკე (მოსეშვილი):** სან-ფრანცისკოს მართლმადიდებლურ მონასტერში ყოფნისას საეკლესიო ჟურნალში ამოვიკითხე ჩვენი ბეთანიელი მამების - იოანესა (მაისურაძე) და გიორგის (მხეიძე) დიდ ბერულ ღვაწლზე. მამა გაბრიელზე კი ასეთი რამ ეწერა: „საქართველოში არც კი იციან, თუ რა დიდი ბერი ჰყავთ მონასტერში“.

**არქიმანდრიტი ეფრემი (რუსეთი):** გაბრიელ ბერი იყო თავისი ერის ცხოვრებაში განსაკუთრებული მისიისა და უმძიმესი სულიერი ღვაწლის მქონე დიდი წინასწარმეტყველი, რომლის მეოხებითაც ბრძენ ქართველ ერს ბოლო ჟამის დიდი სულიერი საიდუმლო გაეხსნება.

**ათონის მთის ქსეროპოტამიის მონასტრის წინამძღვარი:** ასეთი დიდი ბერი ჩვენთანაც კი არ არის.

**იერუსალიმის იოანე ნათლისმცემლის დედათა მონასტრის იღუმენია გეორგია:** თქვენ ჭეშმარიტი „სტარეცი“ გყავთ, სამოთხეში ხართ!

- ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანაა გაბრიელ ბერის წმინდანად შერაცხვა და ხელოვნების მუზეუმის „ოქროს გალიაში“ გამოკეტილი ანჩისხატის გამოხსნა და ისევ იმ ტაძარში დაბრუნება, საიდანაც ტყვეობაში წაიყვანეს... კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თანახმაა, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი სახელმწიფო მუზეუმიდან წამობრძანდეს, მაგრამ არ ვიცით, რომელ ტაძარში ... ოქროს ფონდის საქართველოდან გატანა დაუშვებელია, ჩვენ მიწა-წყალს უძველესი წმიდა ხატების ძალა დაიცავს ბოროტისაგან, მათ უნდა აღმართონ ანტიქრისტესთვის შეუვალი ზღუდე, სხვაგვარად როგორ გაბრწყინდება იბერია?


გზა, რომელიც მანდილიონმა გაიარა იერუსალიმიდან ედესამდე

**- ბატონო გია, საუბრის დასაწყისში თქვენ აღნიშნეთ, რომ წმიდა ნინოს დამწვარი ხატის ერთადერთი ფოტოპირის გამოჩენა დიდი ნიშანია ჩვენი ერისთვის, კონკრეტულად რა იგულისხმეთ ამ ფრაზაში?**

- უფლის კვართი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატები საქართველოშია... წმიდა მარიამმა სახესთან მიიტანა ტილო, რომელზეც მისი ხატება გამოისახა და ჩვენში ქრისტიანობის საქადაგებლად ჩამოსულ ანდრია პირველწოდებულს გამოატანა, ასე რომ, აწყურის ღვთისმშობელიც ივერიის მიწაზეა... **რატომ იყო აქამდე მიჩქმალული წმიდა ნინოს ხატი, რომლის ფოტოპირის ერთადერთი პუბლიკაცია 1974-75 წლების საეკლესიო კალენდარმა შემოინახა? რა საიდუმლოს ინახავს იგი? მოციქულთა სწორის დავიწყებული ხატის გამოჩენა დაფარულის გაცხადების ჟამის დადგომას ხომ არ მოასწავებს?**

მაცხოვრის ტილოზე გადასულ ხელთუქმნელ ხატს მანდილიონი ეწოდება... გადმოცემის თანახმად, ქალაქ ედესის (შუამდინარეთი) კეთრით დასნეულებულმა მთავარმა ავგაროზმა იესოს წერილი გაუგზავნა მალემსრბოლელის ხელით, რომელშიც სთხოვდა, მესტუმრე და მომარჩინეო. მან ქრისტესთან მხატვარიც გაგზავნა, თუ ვერ ჩამოვა, მისი სურათი დახატე და მომიტანე, დარწმუნებული ვარ, იესოს სახის დანახვაც კი გამომაჯანმრთელებსო. ქრისტემ საპასუხო ეპისტოლე გაუგზავნა ედესის კეთროვან მთავარს, სადაც სწერს: *„ჯერ არს ჩემდა პირველად აღსრულებად განგებულებისა ამისა, რომლისთვისცა მოვლინებულ ვარ მომავლინებელისაგან ჩემისა. და აღვასრულო, რაითა ავმაღლდე ზეცად და შემდგომად ამაღლებისა ჩემისა მოგივლინო შენ ერთი მოწაფეთა ჩემთაგანი, სახელით თადეოზ, რომელმან განგკურნოს შენ“...* ტექსტიდან გამომდინარე, უფალი თავის ჯვარცმასა და ზეცად ამაღლებაზე საუბრობს. როგორც ჩანს, ავგაროზის ეპისტოლე მან ვნების კვირაში მიიღო და, ბუნებრივია, ვეღარ წავიდოდა ედესაში. კეთროვანი მთავრის მხატვარმა სცადა უფლის დახატვა, მაგრამ ვერ შეძლო. მაშინ იესომ თეთრი ტილო გამოართვა, პირი დაიბანა და შესამშრალებლად სახეზე მიიდო. ზედ მისი ხატება გამოისახა სასწაულებრივად. მალემსრბოლელმა ანანიამ, მხატვარმა და უფლის მოციქულმა თადეოზმა ტილოზე გადასული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, იგივე მანდილიონი, წამოიღეს და ავგაროზს მიაშურეს. ედესის წინა ქალაქ იერაპოლამდე დაუბრკოლებლად იარეს. შებინდებულზე დასაძინებლად მეთუნის სახლს მიადგნენ. სიფრთხილის გამო **პირი ღვთის ხატი** ორ კეცს შუა ჩაასვენეს. შუაღამისას ზეციდან მანდილიონზე ჩამოშვებული ცეცხლის სვეტი გამოჩნდა. დილით ამბის შესატყობად იერაპოლის მთავარი მეთუნის სახლს მიადგა თავისი მხლებლებითურთ. როცა **პირი ღვთის ხატი** ქალაქის თავს აჩვენეს, დაინახეს, რომ იესოს სახე ზედა კეცზე გადასულიყო. სწორედ ამ ხელთუქმნელ ხატს, რომელიც იერაპოლის მთავარმა დაიტოვა (მასალის გამო), კერამიონი ეწოდა, მაცხოვრის სახე ხომ თიხის კეცზე გადავიდა.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ დღესდღეობით მანდილიონიცა და კერამიონიც საქართველოშია?**

- დიახ, ნამდვილად ასეა და როცა დრო მოვა, ყველა ხელთუქმნელი ხატი გამოჩნდება...

**- კი მაგრამ, მანდილიონი ხომ ავგაროზს გადასცეს?**

- ედესის სასწაულებრივად განკურნებული მთავარი ქრისტიანად მოინათლა. მან **პირი ღვთის ხატის** ტილო კაკლის ხის დაფაზე დააკრა და ქალაქში შესასვლელი კარიბჭის თავზე, თაღში დაასვენა, რათა ყველას ეცა თაყვანი. ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ **პირი ღვთის ხატი** ედესიდან კონსტანტინეპოლში, წმიდა სოფიას ტაძარში გადაასვენეს 944 წლის 29 აგვისტოს, მარიამობის მეორე დღეს... მანდილიონი ჩუმად მიჰქონდათ ღამღამობით ჩირაღდნების შუქზე. VIII-IX საუკუნეებში ბიზანტიაში ხატმებრძოლობის დროს **წმიდა ხატი** საიდუმლოდ გადაასვენეს კაპადოკიის ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში, სადაც თითქმის 900 წლის განმავლობაში იყო დაბრძანებული.


წმიდა ნინო მანდილით


ანჩისხატი


ანტონ მარტყოფელი კერამიონით ხელში

**- თუ სწორად მიგიხვდით, საუბარია მაცხოვრის კაკლის დაფაზე გადასულ ხელთუქმნელ ხატზე, რომელსაც თქვენ პირობითად დაფიონი უწოდეთ და ამჟამად სახელმწიფო მუზეუმში ინახება?**

- ნამდვილად ასეა!.. ჩვენ გვწამს მამა გაბრიელის ნათქვამისა, რომელმაც სიცოცხლეში განაცხადა: „ვიცი, სადაცაა უფლის ხელთუქმნელი ხატი“...

**- ანჩის პირი ღვთის ხატს გულისხმობდა?**

- არა, ანჩისხატის შესახებ მან თქვა: „მუზეუმში რომ არის, ისიც ხელთუქმნელია და იგივე ძალა აქვს“... ბერი გაბრიელი ორ სხვადასხვა წმიდა ხატზე საუბრობდა - მანდილიონზე და დაფიონზე (ანჩისხატზე).

**- რატომ გგონიათ, რომ მაცხოვრის ტილოზე გადასული, ანუ ედესის ხატი საქართველოშია?**

- დახედეთ წმიდა ნინოს ხატს!.. თეთრი მანდილი, რომელსაც კაპადოკიიდან მომავალი მოციქულთა სწორი მოაფრიალებს, მინიშნებაა იმის შესახებ, რომ ედესის ხატი, ანუ მანდილიონი სწორედ მან, ჩვენმა განმანათლებელმა შემოაბრძანა საქართველოში!.. გაბრიელ ბერმა იცოდა მისი ადგილსამყოფელი.

**ნინო გოძიაშვილი**

# Мамули по-русски

ამოიღეთ ეს შუაგული ჩანართი გაზეთიდან და წააკითხეთ ყველა რუს მეგობარს

## Игорь Гиоргадзе:

# «Я сделаю все, чтобы выкинуть из Грузии этих грязных авантюристов!»



***Десятилетняя политическая «одиссея» лидера партии «Самартлианоба» (в переводе с грузинского «Справедливость» - ред.) и бывшего министра государтсвенной безопасности Грузии входит в решающую фазу. Уже близок тот момент, когда окончательно выяснится статус единственного сына известного советского генерала и близкого друга Фиделя Кастро Пантелеймона Гиоргадзе... Талантливый, образованный, решительный и влиятельный Игорь Гиоргадзе, к которому режим Шеварднадзе-Саакашвили приклеил ярлык «террориста», стоит на грани тяжелейшего выбора!.. Либо он должен поддаться искушению и спокойно слушать те «панегирики», которые поют ему бесталанные «балалайщики», льстецы и временщики, либо лидер «Самартлианоба» должен «одним ударом меча» разрезать «узел Гиоргадзе» проклятой грузинской политики... Не верится, что Гиоргадзе прельстят «балалайщики», хотя непонятно и то, когда закончатся его перепалки с «цыплятами, запертыми в курятнике» Эдуарда Шеварднадзе... Лидер партии «Самартлианоба» и экс-шеф грузинской госбезопасности несколько дней назад позвонил мне в редакцию... Вокруг была абсолютная тишина, только в моем телефоне на протяжении всего интервью слышалось бесконечное шуршание. Уважаемые «служащие охранки», вы зря теряете время, прослушивая мой телефон. Вы ничего такого не узнаете, чего я не напишу в газете для всеобщего обозрения! Не бойтесь, мне нечего скрывать!***

*- Господин Игорь, я уже включил диктофон, Вы можете говорить!*

- Хорошо, я готов!.. Дито, наша беседа может периодически прерываться, но это ничего. Если вы что-то не расслышите, спросите меня и я отвечу снова!..

*- Я знаю, что вопросы, связанные с Шеварднадзе, Вы всерьез не принимаете, но наше интервью я хочу начать именно с темы Шеварднадзе... Совсем недавно Шеварднадзе объявил «Мамули»: «Разве я когда-нибудь говорил, что теракт против меня был организован Гиоргадзе?!» Ради Бога, объясните, что происходит?*

- Честно говоря, не могу поклясться или чем-то доказать, что Шеварднадзе говорил обо мне «Теракт запланировал и осуществил Игорь Гиоргадзе»!..., но то, что уже больше 10 лет я живу вдали от своей Родины, то, что люди уровня Саакашвили позволяют себе ни во что меня не ставить - разве это не заслуга Шеварднадзе и его правительства? Мне сложно ответить на Ваш вопрос... Если бы я видел Шеварднадзе по телевизору в тот момент, когда он это говорил, я бы обратил внимание на его лицо, его речь — и тогда я бы понял, насколько он искренен... Шеварднадзе уже в таком возрасте — я не исключаю, что для него пришло время раскаянья, что он кается в грехах!..

*- Один из лидеров «Национального движения» Бесо Джугели объявил по телевидению: «За взрывом газопроводной трубы в Моздоке стоят переехавшие в Россию влиятельные грузины»!.. Я уверен, что Джугели имел в виду, в первую очередь, Вас... Что скажете?*

- Я только что вернулся из того леса, где мы вместе с десятком грузин подложили мины, и как раз сейчас мы сидим у печи и греем руки! Бедный, несчастный Бесо Джугели болен! Не знает, что сказать, что сделать. Я дружу с его братом, но, думаю, они от разных родителей! Этот несчастный — политический больной!..

*- Как Игорь Гиоргадзе оценит недавнюю пресс-конференцию Президента Путина, где грузинские власти и Грузия рассматривались в разных контекстах?..*

- Пришедшую в грузинское правительство команду оценил не только Путин, но и Запад. Я думаю, в лице правительства Саакашвили мы имеем дело с серьезной патологией, и судить о поведении этого правительства нужно с точки зрения психиатрии. Я часто общаюсь с европейскими, американскими политиками, которые не так уж тепло относятся к России. Поверьте, из-за сделанных Саакашвили в последнее время заявлений, эти политики изменили свое отношение к России. Я сейчас говорю о совсем не последних в Европе, и не только в Европе, людях. Что касается Путина и отношения российской политической элиты к Грузии и грузинам — «наши соболезнования»! — таково их мнение, так они нам сочувствуют!

*- Господин Игорь, в этом году, в январе, Гоги Тавтухашвили был назначен начальником гвардии, а через 10 дней его сняли с должности... Что происходит? Какой информацией Вы владеете?*

- То, что случилось на самом деле, я пока сказать не могу, поскольку вопреки моей воле, мне придется раскрыть те источники, откуда я получаю информацию — ну а голословно рассуждать я не желаю! Скажу одно: В УСЛОВИЯХ ЭТОЙ ВЛАСТИ СИТУАЦИЯ В ГРУЗИИ НИКОГДА НЕ СТАБИЛИЗИРУЕТСЯ, поскольку случайные люди заняты случайными делами. Я не знаком ни с Тавтухашвили, ни с его т.н. «протекторами», но у Грузии армии нет, поверьте!..

*- Прошел год с тех пор, как Жвания погиб от удушья газом... Интересно, что думает о кончине Премьер-министра российская политическая элита, что она говорит?*

- С кем бы я ни встречался, будь то русские политики, или европейские государственные деятели — в связи со смертью Зураба Жвания они очень редко задают вопрос «Что произошло?» Все знают, что это не несчастный случай, а убийство! Другой вопрос — кому было выгодно это убийство? Саакашвили, какой-нибудь криминальной бизнес-группе или еще кому-то? Вопросы задаются именно в этой связи, этим они интересуются. Ну а то, что Жвания убили — в этом не сомневаются ни в России, ни в Европе...

*- Что принесут стране эты нескончаемые ссоры и драки, которые в Парламенте и тбилисском Сакребуло (Городская дума Тбилиси — ред.) стали в последнее время жизненным правилом?*

- Грузинские власти, правительство, Парламент больны, эти люди больны, и их нужно лечить!..

*- А Вы можете взять на себя функцию лечащего врача сегодняшнего правительства?*

- Я совершенно точно не смогу быть лечащим врачом этого правительства, поскольку мы имеем дело с очень тяжелым случаем! У меня совсем другая профессия!.. Если понадобится моему народу и моей любимой Грузии, я могу принести пользу тем, что сбалансирую, нейтрализую то безумие, которое сегодня в лице правительства творится со страной, и сделаю так, чтобы наши соседи изменили свое отношение к нам в лучшую сторону.

„ოპუს დეის“ - „ღვთის საქმის“ მამა-თავმჯდომარემ, ეპისკოპოსმა არინგაროსამ სიცოცხლის ბოლო ათი წელი მისი იდეების გავრცელებას შეალია. ეს რელიგიური ძმობა, რომელიც 1928 წელს ესპანელმა მღვდელმა ხოსე მარია ესკრივამ დააარსა, ჭეშმარიტ კათოლიკურ ფასეულობებთან დაბრუნებას ქადაგებდა და თავის წევრებს აქეზებდა, „ღვთის საქმის“ სადიდებლად ყველაფერი, საკუთარი სიცოცხლეც კი მსხვერპლად გაეღოთ.

„ოპუს დეის“ ტრადიციონალისტური ფილოსოფია ესპანეთში ჯერ კიდევ ფრანკოს რეჟიმამდე ჩაისახა, მაგრამ მთელ მსოფლიოში მისი ტრიუმფალური სვლა მხოლოდ 1934 წელს ხოსე მარია ესკრივას წიგნის - „გზის“ გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო (მასში ჩამოთვლილი იყო 999 მოსაზრება იმის შესახებ, როგორ უნდა მიუძღვნა სიცოცხლე „ღვთის საქმეს“). და ახლა, როდესაც „გზა“ ორმოცდაორ ენაზე ოთხ მილიონ ეგზემპლარზე მეტი ტირაჟით გამოიცა, სექტა „ოპუს დეი“ ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. დედამიწის თითქმის ყველა დიდ ქალაქში მოქმედებდნენ ამ ორგანიზაციის განყოფილებები, სასწავლო ცენტრები, უნივერსიტეტებიც კი. სამწუხაროდ, როგორც თავად არინგაროსა აღიარებდა, საყოველთაო რელიგიური ცინიზმის, საეჭვო კულტებისა და ტელეეკრანებიდან მოქადაგე ასევე საეჭვო მოძღვართა პოპულარობის საუკუნეში „ოპუს დეის“ მზარდი სიძლიერე და სიმდიდრე სულ უფრო ხშირად ხდებოდა უსაფუძვლო ეჭვების საბაბი.

- „ოპუს დეის“ ბევრი ტვინის გამორეცხვის კულტს ეძახის, - აცივდებოდნენ ხოლმე რეპორტიორები, - ზოგიც ულტრაკონსერვატორულ საიდუმლო რელიგიურ საზოგადოებას გიწოდებთ. მაინც, ვინ ხართ?

- „ოპუს დეი“ არც ერთია და არც მეორე, - მოთმინებით უპასუხებდა ეპისკოპოსი, - ჩვენ კათოლიკური ეკლესიის ნაწილი ვართ. ჩვენ გახლავართ ძმობა კათოლიკეებისა, რომლებმაც ყოველდღიურ ცხოვრებაში კათოლიკური დოქტრინის ერთგული მსახურების გზა აირჩიეს.

- იგულისხმება თუ არა ამაში უბიწოების აღთქმა, საეკლესიო დესეტინით დაბეგვრა და თვითგვემის გზით ცოდვების გამოსყიდვა?

- ეს ყველაფერი მხოლოდ „ოპუს დეის“ წევრთა მცირე ნაწილს ეხება, - განმარტავდა არინგაროსა, - არსებობს ჩვენს ცხოვრებასთან ზიარების რამდენიმე საფეხური. „ოპუს დეის“ ათასობით წევრი ოჯახებს ქმნის, თავ-თავიანთ საზოგადოებებში ღვთისათვის სასურველ სამუშაოს ასრულებს. სხვები ასკეტურ ცხოვრებას ირჩევენ, მონასტრებში განმარტოებას ამჯობინებენ. თითოეული თავისუფალია თავის არჩევანში, მაგრამ „ოპუს დეის“ ყველა წევრს ერთი მიზანი აქვს: სამყარო უკეთესი გახადონ. და ისინი მას უფლის საქმეთა განხორციელებით სრულყოფენ. ჩვენ სიხარულით ვხვდებით ყველას, ვინც ჩვენთან მოდის.

თუმცა, გონივრული მიდგომა, რწმუნება ამაო იყო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მუდამ სკანდალები სწყუროდათ, ხოლო „ოპუს დეიში“, ისევე, როგორც მსხვილი ორგანიზაციების უმრავლესობაში, ყოველთვის მოიძებნებოდნენ „ქეციანი ცხვრები“, გზააბნეული სულები, რომლებიც მთელ ორგანიზაციას ჩრდილს აყენებდნენ.

ორიოდე თვის წინ „ოპუს დეის“ შუა დასავლეთის ქვეგანყოფილება ფრიად უმსგავს საქმიანობაში ამხილეს. ისინი ნეოფიტებს მესკალინს ურიგებდნენ და თავიანთ რიგებში ისე იზიდავდნენ. ეს ნარკოტიკული ნივთიერება ადამიანებში ეიფორიას იწვევდა, რომელსაც ნეოფიტები შეცდომით რელიგიურ ექსტაზად მიიჩნევდნენ. უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი თავის ეკლებიან მათრახს დღეში რეკომენდებულ ორ საათზე უფრო ხშირად იყენებდა, ჭრილობებში ინფექცია შეეჭრა და ყველაფერი ლეტალური შედე-

## გამოხმაურება

# «და ვინჩის კოდს» მართლმადიდებელი

***21-ე საუკუნე კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, მობილურ კავშირებთან, „მაზომბირებელ, ეროტიკულ სერიალებთან“ და შოუებთან ერთად „ბესთსელერების“ (ბესთ — საუკეთესო, სელ — გაყიდვა) სიუხვითაც ხასიათდება. თანამედროვე „ბესთსელერების“ დანიშნულება, მატერიალური შემოსავლის მიღების გარდა, „გარკვეული ჯგუფების“ იდეოლოგიის გატარების შესანიშნავი საშუალებაცაა. წიგნს უკეთდება არნახული რეკლამა, იბეჭდება და ითარგმნება უამრავ ენაზე. რეკლამებს აყოლილი საზოგადოება კი „ხარბად ეწაფება“ ასეთ ლიტერატურას.***

სათანადო „სულიერი განათლებისა და ცოდნის გარეშე“ ასეთი წიგნების კითხვა, ხშირ შემთხვევაში მკითხველის აზროვნებისა და რწმენის არასწორი მიმართულებით წაყვანას ემსახურება. **ასეთია „ჰარი პოტერიც“. ასეთებია დენ ბრაუნის „ანგელოზები და დემონები“ და „და ვინჩის კოდიც“.** ამგვარ წიგნებში მკითხველს უაპელაციოდ მიეწოდება ავტორისეული ხედვა, რომელიც რეალური ფაქტების გამოყენებით „დამკვეთის იდეოლოგიისთვის“ სასურველ ფაქტებსაც „აპარებს“ მკითხველს. ამ გზით **გულუბრყვილო ადამიანი „შემოგდებულ ფაქტებსაც“ სარწმუნოდ მიიჩნევს.** ამას ერთვის რომელიმე „ცნობილი უცხოელის“ რეცენზია და „საქმე გაკეთებულია“. ავტორიც არნახულ თანხებს იღებს გასამრჯელოდ. ასე მკვიდრდება „დამკვეთისთვის“ სასურველი აზრი ამა თუ იმ პერიოდზე, მიმდინარეობასა თუ პიროვნებაზე, „ორდენებსა“ და ორგანიზაციებზე. **ავიღოთ, თუნდაც, დღეს ასე პოპულარული ჯვაროსნების თემა. თავის დროზე ჯვაროსნული ლაშქრობებიც ხომ სწორედ ფარისეველთა მიერ იქნა წამოწყებული. საბაბი იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის თურქ-სელჯუკთაგან გათავისუფლება იყო, მიზანი კი - სულ სხვა რამ. ლაშქრობების შედეგად შეიქმნა უამრავი საიდუმლო ორდენი. თვალის ასახვევად ზოგიერთი საბატოების სახელსაც ატარებდა. სინამდვილეში იერუსალიმის გათავისუფლებასთან ერთად ჯვაროსნებმა დაარბიეს მრავალი ქვეყანა, ჩაიგდეს ხელში სიმდიდრეები. სწორედ ჯვაროსნებმა დაამხეს ქრისტიანობის უდიდესი კერა - ბიზანტიის იმპერია. დაარბიეს და ააოხრეს ათონის მთა. დახოცეს ბერები. გაიტაცეს სიწმინდეები.** ორიოდ წლის წინათ ამერიკის ახლანდელმა პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ისიც კი აღნიშნა (ოღონდ ერთხელ), **„ჩვენ ვიწყებთ ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას მსოფლიოს წინააღმდეგო“.** უნდა ვივარაუდოთ, ე. წ. „გლობალიზაციას“ გულისხმობდა.

მართლმადიდებელი ეკლესია კრძალავს „ჰარი პოტერსაც“ და დენ ბრაუნის ახალ „ბესთსელერებსაც“. არა იმიტომ, რომ იგი წიგნიერების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერების წინააღმდეგია. პირიქით, ინტერნეტში მრავალი მართლმადიდებლური ვებ-გვერდია. სამონასტრო ცხოვრებას თუ გავიხსენებთ, სწორედ მართლმადიდებლობაში იდგა მეცნიერება და რელიგია ყოველთვის გვერდიგვერდ. **ის ცდილობს, ერი და მრევლი აარიდოს „ეშმაკურად“ „კომპეტენტურ“ დასავლურ წყაროებზე დაყრდნობით დაბეჭდილ ლიტერატურას, რომელიც ხშირად უბრალო ადამიანთა სულებისთვის მზაკვრობას ისახავს მიზნად.** ბევრს სულელივით სჯერა ყველაფრის, რასაც უცხოეთიდან გვაწვდიან. ეს კი არც თუ უსაფრთხო და სასარგებლოა ერისა და ქვეყნისთვის!

„ბესთსელერები“ ის წიგნებია, რომლებშიც სწორედ ის პრინციპები და იდეალებია გაუფასურებული, **რომლებიც კაცობრიობის უმთავრეს იდეალებს წარმოადგენდა, სამყაროს გაქრისტიანებიდან მოყოლებული, „გლობალიზაციის“ დაწყებამდე!** გაუთვითცნობიერებელი მკითხველისთვის ძნელი გასარჩევია, სად არის ჭეშმარიტება და სად - „დაგებული ხაფანგი“.

არც „ჰარი პოტერი“ წარმოადგენს უბრალოდ ზღაპარს ცნობისმოყვარე ბავშვზე (ბავშვებს მაგიური რიტუალების ჩატარების მზა რეცეპტები მიეწოდებათ). **„და ვინჩის კოდიც“ არ გახლავთ მხოლოდ „მასონთა“, „ქვისმთლელთა“ თუ „ილუმინანტთა“ ცხოვრების ისტორიული ფაქტებისა და „კეთილი საქმეების“ აღწერა.** დენ ბრაუნთან ნახსენები „ბაფომეტიც“ რქიანი ჰომოსექსუალური, მასონთათვის მისაღები არსებაა. ის ბაალთან, ლუციფერთან, ეშმაკთან, მამონასთან იგივდება!!!

„და ვინჩის კოდში“ „სიონის პრიორატი“ ის ორგანიზაციაა, რომელიც ვითომ იცავს „წმინდა სისხლსა და წმინდა გრაალს“ - უფლის ბარძიმს. **მარიამ მაგდალინელი ლამის დედა ღვთისმშობლის რანგში აჰყავთ. იმ დროს, როდესაც მართლმადიდებლისთვის ღვთისმშობელი „მოღვაწე უძლეველია“, ის, რომელსაც გააჩნია „ძლიერება უბრძოლველი“ და „ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლებელი“.** მარიამ მაგდალინელზე, რომელიც უფალმა იხსნა ცოდვებისგან - სიძვისგან და გვერდში დაიყენა მეგობრად, არანაირი ცნობა მისი „შესაძლო ფეხმძიმობის“ შესახებ არცერთი საუკუნის სახარებისეულ თუ საეკლესიო ხელნაწერებში არ მოიპოვება. **ადრე სიძვაში მცხოვრები, შემდგომში მონანიებული ქალის დედა ღვთისმშობელთან „გატოლება“ მიზანმიმართულ ეჭვს იწვევს! რადგან სწორედ მეძავი** (ვითომ უბიწო) **ქალისგან, დანის ტომიდან უნდა იშვას ანტიქრისტეც.**

წიგნში ნახსენები ეკლესიასა და „პრიორატს“ შორის მოლაპარაკებაც აბსურდია. ჯერ ერთი, საუბარია მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიაზე. კათოლიკეები მართლმადიდებლებისთვის გარკვეული დოგმების დარღვევის გამო მწვალებლობაში იმხილებიან. **მართლმადიდებელი ეკლესია კი არასდროს და არავისთან არანაირ გარიგებაზე, მოლაპარაკებასა და ინდულგენციაზე არ მიდიოდა.** წინა ათასწლეულიც თევზების ნიშნით ხასიათდებოდა (თევზი იესოს სიმბოლოა), ახალი ათასწლეული მერწყულის ნიშნის მატარებელია. **ის, რომ რაღაც „სიონის პრიორატმა“ ახლა მოინდომა ეკლესიის „დაშანტაჟება“, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ფარისევლები არიან და არ ცნობენ მესიად ქრისტეს.** წიგნში აღწერილია სექსუალური რიტუალები, რომელთა მეშვეობითაც ქალი და მამაკაცი შეიცნობენ ღმერთს. „ორგაზმი ლოცვის ნაცვლად“ (მომიტევოს უფალმა), **სირცხვილის გრძნობის დაკარგვა, ირიდას ორგიები ოკულტურ, მაგიურ სატანისტურ რიტუალებს უკავშირდება.** აღნიშნულია ისიც, რომ სოლომონის ტაძარში ხდებოდა სექსუალური კავშირების დამყარება. **„იელოვას მოწმეთა“ სულიერ დებში და ძმებშიც ასეთი კავშირები დასაშვებია. მასონური ლოჟების თავზეც ხომ ებრაულად სწორედ „იელოვა“ წერია და „თავისუფლების ინსტიტუტიც“ ხომ სექსისა და სინდისის თავისუფლებას „ქადაგებს“.** ქალის ასეთი „გაღმერთქალება“, ევას ფენომენსაც უნდა უკავშირდებოდეს. ევა იყო ის პირველი ქალი, რომელმაც დაარღვია უფლის ნება, „ენდო“ ეშმაკს - გველს და ადამის ცდუნებით კაცობრიობა „ცოდვის მორევში“ ჩაითრია. დედამიწის სფეროზე შემოვლებული გველი, რომელიც კუდს პირში იდებს და წრეს კრავს მსოფლიოს ირგვლივ, იპყრობს მას **იმ მასონთა სიმბოლოა,** რომელნიც ასე „მიამიტ ცხვრებად“ ჰყავს წარმოდგენილი დენ ბრაუნს. **მსოფლიოზე წრის დარტყმა კი „გლობალიზაციის“ ცნობილი პროცესია. გველის მიერ კუდის პირში ჩადებით წრის შეკვრა ღვთისმშობლის წილხვედრ ტერიტორიაზეა დაგეგმილი!**

წიგნიდან ჩანს, რომ კათოლიკური ეკლესიაც კი ტამპლიერებს - მეტაძრეებს სოდომისტურ ცოდვაში, ჯვრის შებღალვაში ადანაშაულებდა. ამას მხოლოდ ქრისტეს მოძულე რელიგიები და სექტები სჩადიან?! **კოდირების ძველი სისტემაც „ნიკუდოტი“ ძველი ებრაულიდან მოდის. მაშინ ხმოვნების გარეშე წერდნენ. ისინი შემდგომში ჩაემატა. ლევიტები (დანის ტომი), რომლებიც ებრაულ ტომთა რიცხვში არ მოიხსენიებოდნენ, ასეთი მეთოდით ატყუებდნენ უბრალო ებრაელ ხალხს.** ტაძარიც - „ტემპლში“ ნაწარმოებში სოლომონ მეფის პატივსაცემად მის სახელს ატარებს, სადაც, წიგნის თანახმად, რაინდები ქრისტიანობისთვის სრულიად

# კოდი

გით დასრულდა. ცოტა ხნის წინ ბოსტონში მავანმა ახალგაზრდა, ცხოვრებაზე გულაცრუებულმა ბანკირმა თავი მოიკლა, მაგრამ მანამდე მთელი თავისი ქონება „ოპუს დეის“ დაუტოვა.

***გ ზასაცდენილი კრავები,*** ასე უწოდებდა მათ არინგაროსა და გული ამ ადამიანებისადმი სიბრალულით ეთუთქებოდა.

მაგრამ ყველაზე მეტად ორგანიზაცია ფბრ-ს აგენტმა რობერტ ჰანსენმა შეარცხვინა, რომლის სასამართლო პროცესი ფართოდ გახმაურდა. ჰანსენი, „ოპუს დეის“ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წევრი, გარყვნილი აღმოჩნდა. სასამართლოზე მისი დაცემის უტყუარი მტკიცებულებები წარმოადგინეს: ამ ტიპმა საკუთარ საძინებელში ვიდეოკამერა დააყენა, მერე კი მეგობრებს ფირს უჩვენებდა, რომელზეც საკუთარ ცოლთან სექსი ჰქონდა აღბეჭდილი.

- არა მგონია, ასეთ ადამიანს ჭეშმარიტი კათოლიკე ეთქმოდეს, - ირონიულად აღნიშნა მოსამართლემ.

ყველა ამ სამწუხარო ფაქტმა ხელი შეუწყო „ოპუს დეიზე“ დამკვირვებელთა საგანგებო ჯგუფის ჩამოყალიბებას. მას ინტერნეტში საკუთარი საიტიც კი ჰქონდა - www.odan.org - სადაც ძმობის ყოფილ წევრთა მონათხრობ საშინელ ამბებს და გაფრთხილებებს წაიკითხავდით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო ხშირად იხსენიებდნენ „ოპუს დეის“ „უფლის მაფიად“ და „ქრისტეს კულტად“.

***გვაშინებს ის, რაც არ გვესმის,*** გაიფიქრა არინგაროსამ. ამ კრიტიკოსებს წარმოდგენა მაინც თუ აქვთ, რამდენი სიცოცხლე გაამდიდრა ძმობამ? მან ვატიკანის კურთხევა და მხარდაჭერა მიიღო! ***„ოპუს დეი“ თავად პაპის პირადი მფარველობის ქვეშ იმყოფება!***

მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინ ძმობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ბევრად უფრო მძლავრი და მტრული ძალის არსებობის შესახებ შეიტყვეს... მოულოდნელი მტრისა, რომლისგან თავდაცვის საშუალებას არინგაროსა ვერსად ხედავდა. ხუთი თვის წინ ამ მტერმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. არინგაროსა ჯერაც ვერ მოსულიყო გონს.

- არ იციან, ვისთან წამოიწყეს ომი, - ავად დაიჩურჩულა ეპისკოპოსმა, რომელიც ილუმინატორიდან ისევ ქვემოთ შავად გადაშლილ ოკეანეს დასცქეროდა. წამით მისი მზერა საკუთარ ანარეკლზე შეყოვნდა - მოგრძო მუქი სახე, რომლის ყველაზე სახასიათო ნაკვთი მიჭყლეტილი და მოღრეცილი ცხვირი იყო. ცხვირი მუშტით ჯერ კიდევ ესპანეთში გაუტეხეს, როცა ახალგაზრდა დამწყები მისიონერი იყო. მაგრამ დღეს ეს ფიზიკური ნაკლი ბევრს არაფერს ნიშნავდა. არინგაროსა სულით იყო მშვენიერი და არა - სხეულით.

ლაინერი პორტუგალიის სანაპიროს თავზე მიფრინავდა, როდესაც ეპისკოპოსმა სუტანის ნაკეცებში დამალული მობილური ტელეფონის ვიბრაცია იგრძნო. არინგაროსამ იცოდა, რომ ფრენის დროს მობილური კავშირის გამოყენება აკრძალული იყო, მაგრამ ამ ზარს ელოდა. ეს ნომერი ერთადერთმა ადამიანმა იცოდა, ტელეფონიც ფოსტით სწორედ მან გამოუგზავნა.

- დიახ, - ჩუმად თქვა ყურმილში ეპისკოპოსმა.

- საილასმა ქვაკუთხედს მიაგნო, - უპასუხა ხმამ, - ის პარიზში, სენ-სიულპისის ეკლესიაშია დამალული.

ეპისკოპოსს სახე კმაყოფილმა ღიმილმა გაუბადრა.

- ესე იგი, სულ ახლოს ვართ.

- შეგვიძლია დაუყოვნებლივ მივიღოთ. მაგრამ აუცილებელია თქვენი გავლენა.

- დიახ, რა თქმა უნდა. მითხარით, რა უნდა გავაკეთო.

როდესაც არინგაროსამ მობილური ტელეფონი გამორთო, გული გაშმაგებით უცემდა. დასამშვიდებლად ისევ კუნაპეტ ღამეში გაიხედა და თავი სათამაშოდ იგრძნო მოვლენათა იმ მორევში, რომელსაც სათავე თვითონ დაუდო.

●





მისგან ხუთასი მილის მოშორებით ალბინოსი სახელად საილასი ტაშტზე დახრილიყო და ღრუბლით ზურგზე ჭრილობებს იბანდა. მოწითალო-მოყავისფრო ლაქებმა წყალი მალე აამღვრია.

***- განმბანე და კვლავაც სუფთა ვიქნები,*** - ბუტბუტებდა ის ლოცვის სიტყვებს, - ***განმბანე შენი მადლით და თოვლზე თეთრი გავხდები.***

ასეთი სულიერი აღმავლობა საილასს ადრე არასოდეს უგრძნია. ეს უკვირდა კიდეც და გულსაც უჩუყებდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში ის წმიდათაწმიდად იცავდა „გზის“ კანონებს, ცოდვებისგან განწმენდას, ცხოვრების მთლიანად შეცვლას, წარსულში ჩადენილი ძალადობის მეხსიერებიდან ამოშლას ცდილობდა. სიძულვილი, რომელსაც ამდენ ხანს ებრძოდა, კვლავ საჭირო შეიქნა. გაოცებას იყო, რა სწრაფად დაიმორჩილა ისევ წარსულმა. მასთან ერთად კი, რა თქმა უნდა, ჩვევებიც გაეღვიძა. სამაგლები, ნახევრად მივიწყებულები, ისინი ვიღაცას ისევ დასჭირდა.

***იესო მშვიდობისმოყვარეობას... სიყვარულს გვასწავლის... ის უარყოფს ძალადობას.*** ამას სწავლობდა საილასი ბოლო წლებში, ამ სიტყვებმა მის გულში ჰპოვა ადგილი. და აი, ახლა ქრისტეს მტრებს მისი ამ მოძღვრების მოსპობა სურთ. ***ის, ვინც უფალს მახვილით ემუქრება, მახვილითვე განიგმირება.*** სწრაფი და ულმობელი მახვილით.

ორი ათასწლეულის განმავლობაში ქრისტეს მეომრები თავიანთ რწმენას მათგან იცავდნენ, ვინც მის განადგურებას ცდილობდა. დღეს საილასი მათ რიგებში გაიწვიეს.

იარები ცოტა შეაშრა, და მან კაპიუშონიანი გრძელკალთებიანი სუტანა ჩამოიცვა. უხეში მუქი შალისგან სრულიად უბრალოდ გამოჭრილი სამოსის ფონზე ხელებისა და თმის სითეთრე უფრო გამოიკვეთა. მოვლენათა გორგოლაჭები და ჭანჭიკები ამოძრავდნენ.

*თარგმნა*

**მარინე კიკნაძემ**

***გაგრძელება იქნება***

---

**გამოხმაურება**

# მკვლევარები «ჯოჯოხეთის კოდსაც» უწოდებენ!

უცხო რიტუალებს ატარებდნენ! **წიგნის მკრეხელობის მთავარი არსი ის არის, მკითხველი დაარწმუნოს, რომ „ახალი აღთქმა“ - ქრისტეს მოძღვრება, სიცრუეა** (ბიბლიიდან მოშველიებული ფაქტები ხან სარწმუნოა ავტორისთვის, ხანაც, პირიქით, წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან.) **როდესაც ნაწარმოებში „კრიპტექსი“ იხსნება, იქ ნაჩვენებია მამაკაცური და ქალური საწ-ყისი. თეთრი აძლევს დასაბამს შავს. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება „ახალ აღთქმას“, სადაც სწორედ „ბნელისგან იშვა ნათელი“.**

თავად „გრაალის“ - უფლის ბარძიმის, თემა არაერთი ეპოქის, პოლიტიკური თუ ფილოსოფიური მიმდინარეობის, კულტურის კვლევის ობიექტი იყო. ცოდვილი ადამიანი ყოველთვის ეძიებდა უკვდავების გზას. **უფლის შექმნილ ადამიანს პასუხი ყველაფერზე დაუტოვა უფალმა ბიბლიასა და სახარებაში.** შიგ ჩახედვა და გულისყურით წაკითხვაა საჭირო. ერთადერთი, რაშიც შესაძლოა, წიგნის ავტორს დავეთანხმოთ, არის ის, რომ „წმინდა გრაალი“ - უფლის ბარძიმი, მატერიალური საგანი მართლაც არ არის. თუმცა, არც ის არის, რადაც ავტორი მკითხველს წარმოუდგენს. იგი უდიდესი ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური ქრისტიანობის რწმენაა, კაცობრიობის გადამრჩენი, გამაერთიანებელი, საყოველთაო და არა რომელიმე ერთი, „რჩეული ერის“ კუთვნილება. ლეგენდა „ბარძიმიდან“ შემსმელის „უკვდავებაზე“ ნიშნავს, რომ სწორედ ის, ვინც მართლმადიდებლური ქრისტიანობის მადლს ეზიარება, საუკუნო სიცოცხლეს უფლის გვერდით - მის მარჯვნივ იმკვიდრებს ადგილს. პავლე მოციქული ბრძანებდა: **„რავდენ გზისაც სჭამდეთ პურსა ამას და ჴსუმიდეთ სასმისსა ამას (!), სიკუდილსა უფლისასა მოუთხრობდით, ვიდრემდი მოვიდეს“.** ქართული **„ბაგიმარჯვნოს“** ამის საუცხოო დასტურია, რადგან უფლის მარჯვენით ყოფნას ნიშნავს.

წიგნის დედააზრი არის ის, რომ **იესო ქრისტეს როგორც ღმერთკაცის არსებობას ყველანაირი საფუძველი გამოაცალონ. მკითხველი დაარწმუნონ, რომ ის ისეთივე ცოდვილი ადამიანი იყო, ჩვეულებრივი ვნებებით, ბუნებრივი მოთხოვნილებებით და ლტოლვებით, როგორიც შესაძლოა, ნებისმიერი ჩვენგანია, რომ მას ჰყავდა ცოლი - მარიამ მაგდალინელი, რომელიც მისგან შვილს ელოდა და რომელიც უფლის ჯვარცმის შემდეგ „მეფური წმინდა სისხლის“ - იესოს და მისი „სიყვარულის ნაყოფის“ (მომიტევოს უფალმა) გადასარჩენად გაიქცა ქვეყნიდან.**

„კურთხეული ნაყოფის მატარებელი დედა“ ერთადერთი ქალია დედამიწის ზურგზე - ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და სხვა არავინ!..

დენ ბრაუნი გვეუბნება, რომ ქრისტეს შთამომავლები დღესაც არსებობენ დედამიწაზე, მაგრამ უფლის „შთამომავალია“ ყველა, ვინც მის სჯულსა და სწავლებას მისდევს; თითქოს „სიონის პრიორატი“ ამ „წმინდა სისხლის“ მფარველია. **ეს კი მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ ანტიქრისტეს მოვლენის დროს კაცობრიობას უთხრან, ეს ის არის, ვის „წმინდა სისხლსაც“ ამდენ ხანს ვმფარველობდითო.**

იესოს მეფურ წარმომავლობასაც აღმოჩენა არ სჭირდება. იესოს მიწიერი მამა - იოსები, მეფე დავითის და აბრაამის შთამომავალი რომ იყო, ეს გასაგებად წერია ბიბლიაში.

ასეთივე აბსურდული ვერსიები ადრეც იწერებოდა იესო ქრისტეს ხორცისმიერ ძმებზე. მაშინ, როდესაც, სახარების განმარტების მიხედვით, მარიამი ბავშვობიდან უბიწოთა სავანეში სწავლობდა, ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული. **იოსები, რომელიც ცოლის შერთვის დროისთვის 80 წლის გახლდათ, ლოგიკურად, შთამომავლობას ვერ გაამრავლებდა. ეს განგების მიერ იყო დადგენილი და ამიტომაც მოხდა ასე.**

**აბსურდია მარიამ მაგდალინელის დღიურის არსებობაც. გამორიცხულია, რომ ოთხი სახარების ავტორთაგან ერთ-ერთს მაინც არ ეხსენებინა იგი, რაღა მაინცადამაინც ამას დამალავდნენ?!**

აღორძინების ხანის გენიოსის - ლეონარდო და ვინჩის ნიჭიერებაზე არავინ დაობს. თუმცა, მისი ჰომოსექსუალური ორიენტაციაც და მასონობაც ცნობილია. ხელოვნებათმცოდნეთა აზრით, ლეონარდოს „ჯოკონდაში“, საკუთარი ავტოპორტრეტი აქვს გამოყენებული. მისთვის ქალური და მამაკაცური საწყისების ერთობლიობა უცხო არ უნდა ყოფილიყო. **რაღა მაინცადამაინც ასეთი, თუნდაც, უნიჭიერესი მხატვრის „საიდუმლო სერობის“ ვერსია უნდა გახდეს აპრიორი ისტორიისთვის, როდესაც არსებობს სახარება?! ან ის ფაქტი, რომ სოლომონის ტაძრის საძირკველში სწორედ ჯვაროსნებმა აღმოაჩინეს 4 სკივრი.** „სოლომონის ტაძრის ამშენებელი ხირამი, რომელიც მასონებმა წინამორბედად აირჩიეს, დანიელი ქალის ძე, მამით ტვიროსელი იყო“ **(ნეშტთა 2. 14).** ისინი იდეაში სოლომონის ახალ ტაძარს აშენებენ, სადაც, წინასწარმეტყველების მიხედვით, უნდა დაჯდეს **ანტიქრისტე.**

ჩქარობენ ფარისევლები მედიის, წიგნების, რეკლამის, დასავლური ფასეულობების სახელით ყველაფრის მოსწრებას - ადამიანთა „მომზადებას“. განახლებულ სოლომონის ტაძარში ახალი მსოფლიოს მშენებლობას გულისხმობენ. **„განახლებულ საუფლო ტახტზე დაჯდება თავად ანტიქრისტე - ძე სატანისა“ (მათე 2. 3-4).** ასეთი წიგნების და ასეთი ფაქტების აღწერა მხოლოდ ფარისევლების მიმდევრებს აძლევს ხელს.

ჭეშმარიტი ებრაელებისგან განსხვავებით, როგორებიც უფლის მოწაფენი, ღირსნი დედანი, მოციქულნი და მიმდევრები იყვნენ, ფარისეველთა სექტა ქრისტეს დაბადებამდე VI საუკუნეში გადმოვიდა იუდეაში და მაშინდელი ხელისუფლების - სინედრიონის სათავეში მოექცა (დუგლას რიდი „კამათი სიონის თაობაზე“). უბრალო ხალხზე ზეგავლენით მათი მოთხოვნით აცვეს ჯვარს იესო ქრისტე. ისინი ეშმაკივით ცდიდნენ ძეს ღმერთისას - თუ მესია ხარ, სასწაული ჰქმენიო. **„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ეს ხალხი ვერ იხილავს სასწაულს.“ - იყო უფლის პასუხი. სასწაულისა და ხიბლის მოლოდინში ფარისეველთა მიერ დღესაც იხიბლებიან ადამიანები - ბრწყინვალე წარმოდგენებით, შოუებით, გარეგნული ეფექტებით, „ბესთსელერებით“. ფარისევლებს ფული და სიმდიდრე, ოქროს კერპები უყვარდათ.** იესო ქრისტესაც სიმდიდრე სთხოვეს. **იესომ მესიამ ამქვეყნიური სიმდიდრის სანაცვლოდ სიმდიდრე იმ ქვეყნად აღუთქვა.** იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ფარისევლები ცრუ მესიას ელიან, ვინც მათთვის ასე სანატრელ ოქროს, ფუფუნებას, სიმდიდრეს, მრუშობის უფლებას, ყველაზე საშინელ ცოდვას - სოდომისტურს (მამათმავლობა), ქრისტეს გმობის უფლებას მისცემს. ასეთი კი **ანტიქრისტეა,** რომელიც, წინასწარმეტყველების თანახმად, იმ დროს მოევლინება კაცობრიობას, მესიაობას დაიჩემებს და სასწაულებით „მოხიბლავს“, როცა ადამიანები გაუტანლები, უმოწყალონი, მრუშები, სამშობლოს გამყიდველები, ღვთის მგმობელები გახდებიან. **ეს დრო, თუ დავაკვირდებით, პრაქტიკულად, უკვე დადგიდა!!!**

**ბაია ამაშუკელი**

---

**ინფორმაცია განსჯისათვის**

## მეცნიერებმა ჯოკონდას საიდუმლო ამოიცნეს

ლეონარდო და ვინჩის უცნობილესი მონა ლიზას პორტრეტი უკვე მერამდენედ აქნეს შემადგენელ ნაწილებად: ამსტერდამის უნივერსიტეტის მეცნიერები და კომპიუტერების ამერიკელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს შედევრი შედგება 83 პროცენტი ბედნიერებისგან, 9 პროცენტი უგულებელყოფისგან, 6 პროცენტი შიშისგან და 2 პროცენტი ბრაზისგან.

ამჯერად მეცნიერებმა გააანალიზეს ჯოკონდას ტუჩები და ნაოჭები თვალებთან. შემდეგ კომპიუტერულმა პროგრამამ მიღებული ინფორმაცია შეაჯერა ძირითად ემოციებთან, რომელთა გადმოცემაც ღიმილს შეუძლია. შედეგი საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

თურმე, მონა ლიზა კმაყოფილია იმით, რომ მის პორტრეტს ხატავს სახელგანთქმული შემოქმედი.

თუმცა, ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც უფრო მაღალ წოდებას ეკუთვნის, და ვინჩს ერთგვარად აგდებულად უყურებს.

ცოტაც ეშინია, ვაითუ პორტრეტი კარგი არ გამოვიდეს.

და გაბრაზებულია, რადგან დაიღალა გაუნძრევლად ჯდომისგან.

**დოსიე:**

**შარშან იტალიელმა პროფესორმა ჯუზეპე პალანტინიმ დაამტკიცა, რომ მონა ლიზას პროტოტიპი იყო ლიზა ჯერარდინი, ფლორენციელი აბრეშუმით მოვაჭრე ფრანჩესკო დელ ჯიოკონდოს მეორე ცოლი.**

**ვერსიები, რომელთა მიხედვით ლეონარდო და ვინჩიმ ასეთი უცნაური მეთოდით დახატა ავტოპორტრეტი ან წარმოგვიდგინა არისტოკრატი ქალი ბეატრიჩე ესტე, მცდარია.**



*1941 წლის აგვისტოში გალაკტიონ ტაბიძემ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. სწორედ ამ პერიოდში შეწყდა ოლია ოკუჯავას გამამხნევებელი წერილები — დიდი პოეტის საყვარელი ქალბატონი სასიკვდილო განაჩენისათვის ემზადებოდა, რომელიც 1941 წლის 11 სექტემბერს ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვმა (ბერიას მოადგილემ) პირადად მოიყვანა სისრულეში. ოლია ოკუჯავა 170 დასახვრეტ ადამიანს შორის 87-ე იყო სიაში, თუმცა, ადგილი, სადაც მისი ცხედარი განისვენებდა, დღემდე უცნობი იყო. და აი, დიდი გალაკტიონის 110 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის გასტროენტეროლოგმა, ბატონმა ხუტა პაჭკორიამ ქართველ საზოგადოებას სიურპრიზი მოუმზადა. მან პროფესორ შალვა მიქელაძის საფლავის პოვნის კვალდაკვალ, პოლიტპატიმართა მასობრივი დახვრეტის ადგილი აღმოაჩინა, სადაც 170 პატიმარს შორის ქალბატონი ოლია ოკუჯავაც არის დასაფლავებული.*


საძმო საფლავი ორიოლის ტყეში

# ოლია ოკუჯავას საფლავი ნაპოვნია!


ოლია ოკუჯავა




ორიოლის ციხე



მემორიალური დაფა ორიოლის ციხის კედელზე

**საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარემ ვასილი ულრიხმა თავის პრაქტიკაში 20 წლის მანძილზე 31 ათასამდე სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა. მან 1941 წლის 8 სექტემბერს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ოლია ოკუჯავას**


**საბჭოთა კავშირის შინსახკომის შეფის ლავრენტი ბერიას პირველმა მოადგილემ, გენერალმა ბოგდან (ბახჩო) ქობულოვმა პირადად უხელმძღვანელა დამსჯელთა საეცრაზმს, რომელმაც დახვრიტა ოლია ოკუჯავა, შალვა მიქელაძე, დიმიტრი პლეტნიოვი და კიდევ 158 პოლიტპატიმარი**

ხუტა პაჭკორია, *საქართველოს გასტროენტეროლოგთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმისა და მედიცინის ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი:* - ოლია ოკუჯავას საფლავი შემთხვევით აღმოვაჩინეთ. როგორც გასტროენტეროლოგი, დაინტერესებული ვიყავი შალვა მიქელაძის ცხოვრების უცნობი დეტალების შესწავლით. ბატონი შალვა საქართველოში გასტროენტეროლოგიის ფუძემდებელია. იგი ცნობილი პროფესორი (თერაპევტი) გახლდათ, რომელიც 1938 წელს ბურჟუაზიული ინტელიგენტობისა და ნაციონალისტობის ბრალდებით დააპატიმრეს, ხოლო სამიოდე წელიწადში დახვრიტეს. ერთი სიტყვით, ამ პიროვნების შესახებ წიგნს ვწერდი. თითქმის ყველაფერი მზად მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, სად იყო დასაფლავებული. 1991 წელს მოულოდნელად ბიბლიოთეკიდან გადაყრილ მაკულატურას - კომუნისტური ეპოქის ჟურნალ-გაზეთებს წავაწყდი, სადაც სრულიად შემთხვევით ჟურნალ „Известия ЦК КПСС"-ში ამოვიკითხე ინფორმაცია რუსეთში, ორიოლის ტყეში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. იქვე ეწერა დახვრეტილთა სია, რომელთა შორის შალვა მიქელაძე 70-ე იყო, 87-ე ნომრად კი - ოლია ოკუჯავა. დახვრეტილთა სიაში ამოვიკითხე ბევრი სხვა ცნობილი სახელიც - უკრაინის კომპარტიის ცეკას მდივანი რაკოვსკი, ესერების პარტიის ლიდერი მარია სპირიდონოვა, ტროცკის და და სხვები... ქალაქ ორიოლში ჩასვლა საქართველოში დატრიალებული პოლიტიკური მოვლენების გამო დროულად ვერ მოხერხდა. მხოლოდ 2003 წლის ივლისში შევძელით აღნიშნული ადგილის პოვნა. მე, შალვა მიქელაძის შვილიშვილმა არჩილ მიქელაძემ და დოცენტმა ელგუჯა ადამიამ წინასწარ შევიმუშავეთ გეგმა, რის საფუძველზეც არჩილ მიქელაძემ ე. წ. მედვედევის ტყეში ეს საფლავი იპოვა.

**- რა დეტალების გარკვევა შეძელით ამ საიდუმლო და სენსაციური დახვრეტის შესახებ?**

- ოლია ოკუჯავას ძმები - მიხეილ, შალვა და ალექსანდრე ოკუჯავები სტალინის იდეური მოწინააღმდეგეები იყვნენ, რის გამოც 5 დედმამიშვილიდან 4 დააპატიმრეს (მათ ბრალად ტროცკის მომხრეობა ედებოდათ, თუმცა, ოლია ოკუჯავა ტროცკის ვერ იტანდა და ლენინს აღმერთებდა). ოლია კი ყველაზე სასტიკ და მძიმე პირობებში ორიოლის ციხეში გაამწესეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი ბოლომდე იდგა თავის პოზიციაზე, უფრო მეტიც, ციხის თანამშრომლებს პირში ეუბნებოდა: - სტალინი ბოროტების სათავეაო. ამიტომაც იყო, რომ განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. 1941 წელს გერმანიასთან დაწყებულმა ომმა საბოლოოდ გადაწყვიტა მისი და მთლიანად 170 პოლიტპატიმრის ბედი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საბრძოლველად ფრონტზე წასვლას ითხოვდნენ, მოსკოვიდან პოლიტპატიმართა დასახვრეტად ბერიამ თავისი მოადგილის ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვის მეთაურობით შინსახკომის სპეციალური რაზმი გააგზავნა. ეს ის პერიოდია, როცა გერმანელები მოსკოვისკენ მარშით მოიწევდნენ და საბჭოთა მთავრობამ, თავის დაზღვევის მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება - პატიმრები, რომლებსაც ორიოლის ციხეში 20-25 წელი ჰქონდათ მისჯილი, დაეხვრიტათ. მათ წინასწარ აცნობეს დახვრეტის შესახებ. მეტიც, დახვრეტის სცენა აყურებინეს, ხოლო შემდეგ წინასწარ გამზადებულ ორმოში ერთად ჩაყარეს. მათ შორის ბევრი ცოცხალი იყო და ამ ადამიანების ფართხალი ზემოდან დაყრილ მიწას ტალღასავით არხევდა. ჩეკისტებმა ნახევრად ცოცხალ ადამიანებს მიწა დააყარეს, დატკეპნეს და ზემოდან ხეები დარგეს...

ორიოლის ციხის პოლიტპატიმართა დახვრეტის ადგილმდებარეობა და საერთო საძმო საფლავი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მხოლოდ „პერესტროიკის" შემდეგ, 1991 წლის 11 მაისს აღიმართა ძეგლი ამ საზარელ ადგილზე.

**- დგას თუ არა დღის წესრიგში გალაკტიონ ტაბიძის მეუღლისა და შალვა მიქელაძის ძვლების საქართველოში გადმოსვენების საკითხი?**

- ნახევარი საუკუნის შემდეგ 170 პატიმარს შორის პრაქტიკულად შეუძლებელია გვამის ამოცნობა, თუმცა, თეორიული შანსი არსებობს (გენეტიკური დნმ-ს გამოკვლევით, რაც ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული). სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მხოლოდ იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ ოლია ოკუჯავასა და უსამართლოდ დახვრეტილი დიდი მეცნიერის შალვა მიქელაძის საფლავი, რომლებიც სამუდამოდ დაკარგული გვეგონა, ნაპოვნია... სხვათაშორის, ბატონმა არჩილმა, როდესაც ორიოლის ტყეში საძმო საფლავი მოინახულა, დაკრძალვის ადგილიდან მიწა წამოიღო, რომელიც საზეიმო ვითარებაში უნდა მოეყაროს გალაკტიონ ტაბიძის საფლავს.

**- პარადოქსია... მაშინ, როდესაც ოლია ოკუჯავას ხვრეტდნენ, გალაკტიონი რევოლუციაზე წერდა ლექსებს...**

- გალაკტიონ ტაბიძე, სასტიკი ცენზურის გამო, იძულებული იყო, რევოლუციაზე ეწერა ლექსები... როგორ გგონიათ, პოეტთა მეფეს სტალინის ეპოქაში რომ ბედნიერად ეგრძნო თავი, დარდს ღვინით გაიქარვებდა?!. თუმცა, მან სიკვდილამდე მაინც მოასწრო მთავარი სათქმელის თქმა. 1956 წელს გალაკტიონმა დაწერა ლექსი, რომელიც ი. ლორთქიფანიძის (გალაკტიონის მკვლევარი) არქივში ინახება და საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. ამ ლექსში სტალინის დესპოტური ბუნება და საქართველოს წინაშე მისი დიდი დანაშაულია მხილებული.

**- ბატონო ხუტა, როგორც უკვე აღნიშნეთ, წიგნს წერთ, სადაც ეს ისტორიაც იქნება მოთხრობილი...**

- ოლია ოკუჯავა ქართველ ხალხში ასოცირდება, როგორც სიყვარულის სიმბოლო. ამ წიგნშიც დაწვრილებით იქნება მოთხრობილი გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას ტრაგიკული სიყვარულის ისტორია და, საერთოდ, ინტელიგენციის ტრაგიკული ბედი საბჭოთა საქართველოში.

*ესაუბრა*
**ნატო ფოცხიშვილი**

ტურისტული აგენტი
მაია წიწოშვილი
გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას
1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214
დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net

ელოდეთ
მარტის თვეში
ლიტერატურული
მამული



ქეთევან ხამიცაშვილის საავტორო ჩანართი

# გივი ბერიკაშვილი: ლონდრეს აქვს ამ ქვეყანაზე ყოფნის უფლება!





***1964 წლის 15 მაისს რეჟისორმა თამაზ მელიავამ გივი ბერიკაშვილი მთავარ როლზე („ლონდრე“) დაამტკიცა. იმ საღამოს 28 წლის ახალგაზრდა მსახიობი საკუთარ დაბადების დღესა და კინოსამყაროში გადადგმულ პირველ ნაბიჯს აღნიშნავდა. მას შემდეგ 41 წელი გავიდა. ლონდრეს როლი ბატონი გივისთვის ფეხბედნიერი აღმოჩნდა.***

**გივი ბერიკაშვილი:** - „ლონდრე“ 1964 წელს გადაიღო უნიჭიერესმა რეჟისორმა თამაზ მელიავამ ოთარ ჭილაძის სცენარის მიხედვით. კინოში ერთი-ორი პატარა როლი ნათამაშევი მქონდა, მაგრამ მთავარი როლი მანამდე არსად შემისრულებია. იმჟამად 2 წელი სოხუმის თეატრში ვიმუშავე, 1958 წლიდან დღემდე მარჯანიშვილის თეატრში ვარ. „ლონდრეში“ თავდაპირველად მიმიწვიეს გაბრიელის როლზე (შემდეგ ეს როლი სოსო ლაღიძემ განასახიერა), გადამიღეს ფოტოები - ჩაცმულსაც, შიშველსაც (როგორც ფილმში დავრბივარ). მესამე დღეს დაინიშნა სინჯი ფირზე. მოიწვიეს სამხატვრო საბჭო და დამამტკიცეს. ფილმში მონაწილეობას იღებდნენ იმ დროისთვის უკვე ცნობილი და აღიარებული მსახიობები - ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე დაუშვილი და ა.შ. საღამოს ყველამ ერთად ვიქეიფეთ - ჩემი დაბადების დღე იყო (15 მაისი), თან მთავარ როლზე ჩემი დამტკიცება აღვნიშნეთ. წელს 72 წლის ვხდები. ხომ ხედავთ, უკვე 41 წელი გავიდა, მაგრამ ფილმი ცოცხლობს, ობი არ მოჰკიდებია, მაყურებელი ჰყავს.

**- როლი რამდენად საინტერესო გეჩვენათ და თქვენი გმირი ლონდრე მართლა მოუხერხებელი თუ იყო?**

- ლონდრე როგორ არის, პირიქით, ჭკვიანია, მოხერხებული. ეს სახელი ისევეა შერჩეული, როგორც, მაგალითად, დაბალს „წოპეს“ რომ დაარქმევენ და დიდს - „პუჭურას“. ლონდრე მიზანდასახული კაცია, იცის, რას აკეთებს. ამ ქვეყანაზე ყოფნის უფლება აქვს. რა ქნას, არ უნდა ჯარში წასვლა, - მაინც წაიყვანეს. გაიხადა ჯარისკაცის ფორმა, გადაყარა, თავი ეკლესიას შეაფარა, იქიდანაც გამოაგდეს... ასე არ უნდაო, - იფიქრა და შიშველ-ტიტველმა აურდაურია ქალაქი...

**- სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

- თბილისში, კასპში - სოფელ მეტეხში. ის ეკლესია მეტეხში დგას. ეკლესიასთან ახლოს თავისუფალ ადგილას კინოსტუდიამ ფასადი გააკეთა (მღვდლისა და ნოშრევანი სახლები)...



აშენებულ სახლს ვერ დავიქირავებდით. ცეცხლს ვინ წაგვაკიდებინებდა. ერთ ოჯახად ვცხოვრობდით მთელი გადამღები ჯგუფი. სოსო ლაღიძეს თავისი ოჯახი - პატარა შვილი თან ახლდა, გვერდით ოთახში ჩვენ ვიყავით - რამაზი, კოტე, ეროსი... არაჩვეულებრივი დრო იყო. მეტეხში გადაღების ბოლო დღეებში ჩემი ცოლ-შვილი მესტუმრა - ზაფხული იყო, ახალდაბაში ისვენებდნენ და იქიდან ჩამომაკითხეს. ფილმის გადაღება თბილისში დავამთავრეთ - ზამთარში, 25 დეკემბერს ჭრელ აბანოებთან ფეხშიშველი დავდიოდი...

**- ამბობენ, ქართულ კინოში პირველი ეროტიკული კადრები „ლონდრეში“ გადაიღესო...**

- არ გადამრიოთ, როცა ლონდრემ პოლიციისგან თავშესაფარი ვერ იპოვა, აბანოში შევარდა, ქალებმა ქოშები დააყარეს - მხოლოდ ერთი ქალი ჩანს წელზევით შიშველი - ეს თუ ეროტიკაა, აბა, დღეს რასაც ტელეეკრანზე აჩვენებენ, იმას რა უნდა დავარქვათ? ლია გუდაძეს - ამეთვისტოს აფუშფუშებული ღამის პერანგი აცვია, ეკრანზე ჩანს მხოლოდ მისი მომხიბვლელობა და მშვენიერება, როგორც შეიძლება, გრძელ ღამისპერანგიანი ულამაზესი ქალის ხილვა ეროტიკასთან გავაიგივოთ, უსმენთ, დღეს როგორ საუბრობენ კინოგმირები? ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა გინება მაინცდამაინც ტელეეთერიდან უნდა ისწავლონ?

**- როგორ გახსენდებათ მეტეხში გადაღების პროცესი, როგორი იყო სოფლელების დამოკიდებულება გადამღები ჯგუფის მიმართ?**

- მოგეხსენებათ, ჩვენს კინომოღვაწეებს - რეჟისორებსა და სცენარისტებს იმ დროს მოსკოვში ჰქონდათ უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული, ამიტომ გადაღების დროს ხშირად ისმოდა „мотор, где герой?“ და ა.შ. სოფლელები გაკვირვებული მიყურებდნენ - ნეტავ, რა გააკეთა ამ ახალგაზრდა ბიჭმა ისეთი, გმირობა რომ მიანიჭესო. მაშინ ჯილდოს ანიჭებდნენ ომის ან სოციალისტური შრომის გმირებს, თან აუცილებლად მოხუცები უნდა ყოფილიყვნენ. ზოგიერთ მათგანს მედლის ტარება რომ აღარ შეეძლო, მაშინ კიდებდნენ მკერდზე... თითქმის ყოველი გადაღების შემდეგ ოჯახებში გვეპატიჟებოდნენ - იყო მაშინ ამისი საშუალება. ერთმა გლეხმა მკითხა, - გმირობა რატომ მოგანიჭესო... როცა ავუხსენი, რაშიც იყო საქმე, თავი გაიქნია - მეც არ გავიფიქრე, ასეთი ახალგაზრდაა და უკვე გმირია-მეთქი?! *(იცინის)*.

**- ანთებულ თონეში მართლაც მოგიხდათ თავის ჩარგვა?**

- თონეში ცეცხლი არა, მაგრამ ისეთი ნათურები იყო დაყენებული, რომელსაც ძლიერი ნათება ჰქონდა, სიმხურვალემ თვალებზე ძალიან იმოქმედა.

**- ფილმში მონაწილე მანდილოსნებზე რას იტყვით?**

- ლეილა ყიფიანი ამ გადაღებების დროს გავიცანი. არაჩვეულებრივი გოგოა, ბაგრატიონების რძალია, კარგი ოჯახი აქვს. ლია გუდაძეს ინსტიტუტიდან ვიცნობდი, ვმეგობრობდით... ყოველი დილა ასე იწყებოდა: - ეროსი, ჩაიცვი? კოტე, ჩაიცვი? რამაზ, ჩაიცვი? - მე კი მეტყოდნენ: - შენ რას უყურებ, ბიჭო, გაიხადე! როდესაც პურმარილზე დაგვპატიჟებდნენ, რეჟისორი ცხარობდა: - ამას არ აჭამოთ, გასუქდება, მუცელი დაეტყობა, შიშველს ვიღებთო და ა.შ. *(იცინის)*.

**- სპორტს მისდევდით?**

- ყოველთვის ვვარჯიშობდი, ფრენბურთს ვთამაშობდი, ფეხბურთს, მტკვარზე ვცურავდი. სოფელში პაპა-ბებიასთან ერთად ვენახში სამუშაოდ დავდიოდი... ერთი სიტყვით, სპორტული ცხოვრებით ვცხოვრობდი.

**- მსახიობთა ანაზღაურება იმ დროს მაღალი იყო?**

- რა გითხრათ, ჩვენს ქვეყანაში მსახიობი მდიდარი არასდროს ყოფილა. გადაღების ერთი დღე 13 მანეთი და 50 კაპიკი ღირდა. 50 მანეთი უმაღლესი „სტავკა“ იყო - ვერიკოს, სერგო ზაქარიაძეს, კაკო კვანტალიანს, სანდრო ჟორჟოლიანს უნიშნავდნენ. თან საბუთები მოსკოვში უნდა გაეგზავნათ, იქ დაემტკიცებინათ. მთელ ფილმში 2 ათასი მანეთი გადამიხადეს, ბევრიც დამიქვითეს. კინო ძვირი სიამოვნებაა, უფულოდ არაფერი კეთდება... „ქართული ფილმი“ ახლაც უსახსროდაა.

**- სად გაიმართა ფილმის პრემიერა?**

- სპორტის სასახლეში. მახსოვს, უამრავი ხალხი მოვიდა, ყველას მოეწონა. მას შემდეგ 41 წელი გავიდა. 28 თებერვალს რამაზ ჩხიკვაძე 77 წლის გახდა, 3 მარტს ეროსის 80 წელი შეუსრულდებოდა...

**- წარსული დროის ნოსტალგია გაქვთ?**

- ნოსტალგია არ მაქვს, მაგრამ, როდესაც ჩემს ძველ ნამუშევრებს ვუყურებ, სულ ვფიქრობ - რამდენი დრო დავკარგე ტყუილად, რამდენი რამის გაკეთება შემეძლო. თან, ადამიანი ხომ ნახევარ სიცოცხლეს ძილში ატარებს, ამას დავუმატოთ უქმად დაკარგული დრო... რა გითხრათ, 15-16 წლის ბიჭივით აღარ ვარ - შიგ გულში ტკივილი მაქვს, რაღაც დუღს, დაულაგებელია. ეს ჩემი ქვეყნის მდგომარეობიდანაა გამოწვეული. სცენაზე გამოსვლის სურვილი აღარ მაქვს, მაგრამ ჩემი ხალხის ღალატი არ შემიძლია. მათგან უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ, პატივისცემას... ფარ-ხმალს ვერ დავყრი, ალბათ, არ შეიძლება...

**- ბატონო გივი, თქვენი გადაცემა „არ დაიდარდო“ იხურება?**

- ბოლო გადაცემაში მაყურებელს ვუთხარი - შეიძლება ჩვენი შეხვედრა ბოლო აღმოჩნდეს-მეთქი. გადაცემის მომზადება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სპონსორი თუ არ გამოჩნდა, ალბათ, მუშაობას ვეღარ შევძლებთ. მადლობას ვუხდი იმათ, ვინც გვეხმარებოდა. ვერავის შევაწუხებ, ხელგაწვდილი კაცის მდგომარეობაში ყოფნა ძნელია. მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მუშაობის გაგრძელებას შევძლებთ - თუ კაცი საქმეს აკეთებ, ღმერთი ხელს შეგიწყობს და შენ გვერდით დადგება.

## სოსო ლაღიძე: „ლონდრეს“ ცოტა მარილი აკლია!



> **გივი ბერიკაშვილი:**
> ***ლია გუდაძეს — ამეთვისტოს აფუშფუშებული ღამის პერანგი აცვია, ეკრანზე ჩანს მხოლოდ მისი მომხიბვლელობა და მშვენიერება, როგორ შეიძლება, გრძელ ღამისპერანგიანი ულამაზესი ქალის ხილვა ეროტიკასთან გავაიგივოთ!***



**სოსო ლაღიძე *(იგივე გაბრიელი)*:** - ფილმში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ძველი კინოსტუდიის ეზოში სხვა მსახიობებთან ერთად ვიდექი. ოპერატორი ტიტე კალატოზიშვილი მოვიდა, მიიხედ-მოიხედა და ხმამაღლა თქვა, - გაბრიელს ამდენ ხანს რატომ ვეძებთ, აგერ არ დგასო? და ჩემზე მიუთითა. ასე, ყოველგვარი სინჯების გარეშე, როლზე დამამტკიცეს.

**- რამდენი წლის იყავით?**

- 27 წლის. უკვე გადაღებული ვიყავი „წარსულ ზაფხულში“, „ზღვის შვილებში“, „გლახის ნაამბობში“ გოჩა აბაშიძესთან ერთად. გადაღებები მიმდინარეობდა კასპის რაიონში - მეტეხში. მახსოვს, გადაღებების დროს ოჯახთან ერთად თოიძეებთან ვცხოვრობდი. ჩემი ვაჟი გიორგი მაშინ 6 თვის იყო. კარგი ფილმი გამოვიდა, თითქმის ყველა ცნობილი მსახიობი - ეროსი, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე დაუშვილი და ა.შ. ულამაზესი ლეილა ყიფიანი, ლია გუდაძე, თეა გაბუნია.

**- ქორწილის სუფრა მართლაც ეკლესიაში გაშლილი?**

- დიახ, ქორწილი ეკლესიაში გადავიხადეთ *(იცინის)*. ეკლესიასთან ახლოს გვირაბი კი ნამდვილად არ გაგვითხრია - დეკორატიული გვირაბი იყო. ფილმი კარგი გამოვიდა, მაგრამ, რომ იტყვიან, თითქოს მარილი აკლია. ბატონი თამაზ მელიავა ავად იყო. ფილმის გადაღების შემდეგ მალევე გარდაიცვალა.

## ლია გუდაძე: ბედნიერები ვიყავით, ყველაფერი შეიცვალა. ახლა ძალიან ცუდად ვარ...





**ლია გუდაძე *(ამეთვისტო)*:** - ფილმი დიდი ხნის წინათ გადაიღეს, ბედნიერები ვიყავით, ყველაფერი შეიცვალა. ახლა ძალიან ცუდად ვარ, საუბარი არ შემიძლია, მაპატიეთ...

მამული

# თებროლესა და გოგიტას გამო მე და ბელა ინსტიტუტიდან გაგვრიცხეს

***1956 წელს რეჟისორმა შოთა მანაგაძემ თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები — 18 წლის ბელა მირიანაშვილი და იმედა კახიანი „საბუდარელ ჭაბუკში“ მიიწვია. ფილმმა ქართველი მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა, კინოკრიტიკოსებმა მაღალი შეფასება მისცეს, მაგრამ, ალბათ, კინოს მოყვარულებმა არ იციან, რომ თებროლესა და გოგიტას როლის შესრულების შემდეგ ბელა მირიანაშვილი და იმედა კახიანი ინსტიტუტიდან გარიცხეს.***



იმედა კახიანი „საბუდარელი ჭაბუკის“ გადაღებიდან 50 წლის შემდეგ

**იმედა კახიანი:** - მაშინ ინსტიტუტში ასეთი წესი იყო, თუ ფილმში მონაწილეობას მიიღებდი, ინსტიტუტიდან გაგრიცხავდნენ. დავბრუნდით თუ არა მე და ბელა „საბუდარელი ჭაბუკის“ გადაღებიდან, გაგვრიცხეს. პირობა დავდეთ, რომ გადაღებაზე უარს ვიტყოდით. მაგრამ მე პირობა დავარღვიე - მორიგ ფილმში მივიღე მონაწილეობა. ინსტიტუტიდან ოთხჯერ გამრიცხეს. ბოლოს შემრცხვა და აღდგენაზე თხოვნის განცხადება აღარ დამიწერია. ჩამრიცხეს კინოსტუდიის შტატში და 1800 მანეთი ხელფასი დამინიშნეს. ფატალური ინსტიტუტის დიპლომი არ ამიღია. ბელა ყოჩაღი იყო. ინსტიტუტიც დაამთავრა, თეატრშიც წარმატებული იყო და კინოშიც. უაღრესად ნიჭიერი გახლდათ, ორგანიზებული. ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო, როდესაც „საბუდარელ ჭაბუკს“ ვიღებდით, ის 18 წლისა, მე კი 19-ის ვიყავი, მაგრამ ისეთი პასუხისმგებლობით მუშაობდა, ისეთი მომთხოვნი იყო, იფიქრებდით, სცენაზე დაბერდაო. გადაღების დროს ბელასი უფრო მერიდებოდა, ვიდრე პედაგოგების.

**- სოფელი საბუდარა სად მდებარეობს?**

- არსად, სცენარის ავტორმა - გიორგი მდივანმა გამოიგონა. ბატონი გიორგი მოსკოვში მოღვაწეობდა. ამ ფილმის სცენარი მოსკოვი-თბილისის მატარებელში დაწერა. იდეა, ალბათ, ჩაფიქრებული ჰქონდა, რადგან ფილმში რამდენიმე ეპიზოდი მისი ბავშვობის სინამდვილიდანაა. გადაღებები მიმდინარეობდა ზესტაფონის რაიონში - სოფელ ფუთში, კლდეეთში, ქუთაისის ავტოქარხანაში, რუსთავში, ზღვაზე - გუდაუთაში.

**- როგორ მოხდა თქვენი და ქალბატონი ბელას შერჩევა ამ როლებზე?**

- ინსტიტუტში ერთი ახალგაზრდა მოვიდა - შოთა მანაგაძე ფილმს იღებს და მსახიობები ესაჭიროებაო. გოგიტას როლისთვის უკვე შერჩეული იყო გოჩა აბაშიძე. ჩვენ მისი მეგობრები უნდა განგვესახიერებინა. რამდენიმე ბიჭი გამოვცხადდით კინოსტუდიაში. ბატონი შოთა სათითაოდ გაგვესაუბრა, შემდეგ თავის ასისტენტს უთხრა, - ჩავაცვათ და გოგიტას როლზე გავსინჯოთო. გამიკეთეს გრიმი, გადაიღეს პატარა ეტიუდი და, რატომღაც, ბატონმა შოთამ ჩემზე შეაჩერა არჩევანი. შემდეგ დაიწყო თებროლეს ძებნა. ვინც კი ლამაზი გოგო იყო თბილისში, ყველა იქ მოიყვანეს. მათ შორის ჩემი მეუღლე ფლორაც გახლდათ. აი, მას შემდეგ დღემდე ერთად ვართ *(იცინის)*... თებროლე ბევრი ეძებეს... რას წვალობდნენ - ჩემს ჯგუფელს, ულამაზეს ბელა მირიანაშვილს რა პოვნა უნდოდა! საოცრად ნიჭიერი გოგო იყო, საბალეტო სტუდია ჰქონდა დამთავრებული. ისე მოხდენილად დადიოდა... შეიკრიბა არაჩვეულებრივი მსახიობების ჯგუფი - სესილია თაყაიშვილი, იპოლიტე ხვიჩია, გრიშა ტყაბლაძე, გივი თოხაძე. თავად რეჟისორი იყო შესანიშნავი პიროვნება - შეყვარებული თავის ქვეყანაზე, ქართულ ენაზე. გადაღებები მთელი წელი მიმდინარეობდა. ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, ყველანი ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. მახსოვს, გადასაღებ ადგილზე ერთი დამტვრეული, მტვრიანი ავტობუსით მივდიოდით. ყოველთვის უკანა სკამზე ვჯდებოდი, უფროსები წინ სხდებოდნენ. ერთხელაც ავედი თუ არა ავტობუსში, სალონის ბოლოსკენ გავემართე. ბატონმა შოთამ მითხრა, - სად მიდიხარ, აქ, წინა სკამზე დაჯექიო და ჩემზე უფროს კაცს მიუთითა, ადგილი დაეთმო. ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ შოთამ დამამშვიდა და გადამღებ ჯგუფს მიმართა - მე რომ რაიმე დამემართოს, შემცვლელს იპოვიან და ფილმს დაამთავრებენ, მაგრამ ამას რომ რაიმე შეემთხვას ან დაღლილი და უსუსური ჩანდეს ეკრანზე, სურათი ჩაიშლება, თქვენც უმუშევრები დარჩებითო. ჩვენი შრომა ამან უნდა გამოაჩინოს ეკრანზეო. ბატონი შოთა დიდი პიროვნება იყო, ამით მეც მაგრძნობინა, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა მეკისრა არა მარტო რეჟისორის, არამედ მთელი გადამღები ჯგუფის წინაშე.

**- თქვენი ცხოვრებისეული სინამდვილე რამდენად ჰგავდა გმირის ცხოვრებას?**

- ჩემთვის უცხო არ იყო იმერეთი. რეპრესიების გამო ჩვენი ოჯახი 10 წელი იმერეთის სოფელში ცხოვრობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, გოგიტას თავგადასავალიც რაღაცნაირად ჰგავდა ჩემს ცხოვრებას. ბავშვობაში მეც მომწონდა ჩემი მეზობელი გოგონა. იმასაც მოვწონდი, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვუტყდებოდით. მეგობარმა მისი სურათი მომიტანა. არ მინდოდა, სახლში ვინმეს ენახა, ამიტომ ეზოს კუთხეში მდგარ საბატეში დავმალე... მეორე დღეს მამაჩემმა ვახშმობის დროს ბატები ახსენა: - ბატს ბატი კი ჰქვია, მაგრამ ბატებმა რომი გადაარჩინესო. ბატების ასეთი ქებით ხსენება არ მომეწონა, მივხვდი, საქმე ცუდად იყო. თურმე, ერთ ბატს კისერი წაუგრძელებია და დამალული სურათი ნისკარტით გამოუძვრენია...

**- ფილმში რომელ ეპიზოდებს გამოყოფდით?**

- მომწონს ბელასთან ერთად გადაღებული ეპიზოდები. ჩვენ სუფთა, მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან. ეს ფილმშიც ჩანს. სტუდენტობის დროს მარტო ვცხოვრობდი, ჩემი ჯგუფელები - ბელა და გურანდა გაბუნია რამდენჯერმე მოვიდნენ ჩემთან, სახლი დამილაგეს... ასეთი მახსოვს ბელა, მზრუნველი, ყურადღებიანი.

**- სად არის ის ეპიზოდი გადაღებული, შეყვარებული გოგონას ყველა შეკითხვაზე „ჰო“-ს რომ პასუხობთ?**

- რუსთავში. დღეს როცა ვუყურებ ამ ფილმს, თვალზე ცრემლი მადგება, მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ურთიერთობები, უჭირდა ხალხს, საცხოვრებელს ტოვებდნენ, ბედის საძიებლად სხვაგან მიდიოდნენ, მაგრამ პიროვნულ ღირსებებს არასოდეს კარგავდნენ. დიდი დრო გავიდა, უკვე 68 წლის ვარ, მაგრამ, მერწმუნეთ, ადამიანი არ იცვლება, ბავშვობაში ვინც იყო, სიბერეშიც ის არის.

**- გოგიტას მამა - გრიშა ტყაბლაძე საკმაოდ მკაცრია...**

- დიახ, მკაცრია, მაგრამ ქართველი კაცია, მშრომელი, უყვარს თავისი ოჯახი, პატიოსანი შვილები გაზარდა. ბატონი გრიშა ლმობიერი, თბილი ადამიანი იყო, ისეთი მკაცრი არა, როგორც კინოში. ის ეპიზოდი ხომ გახსოვთ, აღელვებული ეზოში რომ ყვირის. ცოლი შეწუხებული ეუბნება, - რა გაყვირებს, კაცო! - რა მოხდა, - ჩემს კარ-მიდამოში ყვირილის უფლება არ მაქვსო?! ასეა, კაცმა საქმე გააკეთოს, ოჯახს მიხედოს და იყვიროს თავის სახლში, რამდენიც უნდა, რატომ ვუკრძალავთ?.. *(იცინის)*. ახალგაზრდობაში ძილი მიყვარდა. მახსოვს, ერთ დილას ფლორას დეიდა - ელენე გვესტუმრა. დისშვილმა დეიდას შესჩივლა, - 10 საათია, ამას კიდევ სძინავსო... დეიდამ დაამშვიდა, - დაანებეთ ამ კაცს თავი, ძილში და მოსვენებაში ამდენი საქმე გააკეთაო *(იცინის)*... ცეცხლი და დიდი საქმეების გამკეთებელი არ ვიყავი, მაგრამ ჩემი გასაკეთებელი ყოველთვის ბოლომდე მიმყავდა.



**იმედა კახიანი:**
*— ეს კადრები რუსთავშია გადაღებული — შეყვარებული გოგონა ათას რამეს მეკითხება, მე მხოლოდ „ჰო“-ს ვპასუხობ.*



**იმედა კახიანი:**
*ჩვენ სუფთა, მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან. ეს ფილმშიც ჩანს, ბელა იყო მზრუნველი, ყურადღებიანი...*



# ნინო მირიანაშვილი: ფილმში ყველა კაბა ბელას საკუთარი გარდერობიდანაა!

**ნინო მირიანაშვილი:**
*საკუთარ თავს დეპრესიაში ჩავარდნის უფლებას არასოდეს მისცემდა. უდიდესი ნებისყოფის ადამიანი გახლდათ. მეუღლესა და შვილებს თავს დასტრიალებდა. სიარული უჭირდა, მაგრამ სულიერად ძლიერი იყო.*

**ნინო მირიანაშვილი, *ბელა მირიანაშვილის და:*** - ბელა თეატრალური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი იყო, 18 წლის, როდესაც რეჟისორმა შოთა მანაგაძემ „საბუდარელ ჭაბუკში“ გადაიღო. ეს მისი დებიუტია კინოში. რეჟისორმა უამრავ ლამაზ თბილისელ გოგონას გადაუღო სინჯები, მაგრამ არჩევანი ბელაზე შეაჩერა. კარგი ფილმი გამოვიდა, მაყურებელს მოეწონა, კინომცოდნეებისგანაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. გადაღებები ზესტაფონის რაიონში მიმდინარეობდა, სოფელ ფუთში, ასევე ქუთაისში, ფოთშიც. ფილმის გმირის - თებროლეს ეზო-კარი სინამდვილეში ცნობილი რევოლუციონერის კარლო ჩხეიძის კარმიდამო გახლავთ, გადაღებების დროს ბელას ყოველთვის თან ვახლდი. ჩემთან ერთად იყო სწორედ იმ კარლო ჩხეიძის შთამომავალი მანანა ჩხიკვიშვილი.

**- ბელას გარდა, თქვენს ოჯახში ხელოვნებას ვინ ემსახურებოდა?**

- მამაჩემის მხრიდან ბებია - მარო მდივანი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დასის წევრი იყო. მამიდებიც მსახიობები იყვნენ. ახლა თეატრში მოღვაწეობენ ბელას შვილები - ნანუკა და ირაკლი. თავად პროფესიით ინჟინერი ვარ.

**- ქალბატონი ბელა როგორ აფასებდა მის მიერ განსახიერებულ როლებს?**

- ბელა თავმდაბალი ადამიანი იყო, კრიტიკულად უყურებდა საკუთარ გმირებს, დაფიქრდებოდა, რომელ ეპიზოდში შეეძლო უკეთ თავის გამოხატვა.

**- ფილმში კინოსტუდიაში შერჩეული კაბები აცვია?**

- ყველა კაბა ბელას საკუთარი გარდეროზიდან არის. იმ დროს - 1956 წელს, ასეთი მოდელების თარგები იჭრებოდა. ეს არ იყო ძვირფასი კაბები, მაგრამ ბელას ძალიან უხდებოდა.

**- სცენაზე დგომა რომ აღარ შეეძლო, განიცდიდა?**

- საკუთარ თავს დეპრესიაში ჩავარდნის უფლებას არასოდეს მისცემდა. უდიდესი ნებისყოფის ადამიანი გახლდათ. მეუღლესა და შვილებს თავს დასტრიალებდა. კუნთები დაუსუსტდა, სიარული უჭირდა, მაგრამ სულიერად ძლიერი იყო. არა მარტო ხელოვნება, არამედ ყველაფერი აინტერესებდა, რაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას შეეხებოდა. 9 აპრილს მისი ოჯახის წევრები მიტინგზე იყვნენ, თავად აივანზე იდგა და ამგვარად გამოხატავდა თანადგომას. ძნელად თუ იპოვით ასეთი ნებისყოფისა და სულიერი სიმტკიცის მქონე ადამიანს.

**- რამდენი წლისა გარდაიცვალა?**

- 54 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1993 წელს. ბელაზე სამი წლით უფროსი ვიყავი.



დები ნინო და ბელა მირიანაშვილები „საბუდარელი ჭაბუკის“ გადაღებაზე



**იმედა კახიანი:**
*დღეს როცა ვუყურებ ამ ფილმს, თვალზე ცრემლი მადგება, უკვე 68 წლის ვარ, მაგრამ, მერწმუნეთ, ადამიანი არ იცვლება...*

**საზოგადოებას კარგად ახსოვს 25 წლის წინათ თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული ტელესპექტაკლი „კუკარაჩა“, სადაც მთავარ როლებს ასრულებენ ყველასათვის კარგად ცნობილი მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ლიკა ქობულაძე. ინგა და კუკარაჩა ხომ ყოველი ქართველის ნაცნობი და საყვარელი ლიტერატურული გმირები არიან. თავად ნაწარმოების ავტორს ნოდარ დუმბაძეს სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კმაყოფილების ნიშნად ორივე ხელი აუწევია, ახალგაზრდა რეჟისორისთვის და მსახიობებისთვის გამარჯვება მიულოცავს. ინგა და კუკარაჩა — ლიკა ქობულაძე და გოგი ქავთარაძე დღეს ჩვენი ჩანართის სტუმრები არიან.**

# გოგი ქავთარაძე: კარგი იქნება, თუ დღევანდელი პოლიციელები მაგალითს კუკარაჩასაგან აიღებენ!

**გოგი ქავთარაძე და ლიკა ქობულაძე ტელესპექტაკლ „კუკარაჩას“ დადგმიდან 25 წლის შემდეგ**





## ლიკა ქობულაძე: დღემდე შემორჩენილი მაქვს 25 წლის წინანდელი ემოცია!

**ლიკა ქობულაძე:** - ბატონი თემურ ჩხეიძე თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი პედაგოგი გახლდათ, უნიჭიერესი პიროვნებაა, დიდი მაესტრო, რომელმაც ზუსტად იცის, სპექტაკლისთვის რა ესაჭიროება, როლზე ვინ უნდა დააკავოს. როგორც პედაგოგს, არასოდეს გასჭირვებია სტუდენტის შემოქმედებითი ნიჭისთვის მიმართულების მიცემა. მაშინ ის 27-28 წლის ახალგაზრდა რეჟისორი იყო (დადგმული ჰქონდა „გუშინდელნი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“), ჩვენ კი - 16-17 წლის გოგო-ბიჭები, რომლებიც მას ვენდობოდით და ვაღიარებდით.

**- ინგას როლი ბატონმა თემურმა თავად შემოგთავაზათ?**

- ახალი წლის დღეები იყო - ბატონ თემურს დავურეკე და მივულოცე. თვითონ შემომთავაზა - შენთვის სამუშაო მაქვსო და ტელევიზიაში მიმიწვია. 25 წლის ვიყავი, თან - უფროს ქალიშვილზე ფეხმძიმედ. ჩემი მდგომარეობის შესახებ ბატონ თემურს ვუთხარი, მაგრამ დამამშვიდა, შენ და გოგი ქავთარაძე ერთმანეთს თუ მოუხდებით, როგორც წყვილები, გადაგიღებთო. ასეც მოხდა, ჩემი სცენები 4 დღეში გადაიღო. უნდა აღინიშნოს, რომ გოგის გარდა არაჩვეულებრივი მსახიობები იყვნენ მოწვეულნი - თემურ ბაბლუანი, ნანი ჩიქვინიძე, ლეილა შოთაძე, ირმა გურიელი... ლეილა შოთაძესთან, რომელიც მკითხავის როლს ასრულებს, რეპეტიცია საერთოდ არ გამივლია, ისე გადავიღეთ. მე ჩემი ტექსტი ვიცოდი, მან - თავისი. გამაოგნა ქალბატონი ლეილას სამსახიობო ხელოვნებამ.

**- თქვენი გმირის - ინგას თვისებები რამდენად ახლოს იყო თქვენს პიროვნულ თვისებებთან?**

- ყველა ჩემს გმირს ვგავარ ხასიათით - დადებითსაც და უარყოფითსაც. დიახ, ასეა, ადამიანში დადებითი თვისებებიც არის და უარყოფითიც. პროფესიონალიზმი ის არის, შენს გმირს ეთანხმები თუ არა, გაუგო და ჩასწვდე მის ბუნებას. ინგა უპატრონო ბავშვთა სახლში გაიზარდა. მას უნდოდა, პიროვნებად ჩამოყალიბებულიყო. ჩამოყალიბდა კიდეც, მაგრამ რაღაც პერიოდში უარყოფითმა ძალამ იქონია გავლენა. კუკარაჩამ მოახერხა ცხოვრების გზაზე მისი დაბრუნება. ინგა ომში დაიღუპა, მაგრამ თავი სიყვარულს შესწირა - ტკივილიან და უარყოფითი ცხოვრების პერიოდს ხარკი გადაუხადა.

**- სპექტაკლში რომელ ეპიზოდს გამოყოფთ?**

- ყველა ეპიზოდი მომწონს, გამოყოფა გამიჭირდება. მახსოვს, გადაღების მთელ პროცესში იმდენად ვიყავი ჩართული, რომ პავილიონში უსაქმოდ ვერ ვჩერდებოდი. იმ ეპიზოდში, კუკარაჩას უფროსი ჰაუპტვახტში რომ ჩასვამს და კადრში მხოლოდ კუკარაჩა ჩანს, მეც მის პირდაპირ ვზივარ, არავის უთხოვია (მაყურებელი ამას ვერ ხედავს), მაგრამ იქ ვარ *(იცინის)*. - თავი დაანებე, ლიკა, - ბრაზობდა თემური...

**- კოსტიუმები თქვენი შერჩეულია?**

- რამდენიმე კოსტიუმი ჩემი გარდერობიდანაც არის. იმ ეპიზოდში, როდესაც მე და მურტალო მაგიდასთან ვსხედვართ, ხოლო კუკარაჩა შემოდის და ამბობს, - არ გაინძრე, მურტალო! - ჩემი კაბა მაცვია. ცნობილი ანსამბლის წევრებმა ინგლისიდან ჩამოიტანეს და შევიძინე. ამასწინათ ჩემს გარდერობში რაღაცას ვეძებდი, შემთხვევით ამ კაბას წავაწყდი. ხელში ავიღე, მოვეფერე. დღემდე მაქვს შემორჩენილი 25 წლის წინანდელი ემოცია. ხშირად მსახიობებს ერთმანეთის კოსტიუმებითაც გვისარგებლია - ოღონდ კი შინაგანად დავიხარჯოთ, სათქმელი ვთქვათ... ჩვენი ერთადერთი მიზანი ეს არის.



**ლიკა ქობულაძე:** *— რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ მითხრა — შენ და გოგი ქავთარაძე ერთმანეთს თუ მოუხდებით, როგორც წყვილები, გადაგიღებთ.*

**- სპექტაკლის ბოლო ეპიზოდში - როდესაც თქვენი გმირი მურტალოს ესვრის - მართლა ისვრით რევოლვერიდან?**

- პიროტექნიკოსი ისვრის. მაგრამ იმდენად წამლეკა ემოციამ, ველარ განვსაზღვრე, რევოლვერის სროლა რამდენჯერმე უნდა მეჩვენებინა. ექვსამდე დავითვალე, შემდეგ გავჩერდი, მაგრამ ხმა ისევ გაისმა... როდესაც კუკარაჩა ამბობს, - არ გაინძრე, მურტალო! და ისვრის, - ამ დროს საფანტი სახეზე მომეყარა, თვალშიც ჩამიცვივდა... თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი კოსტიუმიც დაიცხრილა. თვალები საშინლად მეწვებოდა, მაგრამ რეჟისორს გადაღება მაინც არ შევაწყვეტინე.

**- ბატონ გოგი ქავთარაძეზე, როგორც პიროვნებასა და პარტნიორზე, რას იტყვით?**

- თბილი, ტკბილი ადამიანია. თეატრალურ ინსტიტუტში ბატონმა გოგიმ სადიპლომო სპექტაკლზე მნახა, შემდეგ ქუთაისში მესხიშვილის სახელობის თეატრში მიმიწვია. მართალია, რამდენიმე თეატრიდან მქონდა მოწვევა, რუსთაველის თეატრში უშტატოდ ვმუშაობდი, მაგრამ, ასე ვთქვათ, პერიფერიაში წასვლა ვამჯობინე. 6 თვე ქუთაისში ვიმუშავე, მაგრამ ჩემი ოჯახის გარეშე ვერ გავძელი, თეატრი მივატოვე და თბილისში დავბრუნდი. ამის შემდეგ მე და გოგი „კუკარაჩაში“ შევხვდით ერთმანეთს როგორც პარტნიორები. პირველ ხანებში თავს უხერხულად ვგრძნობდი, მეგონა, გამინაწყენდა, მაგრამ ის იმდენად სუფთა და ნათელი პიროვნებაა, არაფერი უთქვამს, არც შეუხსენებია, რომ მაშინ მთლად კარგად არ მოვიქეცი. გოგი უდიდესი პროფესიონალია - მისი თვალები ყველაფერზე მეტყველებს... „ახია ჩემზე“... რამდენ რამეს იტევს მის მიერ წარმოთქმული ეს ორი სიტყვა.



**ლიკა ქობულაძე:** *— შეიძლება მრავალი როლი ითამაშო, ნიჭიერიც იყო, მაგრამ ხალხს შენ მიერ განსახიერებული გმირები არ ახსოვდეს...*

**- ტელესპექტაკლის პრემიერა როდის შედგა?**

- 1980 წელს, ახალი წლის დღეებში. მთელმა საქართველომ გაგვიცნო. მეგობრები თუ უბრალო ნაცნობები - ყველა ინგას მეძახდა. თავიდან ვღიზიანდებოდი კიდეც, როდესაც ამ სახელით მომმართავდნენ, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს უდიდესი ბედნიერებაა. შეიძლება მრავალი როლი ითამაშო, ნიჭიერიც იყო, მაგრამ ხალხს შენ მიერ განსახიერებული გმირები არ ახსოვდეს... მიხარია, რომ ჩემი პირველი ტელესპექტაკლი ასეთი აღიარებული გახდა.

**- ბატონმა ნოდარ დუმბაძემ როგორი შეფასება მისცა სპექტაკლს?**

- ძალიან მოეწონა, თუმცა, თავიდან ცოტა უკმაყოფილება გამოუთქვამს კუკარაჩას - გოგი ქავთარაძის ასაკის გამო. ნაწარმოებში კუკარაჩა ახალგაზრდა - 20-21 წლის ყმაწვილია, სპექტაკლში კი თემურ ჩხეიძემ ამ როლის შესასრულებლად 40 წელს მიღწეული მამაკაცი მოიწვია. მაგრამ რეჟისორმა იმდენად სწორად და კარგად გადაწყვიტა, ვის რა უნდა განესახიერებინა, რომ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ბატონი ნოდარი ძალზე კმაყოფილი დარჩა. ამ ტელესპექტაკლის ეპიზოდები შესულია ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ამსახველ დოკუმენტურ ფილმშიც. ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მარჯანიშვილის თეატრში მისვლისთანავე ჩემმა უსაყვარლესმა რეჟისორმა გოგი თოდაძემ „მარადისობის კანონში“ სვეტას როლზე დამაკავა. ამ ყველაფრის გამო ერთი პერიოდი ჩემი კოლეგები და მეგობრები „დუმბაძევნას“ მეძახდნენ.



**- 25 წლის შემდეგ რას ეტყვით რეჟისორსა და სპექტაკლში გადაღებულ ყველა მსახიობს?**

- „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი“ *(იცინის)*. გოგი ამ ერთი კვირის წინათ ედიშერ მაღალაშვილის დაკრძალვაზე ვნახე, მეტნაკლებად სხვა მსახიობების ნახვასაც ვახერხებ. შოთა სხირტლაძე (კუკარაჩას უფროსის როლს ასრულებს) თურქეთში - ანკარაში ასწავლის სამსახიობო ხელოვნებას. სხვათაშორის, ბატონი შოთა ჩემი ფარიკაობის მასწავლებელი იყო... ამ რამდენიმე თვის წინათ მისი ხილვის ბედნიერება მქონდა - ანკარაში შევხვდით ერთმანეთს და კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ბავშვობა და „კუკარაჩა“

**გოგი ქავთარაძე:** - ნოდარ დუმბაძის თითქმის ყველა გმირი განვასახიერე - სოსოია, თემო, ავთო ჯაყელი, ზაზა ნაკაშიძე. როგორც რეჟისორმა, მისი ნაწარმოებების მიხედვით არაერთი სპექტაკლიც დავდგი. მაშინ, როდესაც თემურ ჩხეიძემ „კუკარაჩას“ გადაღება გადაწყვიტა, ქუთაისის თეატრში ვმუშაობდი. თვითონ ნოდარ დუმბაძეს ძალიან გაუკვირდა, როდესაც ამ როლზე თემურ ჩხეიძემ 40 წელს მიღწეული მამაკაცი დამაკავა (ნაწარმოების მიხედვით, კუკარაჩა 20-21 წლის ვაჟია). მაგრამ თემურმა ჩანაფიქრი გაუზიარა - მართალია, კუკარაჩა შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ ჩემთვის უფრო საინტერესოა ზრდასრული მამაკაცის ბუნება, რომელმაც შეინარჩუნა ბავშვური გულწრფელობა, სიკეთე. რეჟისორის აზრით, კუკარაჩა არ იყო პატარა ბიჭი - ის ჩამოყალიბებული პიროვნებაა, რომელმაც გამოიარა ფინეთის ომი, მუშაობს მილიციაში და ა.შ. საბოლოოდ, ნოდარს ეს ტელესპექტაკლი ძალიან მოეწონა - ორივე ხელი აწია. კუკარაჩა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ის დასავლეთ საქართველოდან კი არ არის, როგორც დუმბაძის ნაწარმოებების გმირების უმრავლესობა, არამედ - აღმოსავლეთიდან, გვარად თუშურაშვილი - აქ სხვა ხასიათია ნაჩვენები, სხვა ბუნება, მენტალიტეტი.

**გოგი ქავთარაძე:** *— თემურ ბაბლუანმა იმდენად კარგად განასახიერა მურტალოს როლი, რომ ერთ მილიციელს მართლა კრიმინალი ეგონა და ქუჩაში დააკავა.*

ეს ტელესპექტაკლი ქართველ მაყურებელს დღემდე ახსოვს. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლობლები ახლაც კუკარაჩას მეძახიან. მახსოვს, პრემიერის შემდეგ ვერიკო ანჯაფარიძემ დამირეკა და მითხრა: თემურის სპექტაკლი ვნახე და უნდა გითხრა, რომ დიდი სიამოვნება მივიღე, გამაოცა იმ სიმართლემ და სიკეთემ, რასაც შენი გმირი ეკრანზე ასხივებსო. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. ეს იყო უდიდესი შეფასება ამ დიდი მსახიობისგან. თემურმა არაჩვეულებრივი მსახიობები მოიწვია. ეს იყო საუკეთესო არტისტების ანსამბლი - ლიკა ქობულაძე, ლეილა შოთაძე, თემურ ბაბლუანი, დათო დვალიშვილი და ა.შ. ახლაც კი, როცა მათ ვხვდები, ასე მგონია, ფრონტზე ერთად ვიყავით. თემურ ბაბლუანმა იმდენად საუკეთესოდ შეასრულა როლი, რომ სოხუმში ერთ-ერთ მილიციელს მართლა კრიმინალი ეგონა, მურტალო ცხოვრებისეულ სინამდვილეში გადმოიყვანა და სოხუმის ქუჩებში ცოლშვილთან ერთად მოსეირნე თემურ ბაბლუანი დაიჭირა. - რატომ მაკავებთ, გოგი ქავთარაძის მეგობარი ვარო, - მაგრამ არაფრით არ უჯერებდნენ. შემდეგ დამირეკეს, გაირკვა ყველაფერი *(იცინის)*.

**- ფორმა, რომელიც კუკარაჩას აცვია, სად შეარჩიეთ?**

- ეს არის ომისდროინდელი მილიციელის ფორმა. ასეთი კიტელი ეცვათ მაშინ მილიციელებს და სწორედ ასეთივე ქუდი ეხურათ. სტუდიაში შევკერეთ.

**- მაინც, რა ევალებოდა მილიციაში კუკარაჩას და, როგორ ფიქრობთ, დღევანდელი პოლიციელისგან რით განსხვავდებოდა?**

- უბნის მილიციელს ენდობოდნენ. ისინი ახლოს იყვნენ ოჯახებთან, ბავშვებს მართლაც უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ, სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც კუკარაჩა. კარგი იქნება, თუ დღევანდელი პოლიციელები მაგალითს მისგან აიღებენ.



**გოგი ქავთარაძე:** *— ეს არის ომისდროინდელი მილიციელის ფორმა. ასეთი კიტელი ეცვათ მაშინ მილიციელებს და ასეთივე ქუდი ეხურათ.*

მამული

# ოთარ კობერიძე: „ბაში-აჩუკი“ გენიალური არა, მაგრამ ეროვნული ფილმი ნამდვილად არის!

*ოთარ კობერიძე და დოდო ჭიჭინაძე ფილმის გადაღებიდან 50 წლის შემდეგ*

# დოდო ჭიჭინაძე: ჩვენ სხვა ეპოქის შვილები ვართ!

***1956 წელს ქართველმა მაყურებელმა ლეო ესაკიას ფილმში „ბაში-აჩუკი“ ულამაზესი ეკრანული წყვილი იხილა — უმშვენიერესი დოდო ჭიჭინაძე და ქართველი მამაკაცის სილამაზის ეტალონად აღიარებული ოთარ კობერიძე. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. როგორც ქალბატონმა დოდომ ბრძანა, ფილმი გადაიღეს სწორედ მაშინ, როდესაც ომისა და განვლილი რეპრესიების შემდეგ ქართველ ერს გამხნევება და თავისი გმირული ისტორიული წარსულის გახსენება ესაჭიროებოდა.***





**დოდო ჭიჭინაძე:** - ქართული ეროვნული თავმოყვარეობა სწორედ ამ ფილმში ჩანს. უნდა ვიცოდეთ ისტორია, ჩვენი დიდებული წარსული, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებმა არ იციან და არც აინტერესებთ ჩვენი ერის დიადი გამარჯვებები. 30 წლის ვიყავი, როდესაც ამ ფილმზე მიმიწვიეს. „დავით გურამიშვილის“ შემდეგ ეს იყო ჩემი მეორე როლი კინოში. გმირის - თავადის ასულის ნინო წერეთლის ხასიათი აბსოლუტურად ახლოს იყო ჩემს პიროვნებასთან, ჩათვალეთ, რომ ჩემს თავს ვთამაშობ.

**- თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ფილმში თქვენ და ბატონ ოთარს უნდა გეთამაშათ?**

- ოთარი მაშინ სოხუმის თეატრში მუშაობდა. ლეო ესაკიას მე ჩავაცივდი, ბაში-აჩუკის როლზე ის მოეწვიათ. ვუთხარი, - ოთარი არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ჯარი ახალი მოვლილი აქვს, სპორტული აღნაგობისაა, ვაჟკაცური, ჯანსაღი. ოთარს ხელოვნების სტუდიიდან ვიცნობდი. ასეთი ზნეობისა და კულტურის მქონე პიროვნება ძნელად თუ შემხვედრია. ჩვენ სხვა ეპოქის შვილები ვართ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე საოცრად შეყვარებული. ისეთები არა ვართ, ასე ხელაღებით და დაცინვით რომ იხსენებენ ჩვენი სამშობლოს წარსულს, ჩვენს გენიოსებს. ამასწინათ ვიღაცამ თქვა, სანაპიროს სტალინის სახელი რატომ უნდა ერქვას, შევცვალოთო. გამეცინა, როგორ არ აფასებენ ისტორიას. იქნებ ჩემი და ოთარის გმირებიც ამათთვის უცხოა.

**- ქალბატონო დოდო, თქვენ ქართველი ქალის სილამაზის ეტალონად მიგიჩნევდნენ...**

- ასე ამბობენ, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს *(იღიმება)*.

**- როგორც ცნობილია, თქვენ მედიცინიდან მიხვედით ხელოვნებაში...**

- რეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის დედამ მიმიყვანა, თეატრში კი - ვერიკომ, მითხრა - Ты рождена для театра.

**- ჯირითი გეხერხებოდათ? ფილმში მოხერხებულად ზიხართ ცხენზე...**

- დიახ. ცხენზე მარჯვედ ვიჯექი, საოცრად მიყვარს ეს ცხოველი. მახსოვს, გადაღების დროს გაქანებული ცხენიდან სიმინდებში გადავვარდი. ყვირილით უკან მომდევდნენ, ცხენი დაფრთხა, მე კი თავი ვეღარ შევიმაგრე.

**- რომელი ეპიზოდი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- გამოყოფა გამიჭირდება. ცრემლის გარეშე ვერ ვუყურებ ამ ფილმს, ყველანი ლამაზები ვართ, ახალგაზრდები...

**- სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

- კახეთის ულამაზეს სოფლებში. სიზმარივით მახსენდება ეს ყველაფერი.

**- ბატონ ოთართან დღემდე გაქვთ ურთიერთობა?**

- ლიას შემდეგ ვეღარ ვახერხებთ ერთმანეთის მოკითხვას. მინდა, რომ ოთარი იყოს ჯანმრთელად, ის არის ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, ქართული ჯიში და გენი, რომელმაც სიყვარულიც განსაკუთრებული იცის - მაგას ვენაცვალე, როგორი სიყვარული სცოდნია, ლიას შემდეგ არავისზე უფიქრია, არავინ აურჩევია. ულამაზესი იყო ახალგაზრდობაში, ახლა დარბაისელი ჭკვიანი მამაკაცია. ძალიან მიყვარს. მიყვარს კიდევ ერთი გაფხორილი რაჭველი. ხომ კარგად იცით, ვისზეც გეუბნებით - *(იცინის)* ზურა ქაფიანიძე...





**ოთარ კობერიძე:** - დოდოს ჩემს ცხოვრებაში თავისი კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი. ულამაზესი ქალბატონი იყო. შავი გაშლილი თმებით ბოშა ქალივით ჩაგვიქროლებდა კინოსტუდიაში. ისე შევყურებდით, როგორც საოცარ მოვლენას. მე და დოდო კინოსამსახიობო სტუდიაში ერთად ვსწავლობდით. მახსოვს, აკრობატიკაში კოწო ბადრიძე გვამეცადინებდა. იყო ასეთი სცენა: დოდო ამაღლებულ ადგილას დგებოდა, იქიდან უცებ ვარდებოდა, მე ხელში ვიტაცებდი... ის არამარტო ლამაზი იყო, მასში იგრძნობოდა ძლიერი ქალის სულიც. ვმეგობრობდით.

**- ბატონო ოთარ, თქვენი კინობიოგრაფია „ბაში-აჩუკიდან“ იწყება?**

- 1941 წელს ნიკოლოზ შენგელაიამ გადამიღო „შავ მთებში“. იმ დროს, როდესაც რეჟისორმა ლეო ესაკიამ „ბაში-აჩუკის“ გადაღება გადაწყვიტა, სოხუმის თეატრში ვმოღვაწეობდი. ამ ფილმში მიმიწვიეს შალვა ერისთავის როლის შესასრულებლად. ჩემი მეგობარი თენგიზ გოშაძე სოხუმში ჩამოვიდა და მითხრა, - გადაღებებზე თბილისში უნდა ჩამოხვიდეო. ჩამოვედი. ცხენოსანი ცოტნე ძიძიგური მსახიობებს ჯირითში ამეცადინებდა. მე როცა დამინახა, მითხრა, - შეჯექი, ოთარ, ცხენზე, შენ რაში გჭირდება ვარჯიშიო (სანამ ფრონტზე წამიყვანდნენ, ცხენოსანთა არტილერიაში ვმსახურობდი, ცოტნეც იქ იყო. სწორედ იქიდან იცოდა ჩემი ცხენოსნობის ამბავი)... ამ ვარჯიშის დროს მოვიდა ლეო ესაკია, ჩიბუხი გააბოლა და მდგომარეობა იკითხა. ცოტნემ უპასუხა, - ორი კვირა კიდევ დაგვჭირდება, მსახიობები როგორც კი უზანგებიდან ფეხს გამოყოფენ, ძირს ცვივიანო. შემდეგ ჩემი ამბავი იკითხა. დაძახებისთანავე რეჟისორთან ცხენი მივაჭენე. ლეო ესაკიამ თენგიზს და სხვა თანმხლებ პირს რაღაც გადაულაპარაკა და წავიდა. თენგიზი მომვარდა და მითხრა, - ოთარ, მთავარ როლში გიღებენო. შემდეგ უკვე კინოსტუდიაში დოდო ჭიჭინაძე დამხვდა, როგორც კი შევედი ოთახში, მითხრა - ოთარ, მეც მაქვს წილი, იცოდეო... თავიდან სწორედ მას მიუთითებია ამ როლზე ჩემი დაკავება. „ბაში აჩუკის“ გადაღების დროს გავიცანი ჩემი ლია. უცნაურია, ეს ორი ლამაზი ქალი - ლია და დოდო გიჟდებოდნენ ერთმანეთისთვის. მოგეხსენებათ, ლამაზი ქალები ხშირად ერთმანეთს მტრობენ, მათ კი არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ, მეგობრობდნენ. ლიამ და დოდომ ერთად ითამაშეს „შეწყვეტილ სიმღერაშიც“.



ოთარ კობერიძე: — დოდო ულამაზესი იყო, შავი გაშლილი თმებით ბოშა ქალივით ჩაგვიქროლებდა კინოსტუდიაში.

ოთარ კობერიძე და დოდო ჭიჭინაძე. 1956 წელი

**- ბატონო ოთარ, თქვენი გმირი გგავთ?**

- ყველა ჩემს გმირშია ოთარ კობერიძე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რა აცვია (ჩაცმულობას დიდი მნიშვნელობა აქვს), ტექსტისა და კოსტიუმის მიხედვით უნდა გამომეძერწა ჩემი გმირი.

ფილმში ფსიქოლოგიური განცდები არ იყო. ძირითადად, უნდა გეჩვენებინა გმირული სული, ხასიათი, ეს ყველაფერი უნდა გამოგეხატა სიარულში, ცხენზე ჯდომაში, ხმლის მოქნევაში. ომგამოვლილი ვიყავი, მთელი ჩემი მოდგმა მეომრები იყვნენ, კარგად შემეძლო ფარიკაობა. რთულ სცენებში არასდროს მყოლია დუბლიორი, ამიტომ ბაში-აჩუკის როლის განსახიერება არ გამჭირვებია.

**- ბაში-აჩუკის ჩოხა დღეს თვენი საკუთრებაა?**

- სამწუხაროდ, არა, კინოსტუდიაში დარჩა. ჩოხა სპეციალურად ჩემთვის შეიკერა. მახსოვს, როცა კინოსტუდიის მკერავთან მივედი, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა, - შვილო, მე შენ ისეთ ჩოხას შეგიკერავ... *(იცინის)*. მართლაც შესანიშნავად მომარგო ის იმერული ჩოხა.

**- სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

- ბეთანიაში, კახეთში, ქართლში.

**- ფილმში რომელ ეპიზოდს გამოარჩევდით?**

- კონკრეტულად ვერ დაგისახელებთ. აღვნიშნავ იმას, რომ ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღების დროს - როდესაც მედეა ჩახავას გმირი იღუპება - დიდი განცდა დამეუფლა. თვალწინ წარმომიდგა დედის დაკრძალვა, მამის დაკარგვა... გამახსენდა დედაჩემის ლამაზი ხელები - გარდაცვლილი დედა, რომლის თითებშიც სანთელი იღვენთებოდა... დედაჩემის თითების მსგავსი თითები ჰქონდა ჩემს ლიას... დედას თამარი ერქვა - იყო დრო, მისი სიყვარულის გამო ჩემი გვარი თამარიანზე მინდოდა, შემეცვალა.

**- ბატონო ოთარ, კარგი მსროლელი იყავით, ფილმში ხეზე ჩამოკიდებულ შევარდენს თავად ესვრით?**

- თოფს, რა თქმა უნდა, კარგად ვისროდი, მაგრამ დიდი სიზუსტე იყო საჭირო, ვინაიდან ჩახმახიანი თოფით შეუძლებელია თოკით ჩამოკიდებული შევარდენის გათავისუფლება. სნაიპერი დაგვეხმარა, აღლუმის დროს გადაღებულ კადრში - როდესაც დიდ სიმაღლეზე შუბს თასს ვესვრი - მიზანს მე თვითონ ვაღწევ. ხოლო იმ ეპიზოდის გადაღების დროს, როცა ყორღანაშვილს თავს ვაჭრი, კინღამ კაცი შემომაკვდა... დაბალი ტანის ვაჟი იყო, თავზე დაადგეს ყორღანაშვილის თავის მულაჟი. რამდენიმე დუბლი გადაიღეს - ორჯერ თავი მოვაჭერი ყორღანაშვილს, მესამე ცდაზე - კაცი არ მომაკვლევინოთ-მეთქი, ვთქვი და კინაღამ არ შემომაკვდა, ხმალი სახეში მოვარტყი.

ჭიდაობის სცენა ბეთანიაშია გადაღებული. დავეჭიდეთ მე და დოდო. სცენარის მიხედვით, უნდა წაიქცეს, მაგრამ არ იქცევა. ბატონი ლეო გაბრაზდა - იცით, რა ღირს „კოდაკის“ ფირი, დოდო ძირს რატომ არ ეცემი? - ჩემი ბრალია, ეტყობა, ილეთი სწორად არ ჩავატარე-მეთქი - შემდეგ დოდოს მივმართე - რა მოგივიდა, წაიქეცი-მეთქი. პურმარილი იქნებაო, - მკითხა *(იცინის)*. მე დავეთანხმე. მართლაც, გადაღების შემდეგ ბეთანიაში, „თეთრ დუქანში“ ვიქეიფეთ. მახსოვს, ჩემს ლიას ძალიან მოეწონა შემწვარი წიწილი. გადაღებების მერე დოდო ხშირად მახსენებდა - კობერ, წამოდი, შემწვარი წიწილი ვჭამოთო...



დოდო ჭიჭინაძე: — ოთარი არის ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, ქართული ჯიში და გენი, რომელმაც სიყვარულიც განსაკუთრებული იცის.

**- ამ ფილმში რამდენი წლის ხართ?**

- 29 წლის ვარ. მე არ ვამბობ, რომ ეს ფილმი გენიალურია, მაგრამ ეროვნული ნამდვილად არის. ხშირად უნდა აჩვენონ „ბაში-აჩუკი“ ტელევიზიით, უნდა გავიხსენოთ, ვისი გვარისა და ჯიშისანი ვართ. წარმოიდგინეთ, ქუჩაში 60 წლის მამაკაცი მხვდება და მეუბნება - ბატონო ოთარ, თქვენს ფილმებზე გავიზარდეო...

**- ბატონო ოთარ, ქალბატონ დოდოს ხშირად ეხმიანებით?**

- მინდა დოდოს ნახვა. ყვავილები მაინც ხომ უნდა მივართვა, ვარდები. ქალის პატივისცემა კარგად ვიცი. ვგრძნობ მის დიდ დაძმურ სიყვარულს და, როგორც კახელები ამბობენ, - ეგრე იქნება, დოდოშკა!

**- ბატონო ოთარ, როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, თქვენ მზად გაქვთ „დავით აღმაშენებლის“ ტელევერსია...**

- დიახ. შვიდი კინოფილმის რეჟისორი გახლავართ. წლების წინ კი „დავით აღმაშენებლის“ კინოსცენარზე დავიწყე მუშაობა. მქონდა ამის უფლება - კაცს, რომელსაც განცდილი მაქვს სიყვარული, შიმშილი, ომი. სახლში მაქვს ბიძაჩემის ხმალი, რომელსაც აწერია: „სიცოცხლე ჩემს სამშობლოს ეკუთვნის, გული - ქალბატონს, ღირსება - მე“. უარი ვთქვი ღირსების ორდენზე, ჩემი ღირსება ჩემშია. ისტორიული წყაროების მიხედვით, ჩემი ერის ღირსების გრძნობამ დამაწერინა „დავით აღმაშენებლის“ სცენარი. ძველი თაობის მსახიობები მინდა, დავაკავო, ხოლო დავითის როლზე - ნიკა თავაძე. ფილმში ჩემი დოდოსთვისაც მაქვს შერჩეული ხანშიშესული ქალბატონის საინტერესო სახე, რომელმაც თავისი ულამაზესი შვილიშვილი მოტაცებისგან იხსნა - ჭუჭყიანი და დაუბანელი დაჭყავდა, რომ მისი სილამაზე ავ კაცთ არ შეემჩნიათ... - ასე შევინახე ჩემი მზევინარიო... - ნუ გეშინია, დიდედა, ჩემს ნათლულს ამიერიდან ხელს ვერავინ ახლებსო! - ამბობს მეფე... ერთ-ერთ ეპიზოდში სამჭედლოში დამზადებულ ხმალს დავითს მოაწოდებენ - ფრჩხილი ჩამოჰკარ და ყურთან მიიტანეო - ეტყვის დავითს მჭედელი. მეფემ შეასრულა თხოვნა და ფრჩხილი ჩამოჰკრა. ზარივით შემოესმა ქართული ფოლადის ხმა... შორიდან შემოიჭრება ეკლესიის ზარი - იწყება რუის-ურბნისის კრება... სცენარი დავითის ცხოვრების რამდენიმე ეტაპს ეხება, კერძოდ, 30 წლამდე... ფილმი დაფინანსების პირასაა. ვიმედოვნებ, ბიზნესმენები არ დააყოვნებენ და გადაღებას დროულად დავიწყებ.



ოთარ კობერიძე, დოდო ჭიჭინაძე, ლია ელიავა

# სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ № 14–17, 22–25**

ეკონომიკის დარგში ცკ-ის მდივნის პოსტზე სოლიკო ხაბეიშვილის წინამორბედი ამ სავარძელში ათიოდე წელი უშფოთველად თვლემდა. თვალები ოდნავ მხოლოდ მაშინ მოიფშვნიტა, როცა სხვა, უფრო პრესტიჟულ სავარძელში გადააბრძანეს და კვლავ ტკბილ ძილს მისცა თავი. მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ საბოლოოდ მან 80-იანი წლების ბოლოს გაიღვიძა, როდესაც საქართველოს ახალმა პატრონებმა არცთუ თავაზიანად მოსთხოვეს როგორც სავარძლის, ისე შენობის გათავისუფლება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კარზე მიუთითეს და მისი მეორე მხრიდან მოხურვა ურჩიეს.

რაც შეეხება ჩვენი თხრობის გმირ „ბიზონს“, მას მდივნობამ სამიოდე წელი მოუწია. მაგრამ რა წლები იყო! დღეები გიჟურ მარათონში ერთმანეთს ასწრებდნენ. კვირები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. თვეები ყოველდღიურ ციებ-ცხელებაში იფერფლებოდნენ. სოლიკო თითქოს ინტუიციით გრძნობდა, რა მოკლე ვადით დააყენეს ქართული ეკონომიკის საჭესთან.

ნებისმიერს დავენაძლევები, რომ ეგრეთ წოდებულმა „პერესტროიკამ“, რომელმაც წლების შემდეგ ჯებირები გაარღვია, გიგანტური ქვეყანა მღელვარე ზღვასავით წალეკა და იმპერია დაღუპა, სათავე მოსკოვში კი არა, თბილისში აიღო. და არა 80-იანი წლების შუაში, არამედ უფრო ადრე. ხოლო მისი პირველი გამტარებელი მიხეილ გორბაჩოვი კი არა, სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილი გახლდათ.

შეიძლება შემეკამათონ - აბა, ედუარდ შევარდნაძე? რესპუბლიკის პატრონი ხომ ის იყო და მისი თანხმობის გარეშე საქართველოში ვერცერთი ნოვაცია ვერ მოხდებოდაო. შემახსენებენ „რა მოხდა აბაშაში“, მიმითითებენ, რომ ცკ-ის პირველი მდივნის ინიციატივით რესპუბლიკაში, მართალია, ფრთხილად, მაგრამ მაინც შემოვიდა კადრების შერჩევის უფრო დემოკრატიული სისტემა - ხელმძღვანელთა დაწინაურება „კოლექტივის აზრის თანახმად“ და სხვა.

გეთანხმებით. შევარდნაძემ გამოიწვია და ბევრ რამეში ხელიც შეუწყო სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარებას. მახსოვს თათბირი, რომელზეც დონკიხოტივით მაღალშუბლა და ჭაღარაქოჩრიანი მამაკაცი გამჭოლი მზერით „ღირებულებათა ეროზიასა და დევალვაციაზე“ საუბრობდა, იმაზე, რომ ეკონომიკაც და თავად საზოგადოებაც დაუოკებლად და საბოლოოდ მიექანება სტაგნაციისა და რეგრესის ჩიხისაკენ. სად არის გამოსავალი? - იკითხა მაშინ მან. და თავადვე უპასუხა: გამოსავალი ერთია, პროცესი უნდა შეჩერდეს. ექსპერიმენტი უნდა დავიწყოთ.

იყო თუ არა ეს კაცი დონ კიხოტი? ხელისუფლებაში მისი ყოფნის სამმა ათეულმა წელიწადმა ამ კითხვას საბოლოოდ გასცა პასუხი, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარება. ის წმინდა წყლის პრაგმატიკოსი იყო (და დღემდე რჩება). უფრო სანჩო პანსას მსგავსი, ოღონდ, რა თქმა უნდა, სხვა ყაიდის, სხვა, ბევრად უფრო დიდი გაქანების, მაგრამ მაინც - არა გარემოებათა ბატონ-პატრონი, არამედ საჭურველმტვირთველი და მსახური.

მწუხარე სახის რაინდს უმალ სოლიკო ხაბეიშვილს შევადარებდი, რომელიც სერვანტესის გმირივით უშიშრად ჩაება ქარის წისქვილებთან ბრძოლაში და ამ უთანასწორო შერკინებაში დაიღუპა.

და მაინც, გვახსოვდეს ბიბლიური „მე თუ არა, მაშ, ვინღა“ და მადლობა ვუთხრათ მამაც გზამკვლევებს. „აბაშის ექსპერიმენტი“ სინამდვილეში მხოლოდ საბატონო ბეგარის ღალით შეცვლა გახლდათ, შრომითი კოლექტივების სურვილის თანახმად ხელმძღვანელთა დაწინაურება - ცეკას კაბინეტებში წინასწარ დადგმული სპექტაკლი. ნამდვილი ძვრები კი ხაბეიშვილის საკურატორო დარგებში - მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტში, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ხდებოდა. „ეკონომიკური ეკონომიკის“ თითქოსდა უნაყოფო ნიადაგზე ნაწვიმარზე სოკოებივით მრავლდებოდნენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი გაერთიანებები, ფირმები, კოოპერატიული რესტორნები, სასაუზმეები, სასადილოები და კაფეები. ბრიგადული იჯარა გამონაკლისიდან ნორმად იქცეოდა.

მაღალი რანგის კომკავშირელი ფუნქციონერობის ჟამს სოლიკო დელეგაციის შემადგენლობაში აშშ-ში იმყოფებოდა. მას შემდეგ ის მთლიანად შეიპყრო იდეამ - „ნუთუ არ შეიძლება, ჩვენთან ამერიკა ავაშენოთ?“ არა განვითარებული კაპიტალიზმის, არამედ რეალური სოციალიზმის ამერიკა, ამ საზოგადოებრივი წყობის ყველა ღირებულების და უპირატესობის შენარჩუნებით. სიტყვით კი არა - საქმით, მთავარი პრინციპის განხორციელებით: ყველასაგან უნარის მიხედვით, ყველას - შრომის მიხედვით. ნორმალური მუშაობისა და ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფით. ქუთაისში „ამერიკის აშენება“, ბუნებრივია, არ გამოუვიდა. და აი, როგორც კი ეკონომიკის მართვის სადავეები ხელთ ჩაიგდო, დაუფიქრებლად ეკვეთა რესპუბლიკის მასშტაბით „ამერიკის შენებას“.

რით დამთავრდა ეს, ვიცით.

ძველი ალპინისტის კიდევ ერთი „ბზიკი“ მთები იყო. და აი, ცკ-ის მდივნის მისაღებში იმრავლეს წვეროსანმა, გაბურძგნულმა, ქარდაკრულმა, კოცონის და იაფფასიანი მაგარი თამბაქოს ბოლით შეჭვარტლულმა უცერემონიო მამაკაცებმა. ისინი რკინით დაჭედილი „ბათინკებით“ დაბრახუნებენ. ხრინწიანი ხმით რაღაცაზე კამათობენ, უბოროტოდ ილანძღებიან და დიდკაცური კაბინეტის კარს ყოველგვარი მღელვარების გარეშე აღებენ. სამთო მოთხილამურეები და მთამსვლელები, მოხეტიალეები, თავგადასავალთა მაძიებლები, არშემდგარი მხატვრები და პროჟექტიორები ცკ-ის მდივანთან ძმაბიჭობენ. და ეს გასაგებია, ეს ხალხი ერთ ყალიბშია ჩამოსხმული, ერთი მოდგმისა არიან და ფანტაზიის ერთნაირი გაქანება აქვთ.

ცეკას სტერილურად წკრიალა დერეფნებში კი

## გიორგი ბეზირგანი

## გუდაურის ღამე




სულ უფრო ხშირად გაისმის ერთი სიტყვა - გუდაური, გუდაური, გუდაური.

რა არის გუდაური? მხოლოდ მიუვალი მთები და ერთ-ერთი რუსი იმპერატორის მეფობისას წამოჭიმული ნახევრად დანგრეული ფოსტა. თავად სოლიკოს თუ მის რომელიღაც გაბურძგნულ მეგობარს აქ ზღაპრული ქალაქის, ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ცენტრის აშენება მოუვიდა აზრად. მოხეტიალე წვეროსნებს ამაზე მხოლოდ ოცნება შეუძლიათ, მათი სუფთად გაპარსული, ცივილურ კოსტიუმში გამოწყობილი ჰალსტუხიანი მეგობარი კი ამ ოცნებების განხორციელებას კისრულობს.

თუმცა მოდით, ჩვენს თხრობას დავუბრუნდეთ და დიდი სახლის ბოლო სართულზე ფართო დარბაზში შევიხედოთ, სადაც უკვე შეკრებილა პარტიულ მღვდელმთავართა სინედრიონი. და სადაც კი არ შემოჰყავთ, არამედ, პირდაპირი მნიშვნელობით, მოათრევენ ცოცხალმკვდარ „სიმშვიდის დამრღვევს“.

●

ბიუროს საგანგებო სხდომაზე, რომელიც ერთადერთ საკითხს ეძღვნება, პირველ სიტყვას წარსულში ყოჩაღი კავალერისტი, ამჟამად კი ფხიზელი ჩეკისტი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური იღებს. არსებითად, ეს საბრალდებო სიტყვაა, რომელსაც საფუძვლად ისევ სიღნაღის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის, ბედკრული ნოდარ ბუჩუკურის „გულწრფელი“ აღიარებები უდევს, საბრალოს კბილებთან ერთად რომ ამოართვეს პირიდან. მაგრამ ჟანდარმთა გენერალი ბატონების - იაგოდასა და ეჟოვის რაღა ღირსეული გერი იქნებოდა, თუკი თავისი გამოსვლისთვის პოლიტიკური ელფერის მინიჭებას არ ეცდებოდა. და ეს წარმატებით განახორციელა, როდესაც ბიუროს წევრებს შეახსენა, რომ გუდაურს ავსტრიელები აშენებენ (სამშობლოს ღალატი) და რომ გადაგვარებული ხაბეიშვილი ურცხვად იბირებს მის ჩეკისტ თანამშრომლებს (ალბათ, ჯაშუშობისკენ წასაქეზებლად).

№ 1 ჩეკისტის კვალდაკვალ „პროპაგანდის მინისტრი“ გურამ ენუქიძე გამოდის და აცხადებს, რომ თვალთმაქცი ხაბეიშვილი გამუდმებით „ყოფდა ცხვირს“ მის საქმეებში (ჩვენგან დავამატებთ: როგორც ჩანს, სოცრეალიზმის ურყევი საფუძვლების გადასასინჯად).

ენუქიძე არ ცდებოდა. ხაბეიშვილი მართლაც „ყოფდა ცხვირს“. რადგან თავად № 1 პროპაგანდისტს არასოდეს არცერთი საქმე არ გაუკეთებია. კულტურის და ხელოვნების მოღვაწეები იცნობდნენ თავიანთი შეფის ამ თვისებას და დახმარებისათვის მუდამ ხაბეიშვილს მიმართავდნენ. ასე იყო, როდესაც ფიროსმანზე წიგნის გამოცემის იდეა წარმოიშვა. ასე იყო, როდესაც აბულაძემ თავისი „მონანიება“ ჩაიფიქრა. ასე იყო, როდესაც რობერტ სტურუა მორიგ დადგმას ამზადებდა და დეკორაციებით, ტრანსპორტით თუ

> **მწუხარე სახის რაინდს უმალ სოლიკო ხაბეიშვილს შევადარებდი, რომელიც სერვანტესის გმირივით უშიშრად ჩაება ქარის წისქვილებთან ბრძოლაში, და ამ უთანასწორო შერკინებაში დაიღუპა...**

ათასი სხვა წვრილმანით დახმარება სჭირდებოდა... ენუქიძეს არ ეკარებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ეს უაზრობა იყო. ხაბეიშვილს მიმართავდნენ. და ისიც არ აყოვნებდა დახმარების ხელის გაწვდენას.

ყველაზე მოკლე „პრეზიდენტ“ პავლე გილაშვილის გამოსვლა აღმოჩნდა. ის წამოდგა, მხნედ დაჰყვირა, რომ არასოდეს ენდობოდა ორპირსა და გადაგვარებულს, და მოხდენილი ეფექტით ფრიად კმაყოფილი დაჯდა.

ნუთუ განწირულის დასაცავად ამ სინედრიონზე ერთი ხმაც არ გაისმა? სამართლიანები ვიყოთ. ცკ-ის მდივანმა გიორგი ანდრონიკაშვილმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ ჩერქეზიამ მტკიცედ განაცხადეს, რომ სოლიკო ხაბეიშვილისთვის წაყენებული არცერთი ბრალდებისა არ სჯერათ. მაგრამ მათი ხმები საერთო ხმაშეწყობილ გუგუნში დაინთქა - „ჯვარს აცუ ეგე!“

მეორე დილას გაზეთების ბოლო გვერდებზე გამოჩნდა ციცქნა ინფორმაცია, რომ „ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი დაინიშნა გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.“ ცკ-ის მდივნის თანამდებობა პლენუმის პრეროგატივაა, მაგრამ პლენუმს ეს საკითხი ჯერ არ განუხილავს. ნიშნავდა თუ არა ეს, რომ „ამხ. ხაბეიშვილს“ ამიერიდან ორი პოსტი უკავია? არა, არ ნიშნავდა. პლენუმი ძალიან მალე გაიმართება. და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციაში, რომელიც გაზეთების პირველ გვერდებს დაამშვენებს, ხაბეიშვილის გვარი მხსნელი თავსართის „ამხ“-ის გარეშე გაიჟღერებს. ამიერიდან მისი უცვლელი ამხანაგი „ტამბოვის მგელი“ გახდება.

●

ტაბიძის ქუჩაზე მოკრძალებულ კაბინეტში შეფის გადასვლის შემდეგ მე - მისი თანაშემწე - ფორმალურად კვლავ დიდი სახლის შტატში ვირიცხებოდი, თუმცა, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დავრჩი. ასე ვთქვათ, ვაკუუმში. ცკ-ის ახალი მდივანი გივი ანჩაბაძე ჯიუტად არ ამჩნევდა ჩემს მორიდებულ პერსონას. ჩემს კაბინეტში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ მინისტრებისა და მათი მოადგილეების ტევა არ იყო, ფეხსაც აღარავინ ადგამდა. ტელეფონები - დიდი სამთავრობო, მცირე სამთავრობო, ქალაქის და შიდა - შეთქმულებივით დადუმებულიყვნენ. და აი, ასეთ რთულ ვითარებაში, 1985 წლის ზაფხულში თუ შემოდგომაზე, ზუსტად არ მახსოვს, ერთ-ერთ უქმე დღეს ქალიშვილთან ერთად თითქმის მთლიანად აშენებულ გუდაურში გადავწყვიტე ასვლა. რამდენს ვუყვებოდი ამ ზღაპრულ ქალაქზე, რა მოხდება, ერთხელ ვაჩვენო კიდეც - უცნაური კოტეჯების მრავალფეროვნება, თითქოს სახაზავით გავლებული ტრასები, ღრუბლებში აჭრილი საბაგირო გზები და გარსშემოჯარული თოვლიანი მთების პირველყოფილი მშვენიერება.

გუდაურში დილით ჩავედით. ნომერი შევუკვეთეთ, შემოგარენი დავათვალიერეთ, მთის მათრობელა ჰაერი ვისუნთქეთ. მერე ადგილობრივი საფირმო კერძით „გუდაურული ხინკლით“ ჩავიტკბარუნეთ პირი, რომლის სურნელიც კი დაანაყრებდა კაცს. საღამოს კი ბარში ვატარებდით დროს უალკოჰოლო კოქტეილის წრუპვაში.

უცებ თვალწინ ბარმენის ფერმიხდილი სახე გამიკრთა.

- იქ... გკითხულობენ...

ეს მოკლე ფრაზა სწორედ ასე წარმოთქვა - პაუზებით და ქშენით.

- ვინ? - უზრუნველად ვიკითხე მე.

- არ ვიცი... მგონი... პროკურატურიდან.

ჩემი ნომრის კართან ორი ახალგაზრდა მელოდებოდა - რუსი და ქართველი.

რუსს თავდაჯერებულად და ცოტა თავხედურად ეჭირა თავი, ქართველი დაძაბული იყო და თავს უხერხულად გრძნობდა.

- ჩვენ სისხლის სამართლის სამძებროდან ვართ, - მითხრა რუსმა.

მაგრამ შუბლზე ორივეს მკაფიოდ აღბეჭდოდა - „**КГБ**“-ის შტამპელი. „ეს დაპატიმრებაა, - გამიელვა თავში. - ზურა მაისურაძე აიყვანეს, თემო ხოდელიც, ახლა მე მომაკითხეს.“ მაგრამ შიშს ვერ ვგრძნობდი. ერთადერთი, რაც იმ წუთში მაწუხებდა - რა ვუყო ჩემს პატარა გოგონას? მებადრაგეებს ხომ არ ვთხოვო, შინ მიიყვანონ?

- თქვენი ნომერია? - მკითხა რუსმა და თვალები ტყვიებივით დამასო. როგორც ჩანს, ამ ორში ის არის უფროსი.

- ჩემია.

- გააღეთ.

რა თქმა უნდა, შემეძლო გაჯიუტება - რა უფლებით? მაგრამ კარგად მესმოდა რა მსგავსი საქციელის უსარგებლობა, მორჩილად გავაღე კარი. ჩეკისტები ნომერში კი არ შევიდნენ, შეცვივდნენ.

- ეს ვისი საწოლია? - მიმითითა რუსმა, თითქოს დანაშაულში მამხილაო. ქართველს მთელი ეს ხანი კრინტიც არ დაუძრავს.

- ჩემი ქალიშვილის.

გაფითრებული და დაბნეული ბავშვი სწორედ ამ დროს გამოჩნდა კარში.

- საბუთები!

ჩეკისტს ცეკას მოწმობა გავუწოდე. ახალი ჯერ არ ამიღია, ძველში კი „ცკ-ის მდივნის თანაშემწის“ ნაცვლად „პარტიული ინფორმაციის სექტორის გამგე“ მეწერა.

- ბოდიშს გიხდით. ჩვეულებრივი შემოწმებაა, - თქვა რუსმა, ქუსლები ერთმანეთს მიარტყა და საბუთი დამიბრუნა. მერე კი თავის მეწყვილესთან ერთად თითქოს ჰაერში გაქრა.

მაგრამ ეს არავითარი შემოწმება არ ყოფილა. ისინი ნადირობდნენ. ეს მთელი ღამე გაგრძელდა - სასტუმროს უკლებლივ ყველა ნომერში და თითოეულ კოტეჯში. ეძებდნენ ხაბეიშვილს, რომელიც, ყურმოკრული ინფორმაციით, „სადღაც მთებში იმალებოდა“. ჰოდა, სად იქნებოდა, თუ არა „მშობლიურ“ გუდაურში?

მაგრამ ეს ცრუ ინფორმაცია აღმოჩნდა. თუმცა, „ბიზონი“ იმ დროს არც თბილისში ყოფილა. როგორც მოგვიანებით გავიგე, იმ ღამეს მან მოსკოვში მოახერხა გაღწევა. რა თქმა უნდა, შემოვლითი გზით, რადგან აეროპორტი და რკინიგზის სადგური მისთვის დახურული იყო.

შემდეგ ნომერში:
„ეძებეთ ქალი!“

ხვალ იყო გუშინ

eMoneyTRAN

Money Transfer You Trust

# კავკას ექსპრესი

www.emoneytran.com 201-333-5555

| გასაგზავნი თანხა | გაგზავნის ფასი |
|---|---|
| 1-დან 100 | 8.00 |
| 101-დან 150 | 11.00 |
| 151-დან 200 | 14.00 |
| 201-დან 250 | 17.00 |
| 251-დან 300 | 20.00 |
| 301-დან 350 | 23.00 |
| 351-დან 400 | 26.00 |
| 401-დან 450 | 29.00 |
| 451-დან 500 | 32.00 |
| 501-დან 550 | 35.00 |
| 551-დან 600 | 38.00 |
| 601-დან 650 | 41.00 |
| 651-დან 700 | 44.00 |
| 701-დან 750 | 47.00 |
| 751-დან 800 | 50.00 |
| 801-დან 850 | 53.00 |
| 851-დან 900 | 56.00 |
| 901-დან 950 | 59.00 |
| 951-დან 1000 | 62.00 |
| 1001-დან 1050 | 65.00 |
| 1051-დან 1100 | 68.00 |
| 1101-დან 1150 | 71.00 |
| 1151-დან 1200 | 74.00 |
| 1201-დან 1250 | 77.00 |
| 1251-დან 1300 | 80.00 |
| 1301-დან 1350 | 83.00 |
| 1351-დან 1400 | 86.00 |
| 1401-დან 1450 | 89.00 |
| 1451-დან 1500 | 92.00 |
| 1501-დან 1550 | 95.00 |
| 1551-დან 1600 | 98.00 |
| 1601-დან 1650 | 101.00 |
| 1651-დან 1700 | 104.00 |
| 1701-დან 1750 | 107.00 |
| 1751-დან 1800 | 110.00 |
| 1801-დან 1850 | 113.00 |
| 1851-დან 1900 | 116.00 |
| 1901-დან 1950 | 119.00 |
| 1951-დან 2000 | 122.00 |
| 2001-დან 2050 | 125.00 |
| 2051-დან 2100 | 128.00 |
| 2101-დან 2150 | 131.00 |
| 2151-დან 2200 | 134.00 |
| 2201-დან 2250 | 137.00 |
| 2251-დან 2300 | 140.00 |
| 2301-დან 2350 | 143.00 |
| 2351-დან 2400 | 146.00 |
| 2401-დან 2450 | 149.00 |
| 2451-დან 2500 | 152.00 |
| 2501-დან 2550 | 155.00 |
| 2551-დან 2600 | 158.00 |
| 2601-დან 2650 | 161.00 |
| 2651-დან 2700 | 164.00 |
| 2701-დან 2750 | 167.00 |
| 2751-დან 2800 | 170.00 |
| 2801-დან 2850 | 173.00 |
| 2851-დან 2900 | 176.00 |
| 2901-დან 2950 | 179.00 |
| 2951 -დან 3000 | 182.00 |

გააგზავნე ფული საქართველოში სახლიდან გაუსვლელად და ყველაზე იაფად, ამისათვის საჭიროა უბრალოდ დარეგისტრირდე ვებ-გვერდზე და რა თქმა უნდა, გქონდეს კომპიუტერი



თანხის გაგზავნის ღირებულება კავკას-ექსპრესს/E-Moneytrans-ის ოფისებიდან:

ბრუკლინში: 511 Brighton Beach Ave, Brooklyn, NY, ტელ: 718-934-1700
ნიუ-ჯერსიში: 128 Sussex Street, Jersey City, NJ ტელ: 201-333-5555

| გასაგზავნი თანხა | გაგზავნის ფასი |
|---|---|
| 1-დან 50 | 5.00 |
| 51-დან 100 | 6.00 |
| 101-დან 150 | 7.00 |
| 151-დან 200 | 8.00 |
| 201-დან | 3% |

# KAVCAS EXPRESS

## გადაზიდვები



საჰაერო
- აშშ-დან საქართველოში კილოგრამი - $6.7
- საქართველოდან აშშ-ში კილოგრამი $16



საზღვაო
აშშ-დან საქართველოში კგ - $4

ნებისმიერი დოკუმენტაციისა და მასალის თარგმნა, ნოტარიზირება, ადვოკატის ნებისმიერი სერვისი, თარჯიმანის მომსახურეობა, სასამართლოში გაყოლა.



## მიულოცეთ ახლობლებს ჩვენი მეშვეობით

ქორწილი, დაბადების დღე, ძეობა, დღესასწაული...

აშშ: 1(201)333-2200
თბილისი: (995) 32 952-609
ბათუმი: (995) 99 491-992

www.gezi.us
www.carbycar.com



© MAMULI DESIGN

# WWW.CARBYCAR.COM

პარტნიორი **www.gezi.us**

*Caucasus Express* — შპს. „ზარამი“

- ავტომობილების შეძენა სადილერო აუქციონებზე;
- ტრანსპორტირება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე;
- ტრანსპორტირება ფოთის პორტამდე, თბილისამდე;
- ავტონაწილების შეკვეთა.

CARFAX VEHICLE HISTORY REPORTS

**მხოლოდ 20 ლარად!**

**ჩვენ შეიტყობთ ავტომობილის სრულ ისტორიას:**

რამდენი მფლობელი ჰყავდა, მოხვედრილა თუ არა ავარიაში, წყალდიდობაში, ხანძარში, რეალურ გარბენს, არის თუ არა მოპარული და ა.შ.

**ავტომობილები განვადებით**

**ჩვენთან ეს მარტივია - შემოდიხართ ოფისში და ჩვენთან ვაფორმებთ ყველა საბუთს.**




**აშშ: 1(201)333-5555**

**თბილისი: (995) 32 952-609**

**ბათუმი: (995) 99 491-992**

WWW.CARBYCAR.COM






ძვირფასო
თანამემამულენო!



თვისტომი
TVISTOMI ASSOCIATION

გაიხსნა ახალი **ქართული სამედიცინო ოფისი ბრუკლინში,** სადაც ხორციელდება სრული სამედიცინო გამოკვლევა უახლესი აპარატურით!

გამოკვლევები ხორციელდება უახლესი დიაგნოსტიკური აპარატურითა და მეთოდებით, მაგნიტორეზონანსული, რადიოიზოტოპური და ულტრაბგერითი აპარატურის გამოყენებით, ამასთანავე ჩაგიტარებთ სისხლისა და შარდის სრულ ლაბორატორიულ ანალიზებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, უფასო მამოგრაფიას (მკერდის გამოკვლევა) ძვლების სიმყიფის განსაზღვრას.

სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებული ქართველი და ამერიკელი ექიმები რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ აშშ-ს სხვადასხვა კლინიკებში და დღეს თქვენს სამსახურში არიან! ჩვენი თანამემამულეთათვის ფასები მაქსიმალურად დაბალია. მათთვის, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, გამოკვლევები ჩაუტარდებათ **60-70 %** -იანი ფასდაკლებით!!!

**ჩვენი ფასები ყველაზე დაბალია!!!**

**718-263-5323** მიიღება წინასწარი ჩაწერით

2 ვესტ ენდ ავენიუ, ბრუკლინი, მანჰეტენ ბიჩი (არხთან და ბრაიტონთან ახლოს), აპარტმენტი №3



**$9.99** გადასახადი გადაგზავნისათვის*

ნიუ-იორკიდან და ზოგიერთი სხვა ქალაქიდან საქართველოში $500 გადაგზავნისას

არსებული ფასდება შეიძლება შეიტყოთ კომპანია MoneyGram-ის აგენტ ოლღა ჩუდაკოვასთან ტელეფონით 1-800-624-4606 ext. 2380

| დანიშნულების ადგილი | გადასაგზავნი თანხა | გადასახადი გადაგზავნისათვის* |
|---|---|---|
| საქართველო | $0 – $500 | $9.99* |
| | $500.01 – $1,000 | $14.99* |
| | $1,000.01 + | 2%* |

ფული დანიშნულების ადგილას ჩადის 10 წუთში**

1-800-926-9400 www.moneygram.com

*გადაგზავნისათვის ფულადი გადასახადის გარდა გამოიყენება ვალუტების გაცვლის კურსი, რაც დადგენილია კომპანია MoneyGram-ისა ან მისი აგენტის მიერ.
შეიძლება მოხდეს გადაგზავნისათვის გადასახადის ვარირება აგენტის ადგილსამყოფელისაგან დამოკიდებულებით და ის არ არის მუდმივი.
**კომპანია MoneyGram-ის სამუშაო საათებისაგან დამოკიდებულებით.
ფულადი სახსრების გადაგზავნის მომსახურების ლიცენზია გაცემულია ნიუ-იორკის შტატის საბანკო მომსახურეობის განყოფილების მიერ.
©2006 MoneyGram Payment Systems, Inc. ყველა უფლება დაცულია.

MoneyGram®
საერთაშორისო ფულადი გზავნილები




დელფინის სახეობა
მოაჯირი
იტალიური მანქანა
მცენარეული სალებავი
ბლიტერის სამფლობელო
..., დამიდგეს თვალები
აშშ-ს შტატი
ხელოსანი, რომელიც აშენებს ქვის, აგურის და მისთ. შენობებს
იტალიური საფეხბურთო კლუბი
უმცროსი მატროსი
რუსი ფერმწერი, „პერედვიჟნიკების“ ერთ-ერთი დამაარსებელი
ყოჩაღ!
... კასტრო
ჯავახიანი თომარიდები
მღვდელსაც ეშლება ერთხელ
... საესი
ამაზონის დელფინი
პერანგის ამხანაგი
... რეიგანი
... ხერხეულიძე
თხრობითი, გაუდებეელი ლიტერატურა
... ქუინი
„... პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“
უცნობი
საცეკვაო მოძრაობა
თხოვნა, მუდარა
„დათუნიას ერგო ერთი ... ერბო“
მტაცებელი თევზი
შთამომავალი
... იმპრესიონიზმი
...-აბება
სხვის ხარჯზე მცხოვრები
კათოლიკე მღვდელი
ფრანგი მხატვარი
... გუდიაშვილი
ეჟვანი
ხელშეკრულება
კანტორა, შტაბბინა
სათემო ყრილობა
ზემოდან
ელიოზ მცხეთელის და
... კვალიაშვილი
ინგლისელი მორბენალი წარსულში
მეტისმეტად ნაზი, ფურფა, სასიამოვნო
იალქანი, ანუ...
... ლაინ
ესპერანტოს ვარიანტი
იაპონური თეატრი
...-კურგანი
ლერმონტოვის პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოები, რომელსაც ლევ ტოლსტოიმ თავისი „ომი და მშვიდობის“ მარცვალი უწოდა
წარგზავნილი დესპანი
... და ვანო
ბანი
მდინარე ინდოეთში



## მილოცვები

# ია ბულბულაშვილი



ზამთრის სუსხია, ეს სიცივე აღწევს სულში და უფრო მეტად ძლიერდება ნახვის სურვილი. დღე შენზე ფიქრით ვსულდგმულობ, ღამე კი შენზე ფიქრში მეძინება. შენი მეგობრები სულმოუთქმელად ელოდებიან შენს ჩამოსვლას. იმედის შუქი ხარ, რომელიც ყველას ათბობს და ალამაზებს. შენ თვითონ პატარა და ასეთი ჭკვიანი, ყოველთვის თვითდაჯერებული და მიზანსწრაფი, ცდილობ გაალამაზო სხვისი ცხოვრება და ნაკლებად ფიქრობ საკუთარ თავზე. ამაგდარი შვილი ხარ და გუმანით ხვდები ჩემს ფიქრსაც კი. სულ სხვაა ჩვენი, მე და შენი, დედა—შვილური სიყვარული. ექვსი წელია რაც არ მინახიხარ, მხოლოდ სატელეფონო საუბრებით ვესიყვარულებით ერთმანეთს, ასე გადის დრო. დღეს მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებთან და მოგონებებთან ერთად. მე ყოველთვის მჯეროდა შენი. ჩემი ოდნავი შერყეული ჯანმრთელობის ამბავი რომ გაიგე, ყველანაირად ეცადე, შეუძლებელი შეძელი, გაზაფხულის მოსვლა, რომელისაც სულმოუთქმენლად ველოდი, ძვირად ღირებული მანქანით მომილოცე. არასოდეს დამავიწყდება, ველოლიავები და ასე მგონია შენ გელაპარაკები. ბავშვური სიხარული მაჩუქე, ამიჩუყე გული და სულ უფრო და უფრო სანატრელი გახადე შენი ნახვა. ძნელია ჩემო გოგო, რომ შენს გვერდით არ ვარ და დღევანდელ დღეს ვერ გიყურებ და ვერ მოგილოცავ დაბადების დღეს, მაგრამ მანძილი არაფერია დედაშვილს შორის. გავიგე, თუ რა რთულ პირობებში მიიკვლევდი გზას. ჩვენ ყველანი იმედის თვალით შეგცქეროთ შენ. თბილი ხმით გვესაუბრები, გვაიმედებ და ხვალინდელი დღის იმედით გვასულდგმულებ. ცხოვრება დიდი მდინარეა, რომელიც დიდი ბრძოლით მიიკვლევს გზას. ასეთი ცხოვრებით ცხოვრობ შენ, ჩემო ირმა, შენ ერთი დიდი ფურცელი ხარ მომავალი ნათელი ცხოვრებისა, შენ ეს დაიმსახურე. ვინ იფიქრებდა, ასეთი პატარა გოგო, ასე გაიკვლევდი გზას და ამდენ იმედიან დღეებს მოგვიძღვნიდი. ტკბილი იყო ის დღეები, როცა წელიწადის ოთხივე დროს ჩემთან იყავი და ჩემთვის შენს სუნთქვას ყველა ენაზე დედაშვილური სიყვარული ერქვა.

ჭეშმარიტ დედაშვილურ სიყვარულს, დრო სივრცე და გარემოება არ ეხება... მჯერა მალე ჩემოხვალ და ერთმანეთს კვლავინდებურად სითბოს გავუნაწილებთ. ამ ლოდინით ვსულდგმულობ და ვუცდი იმ ლამაზ გაზაფხულს შენ, რომ მოგიყოლებს.

გილოცავ დაბადების დღეს!

დიდი სიყვარულით შენი დედიკო **ციცო ბულბულაშვილი**

# ნინიკო დემეტრაშვილი



ნინიკო დემეტრაშვილს
24 თებერვალს შეუსრულდა 5 წელი.

ჩემო ნინიკო,
მადლობა ღვთისმშობელს, შენი თავი რომ მაჩუქა...
ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო სიხარულო, გაგზარდოს სასახელო ქალად და გაღირსოს უბრალო ადამიანური ბედნიერება. შენ ჩემი ცხოვრების აზრი ხარ.
ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

*შენი დედიკო*
**მარიკა დემეტრაშვილი**



გაზეთ ,,მამულის,, რედაქცია უერთდება ამჟამად ამერიკაში სტუმრად მყოფი სიცილის დედოფლის, ქალბატონ მზია კვირიკაშვილის სურვილს და ოკეანის გაღმიდან დაბადების დღეს ულოცავს მონატრებულ შვილიშვილს, პატარა

# მარი კაჭიაშვილი

უსურვებს ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ღიმილიან ცხოვრებას.

## განცხადებები

მესაჭიროება აგურის მწყობელი ხელოსანი შენობის ფასადზე მუშაობისათვის. სამსახური არის ოჰაიოს შტატში.
დარეკეთ: **6 საათის შემდეგ** 859-466-8809, 859-912-9082
იკითხეთ **ავთანდილ ინასარიძე**

იყიდება მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად თბილისში, საბურთალოზე, კანდელაკის ქუჩაზე, ლისის ტბის ასახვევში.
ცნობეისათვის დარეკეთ: 646-510-6111, 347-713-5174

# 4 მარტს, შაბათს, 19.00 საათზე, 12 მარტს, კვირას, 14.00 საათზე

# ლეგენდარული ივერია ამერიკაში








Millenium Theatre:
ბილეთები: www.russianNY.com
347-528-0037; 718-615-1500;
347-451-9435.

## თემურ წიკლაური, ნუგზარ ჯვარელი, ვახტანგ ტატიშვილი, მანანა თოდაძე, ალექსანდრე მასილაია...



ერთადერთი ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში

რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE

მამულს გული უპირველეს ყოვლისა...

მამული

Phone: 347-724-0770
mamuli@comcast.net

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

ასავალ დასავალი

საქართველოში „მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108
ტელეფონი: 98-97-21